საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№42 (418)
15 - 21 ნოემბერი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

6-7 **ქართველი საზოგადოება სოდომიის წინააღმდეგ**

მამა გიორგი (რაზმაძე): **შე დალოცვილო, როცა ამ კანონს იღებ და შენს შვილებს რყვნი, რა უფლება გაქვს, ტაძარში მოხვიდე?!**


ფოტომონტაჟი

„როცა ეს ნაძირალები, ამ ამორალური კანონების მიმღებ ხელისუფლებას ვგულისხმობ, ეკლესიაში მოვლენ, ხალხმა არ უნდა შეუშვას. მათ უნდა გააცნობიერონ, რა დანაშაულს სჩადიან ერისა და ქვეყნის წინაშე...“ 5

**«ნებისმიერი თანამდებობის პირი, პრემიერი იქნება თუ სხვა, რომელიც მხარს დაუჭერს სკოლაში გაუკუღმართებულ სწავლებას მიმართულს გენდერული იდენტობის წაშლისკენ, ქვეყნის მტერია, მტერი ეკლესიისა, მტერი ღვთისა და სამშობლოსი!»**

## მათი სახელი «მოქკავშირია» 4

**«არსებობს უცხო ქვეყნის სადაზვერვო ინტერესი, რომელსაც ემსახურება სახალხო დამცველის აპარატი და ეს აშკარაა!»**



«საზოგადოებაში არატრადიციული აზროვნების გააქტიურება — ეს არის ჰიბრიდული ომის ასიმეტრიული მეთოდიკა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების გახლეჩას, გაყოფას, ანტაგონისტურ ჯგუფებად ჩამოყალიბებას, ურთიერთდაპირისპირებას, მართვადი ქაოსის შექმნას და დესტაბილიზაციას. აი რა არის ჰიბრიდული ომისა და ფსიქოლოგიური დივერსიის მიმართულება»

**«მაინცდამაინც გეი უნდა იყო, რომ სახალხო დამცველმა შენი უფლებები დაიცვას?!»** 8

## ლგბტ პროპაგანდა ტერორში გადაიზარდა



ანზორ სვიანაძე: **ამ ბინძური პროვოკაციით ისე გამტეხეს, თვითმკვლელობაზეც კი ვფიქრობ...** 2

**სახელმწიფოს ღალატის მასტერკლასი — «ქართულ ფილმს» თურქეთმა სამშობლოს გაყიდვაში «ჯერარნახული» თანხა გადაუხადა** 9

12 **დაქირავებული მზერა და გაუპატიურებული გონება**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რადგან დღეს საქართველოში ვიღაც პატარიძეები ბედავენ, რომ სასწავლებლიდან გარიცხონ ახალგაზრდა პირად სივრცეში თავისი მოსაზრების გამოთქმის გამო, იქნებ უკვე გვიანია?! იქნებ, დაგვიანებულია განგაშის ზარების დარისხება, რადგან გრანტებზე გაყიდული უფლებადამცველებისა და ულტრალიბერალების დიქტატურა საკმაოდ მყარად არის ფესვგადგმული სახელმწიფოში და ტოტალიტარიზმის ყველა ნიშანს ატარებს.**

# ლგბტ პროპაგანდა ტერორში გადაიზარდა

**რამდენიმე დღის წინათ ქუთაისში სკანდალური ფაქტი მოხდა: 19 წლის ახალგაზრდა სასწავლებლიდან ფეისბუქსტატუსის გამო გარიცხეს. „საქართველო და მსოფლიო“ უცვლელად გთავაზობთ სტუდენტ ანზორ სვიანაძის განცხადებას, რომელსაც მის წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიების გატარება მოჰყვა. „LGBT არ ვიცი შევაქო და ჩემი ფბ თუ ისე მეგობრები გავახარო თუ დავამხო გამზრდელი თავზე? მგონი, შექება ჯობია, მირჩიეთ“. სასწავლებლიდან გარიცხული სვიანაძე საპროტესტო აქციას აანონსებს და ამბობს, რომ იბრძოლებს საკუთარი უფლებების დასაცავად: „მე კონკრეტულ ადამიანს არ შევხებივარ. და, რაც მთავარია, ჩემს „ფეისბუქ“ გვერდზე, რასაც მინდა, იმას დავწერ. მე ჯერ არ ვარ საჯარო პირი და არც ვყოფილვარ. შესაბამისად, არავის ჰქონდა უფლება, უბრალო მოქალაქეს ასე მოქცეოდა. პირველ რიგში, საშინლად დამამცირეს. ქალბატონმა ნატალიამ (სასწავლებლის დირექტორი — ავტ.) ჩემი ინფორმაცია „დასქრინა“ და თავის პირად „ფეისბუქ“ გვერდზე გადაიტანა. ჯერ ერთი, გარიცხვის შესახებ პირადად არ უთქვას, სოციალური ქსელიდან გავიგე“. „საქართველო და მსოფლიო“ ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრიდან გარიცხულ სტუდენტს დაუკავშირდა:**



**ანზორ სვიანაძე:**

## ამ ბინძური პროვოკაციით ისე გამტეხეს, თვითმკვლელობაზეც კი ვფიქრობ...

**ანზორ სვიანაძე:** — ქალბატონი **ნატალია პატარიძე,** როგორც უნდა, ისე იყენებს სიტყვა ჰომოფობიის მნიშვნელობას. იმ სტატუსში, რომელიც სოციალურ ქსელში დავწერე, არაფერია ჰომოფობიური. საქმეზე მიმდინარეობს მოკვლევა, რადგან ნატალია პატარიძემ დაწერა პოლიციაში ჩემზე განცხადება და მე უკვე ვიყავი დაკითხვაზე.

**— რატომ გიჩივლათ ნატალია პატარიძემ?**

— გარიცხვის შემდეგ სასწავლო ცენტრში მივედი. მაინტერესებდა, რომელ პუნქტებზე საუბრობდა პატარიძე და სად იყო ის შიგა განაწესი გამოკრული. როგორც კი ცენტრში შევდგი ფეხი, იქ პოლიციელები დამახვედრა, თითქოს ტერორისტი ვიყავი და ვინმეს თავს ვესხმოდი.

**— ფიქრობთ, რომ ტრადიციული ორიენტაციისა და საკითხისადმი კონსერვატიული დამოკიდებულების გამო ისჯებით?**

— ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო ლგბტ თემის წარმომადგენელი, მას გამოეხატა აზრი ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებზე და სასწავლებლიდან გაერიცხათ, ხომ წარმოგიდგენით, რა მოხდებოდა?! დაირაზმებოდა როგორც არასამთავრობო, ისე სამოქალაქო სექტორი და დაიხოკავდნენ ლაწვებს მისი ინტერესების დასაცავად.

**— განაცხადეთ, ისეთ დღეში ვარ, ლამისაა, თვითმკვლელობამდე მიმიყვანონო...**

— ასეა, ამ ბინძური პროვოკაციით ისე გამტეხეს, თვითმკვლელობაზეც კი ვფიქრობ, ღამეები აღარ მძინავს. მარტო რომ ვარ, სულ ვფიქრობ: რომ მცოდნოდა, იმ ერთ პოსტს ასეთი ამბავი მოჰყვებოდა, ალბათ, არც დავწერდი. გენერალური პროკურორის ყურამდე მივიდა იმ ამაზრზენი ვიდეოს ამბავი, რომელიც ლგბტ თემის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჩემი მისამართით გაავრცელა. ამან სრულიად შეცვალა საქმის ვითარება. როგორც ვიცი, კარგად არავისთვის დამთავრდება ეს ამბავი.

**— ფიქრობთ, რომ ეს ვიდეო შეკვეთილი პროვოკაცია იყო?**

— არაფერს არ ვფიქრობ... არ მინდა, სასამართლოზე ჩემ მიერ ნათქვამი თუნდაც ერთი სიტყვა ცუდად დამხვდეს. საზოგადოებამ განსაჯოს, რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე.

სტუდენტის გარიცხვა სასწავლებლის დირექტორმა იმით ახსნა, რომ სასწავლებლის შიგა განაწესი აგებულია ჟურნალისტური ქარტიის პრინციპებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სიძულვილის ენის ტირაჟირება სასწავლებლის თანამშრომლებისა თუ მოსწავლეებისგან მიუღებელია. „ანზორი გაირიცხა სიძულვილის ენის გამო და ეს პირდაპირ დევს ჩვენს დებულებასა და შიგა განაწესში. პირველივე ლექციებიდან იწყება ახსნა, რა არის სიძულვილის ენა და რატომ არ უნდა ისაუბროს ჟურნალისტმა სიძულვილის ენაზე“, — აღნიშნავს **ნატალია პატარიძე** და დასძენს: გასულ წელს კედლებზეც კი იყო გაკრული მეშვიდე და მეათე პუნქტი, სადაც პირდაპირ, ნათლად, შავით-თეთრზე წერია, რომ არ შეიძლება ქსენოფობიური, ჰომოფობიური და სიძულვილის ენის ტირაჟირება. აქ მოხდა არასწორი ინტერპრეტაცია, რომ ჩვენ მოსაზრება შევუსწორეთ ანზორს და მოსაზრების გამო გაირიცხა. მოსაზრების გამო არა, სიძულვილის ენის გამო, რომელიც პირდაპირ დევს ჩვენს დებულებაში, პირდაპირ დევს ჩვენს განაწესში და პირველი ლექციებიდანვე ჩვენთან იწყება ახსნა, რას ნიშნავს სიძულვილის ენა. რატომ არ უნდა ისაუბროს ჟურნალისტმა სიძულვილის ენაზე, რა არის ობიექტური ჟურნალისტიკა და ა.შ. გაფრთხილებული არის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა პერიოდში, აუდიტორიაშიც ხშირად ყოფილა ამაზე კამათი, ხშირად ყოფილა მინიშნება და ეს მხოლოდ ერთი სტატუსი იყო ანზორისი ამოღებული. ის ერთი კვირის განმავლობაში ▶

# შვილებით სპეკულირება — «ნაცმოძრაობის» სეფექალთა ახალი ტრენდი

**გასულ კვირას ადვოკატი გიორგი ონიანი სასამართლომ დამნაშავედ ცნო. ონიანი სასამართლოს დარბაზშივე დააკავეს და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.**

## ანუ რატომ არ უნდა ჭამო ტყემალი

გიორგი ონიანს ბრალი რამდენიმე მუხლით ჰქონდა წაყენებული, მათ შორის, უკანონო დაკავების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის.

პროკურატურა ონიანს შსს-ში მუშაობის პერიოდში დანაშაულის ორ ეპიზოდს ედავებოდა. გამოძიების ინფორმაციით, ერთ შემთხვევაში გიორგი ონიანმა 2011 წელს „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების დამზადებისთვის „დაოპრინტის“ მენეჯერი **დავით შათირიშვილი** უკანონოდ დააკავა და ნარკოტიკული საშუალების ჩადებით, ნარკოდანაშაულის ჩადენისთვის ბრალი წაუყენა. გამოძიების ინფორმაციით, ამავე სცენარით მოხდა „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი მხარდამჭერის — **ლევან მდინარაძის (დიჯეი რემბოს)** დაკავებაც. ონიანს ორივე ეპიზოდზე აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო ჰქონდა შეფარდებული.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა თანამებრძოლის დაკავებას პოლიტიკური დაკვეთა უწოდეს, ხოლო თავის დროზე „ქართული ოცნების“ უკანონოდ დაკავებულმა აქტივისტებმა გვიან, მაგრამ მათ მიმართ აღდგენილი სამართლიანობა მოიწონეს.

მეუღლის დაპატიმრებას ემოციური პოსტით გამოეხმაურა **ანი მინაშვილი.** ცნობისთვის: ანი მინაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ **აკაკი (აკო) მინაშვილის** დაა, იმ აკო მინაშვილის, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის ყველაზე მძიმე დანაშაულებსაც კი დუჟმორეული „აპრავებდა“. გთავაზობთ ამონარიდს ანი მინაშვილის სტატუსიდან: „ყველაზე გრძელი ღამე იყო დღეს, თან ერთი სული მქონდა, გათენებულიყო და თან საოცრად მეშინოდა. რა უნდა მეთქვა ბავშვებისათვის, როცა დილით მამას ლოგინს დახედავდნენ და მიხვდებოდნენ, რო ღამით გოგას მათთან



ერთად არ ეძინა. მთელი ღამე ვფიქრობდი, ვაწყობდი სიტყვებს, მაგრამ დილით, როცა ნუგომ გაიღვიძა და მკითხა, რატო გაქვს ცრემლები თვალებზეო, სულ ამერია დალაგებული ტექსტი.

მეორე კითხვა იყო: გუშინ შენ და მამა გვიან რატო მოხვედითო, ამას მოყვა — სასამართლო ძლივს ხო დამთავრდაო და უცებ დახედა მამას ლოგინს და ჩემი მამიკო სად არისო, ასე ადრე რატო ადგაო? აქ უკვე ველარ შევიკავე თავი, თუმცა ტირილის მიზეზად თავის ტკივილი მოვიმიზეზე. გამახსენდა გოგას სიტყვები — რომ ჩემი იმედი ქონდა და რომ მაგრად ვყოფილიყავი, მოვიკრიბე ძალა და ნუგოს ვუთხარი, რომ მამა რაღაც დროით სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვაგან უნდა ყოფილიყო, მივხვდი, რომ რაღაც ვერ გაიგო, — ჩვენთან აღარ იქნება? მე რო მამა მენატრება? ვინ წამიყვანს სკოლაში და კალათბურთზე? სად უნდა დაიძინოს უჩვენოდ, იქ როგორ უნდა გაჩერდეს? მოაყარა კითხვები, რაზედაც პასუხები არ მქონდა. უბრალოდ, ვუთხარი, რო დაეწერა წერილები და დაეხატა მამასთვის ნახატები და მერე ერთად ფოსტით გავაგზავნიდით.

ამ საუბარზე გაბრიელმაც გაიღვიძა და მასაც პირველი კითხვა მამიკოს არყოფნაზე გაუჩნდა... ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული საუბარი, საუბარი, როცა არ ვიცოდი, როგორ და რანაირად ამეხსნა ჩემი შვილებისთვის, რომ მათი მისაბაძი მამა დღეს ტყვე არის ამ ხელისუფლების და რო მა- ▶

**თქვენი შვილები რომ განიცდიან, თქვენს შვილებს რომ აწუხებთ და სტკივათ, როგორ ფიქრობთ, შეკერილი საქმეებით ციხეში გამოკეტილი ადამიანების შვილები არ განიცდიდნენ, მათ არ აწუხებდათ და არ სტკიოდათ მშობლების სატკივარი?! გგონიათ, რომ იმ შვილებისთვის მამები არ იყვნენ მისაბაძი მაგალითი?**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თბილ სავარძელში მოკალათებული აკაკი ზოიძის ყოველთვიური ანაზღაურება, რომელიც, დანამატებთან ერთად, 4000 ლარს აღემატება, რიგითი მოქალაქის პენსიაზე (180 ლარი) 22-ჯერ (!) მეტია და ეს კაცი — კომიტეტის თავმჯდომარე, „დირექტორის მრჩეველი“, „კონსულტანტი“, „წამყვანი მკვლევარი“ და „ტრენერი“ — როგორ მიიტანს გულთან სხვის გაჭირვებას?!**

◀ყოველდღე ტირაჟირებდა სიძულვილის ენაზე. სხვადასხვა ეტაპზე იყო ახსნა, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ის რჩებოდა თავის მოსაზრებაზე, ვაგრძელებდით ტრენინგებს, სხვადასხვა აქციებში მის ჩართვას. აქ ჩვენ ვინმეს მხარს კი არ ვუჭერთ, ჩვენ, უბრალოდ, მედიასტანდარტი გვაქვს არაფორმალურ განათლებაში, რომ არ გვინდა ჩვენი სტუდენტი, რომელსაც გავუშვებთ შემდეგ მედიაორგანიზაციებში სტაჟირებაზე, საუბრობდეს სიძულვილის ენით“, — ასე ხსნის ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი სასწავლებლიდან 19 წლის ახალგაზრდის გაგდებას. **ნატალია პატარიძის** ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ სულაც არ ადარდებს პირადი მოსაზრების გამო გაგდებული ახალგაზრდის ბედი. ქალბატონ ნატალიას, რომელსაც მომავალი თაობების პიროვნებად ჩამოყალიბებასა და მათთვის განათლების მიცემაში უხდიან მშობლები ფულს, კერძო სასწავლებელი, როგორც ჩანს, პირადი კომპლექსებისა და ხუშტურების რეალიზაციის არენად აქვს გადაქცეული, რადგან პატარიძე თვლის, რომ სვიანაძე ერთ წელიწადში ვერ გამოზარდა (ჟურნალისტიკის სასწავლო კურსი ერთწლიანია), **აკაკი წერეთლის** „გამზრდელის“ წაკითხვას ვურჩევთ და გამზრდელის სიტყვებს შევახსენებთ: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“... რადგან პატარიძე ამბობს, რომ შარშანაც ასწავლიდნენ რაღაც-რაღაცებს და ვერ ასწავლეს, მიზეზი, სტუდენტში კი არა, საკუთარ თავში უნდა ეძებოს და სასწავლებლიდან სტუდენტის გარიცხვა იმიტომ, რომ მამათმავლობა ნორმად არ მიაჩნია, სხვა რა არის, თუ არა უმცირესობის დიქტატურის დამყარების მორიგი მცდელობა?

ეს საკითხი უკვე გახდა საზოგადოების განსჯის საგანი, მაგრამ მომხდარზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო განცხადება არ გაუკეთებია. ერთ-ერთი პირველი, ვინც ანზორ სვიანაძის ახალგაზრდული ცენტრიდან გარიცხვას გამოეხმაურა, ჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქაცარავა** იყო და მან სოციალურ ქსელში ეს განცხადება გამოაქვეყნა:

„2 კითხვა მაქვს: 1. ნუთუ მართლა თვლით, რომ საკუთარი აზრის დაფიქსირებისთვის სკოლის მოსწავლე უნდა გაირიცხოს სკოლიდან და აქ მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად მძაფრი იყო მისი აზრი და ამ აზრის გადმოცემის ფორმა?

2. ვუშვებ ასევე იმ აზრს, რომ არ მოგწონთ ის, რაც ხდება, თვლით, რომ არ არის გასაგდები ეს ბიჭი სკოლიდან... მაგრამ რატომ ხართ ჩუმად, ხომ არ გეშინიათ ლგბტ თემის, სამსახურების დაკარგვის ხომ არ გეშინიათ?

სად ხართ, ჟურნალისტებო, უფლებადამცველებო, მინისტრებო და ჩინოვნიკებო? სად ხართ, რიგითო ქართველებო, გორგასლისა და აღმაშენებლის შთამომავლებო? არ არის საგანგაშო, რაც ხდება თუნდაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში? თუ ხმას დღეს არ ამოიღებთ, ხვალ თქვენს შვილებს დაჩაგრავენ, თქვენ კი მშობელ №1 ან №2 იარლიყს აგაკრავენ!

მაგრად მკიდია, დამიძახონ ზენასწავლ-განვითარებული საზოგადოების წევრებმა ბნელი და გაუნათლებელი, ჩამორჩენილი და ჰომოფობი!

მე ვიბრძოლებ ბოლომდე, იმიტომ, რომ ჩემთვის მიულებელია თავისუფალი აზრის, თავისუფალი სულის ჩახშობა და ამის წარმატებული კამპანია მიმდინარეობს საქართველოში!“ — წერს ქაცარავა და საზოგადოებას მოუწოდებს:

„გაიღვიძეთ დღეს! ხვალ გვიანი იქნება! დაუდექით ამ ახალგაზრდას გვერდით და ნუ დაღუპავთ ამ ახალგაზრდას! და ის დაიღუპება არა იმიტომ, რომ სკოლიდან გარიცხეს, სხვა, მაგარ სკოლას იპოვის, არამედ იმიტომ, რომ დაინახავს — ის მიაგდეს, არ დაეხმარნენ და არ დაიცვეს!

ძალა ერთობაშია! მხოლოდ ესე გადავრჩებით!“

**რადგან დღეს საქართველოში ვიღაც პატარიძეები ბედავენ, რომ სასწავლებლიდან გარიცხონ ახალგაზრდა პირად სივრცეში თავისი მოსაზრების გამოთქმის გამო, იქნებ უკვე გვიანია?! იქნებ, დაგვიანებულია განგაშის ზარების დარისხება, რადგან გრანტებზე გაყიდული უფლებადამცველებისა და ულტრალიბერალების დიქტატურა საკმაოდ მყარად არის ფესვგადმული სახელმწიფოში და ტოტალიტარიზმის ყველა ნიშანს ატარებს.**

◀მას გვერდით ვერ ნახავენ 5 წელი და რო მამა ვერ უგულშემატკივრებს კალათბურთზე, სადაც მამის შექება იყო ყველაფერი მისთვის და კიდევ რამდენ რამეს ვერ მოახერხებს, ვინ ჩამოთვლის“...

შვილების თემით სპეკულირება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვის და მათი მხარდამჭერებისთვის, როგორც ჩანს, ახალი ტრენდია. გასულ კვირას **ნანუკა ჟორჟოლიანი** მოძღვრავდა საზოგადოებას, რომ თურმე, როდესაც შვილებს ეხება საქმე, ძალიან რთულია ემოციურად ამ ყველაფრის გადატანა. ახლა აკო მინაშვილის და და **სააკაშვილის** ზონდერად წოდებული გიორგი ონიანის მეუღლე ცდილობს მამის დაპატიმრებით ემოციურად დათრგუნვილი ბავშვების მდგომარეობით საზოგადოების აზრზე გავლენის მოხდენას. ცხადია, განიცდიან შვილები მამის დაპატიმრებას და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ, **თქვენი შვილები რომ განიცდიან, თქვენს შვილებს რომ აწუხებთ და სტკივათ, როგორ ფიქრობთ, შეკერილი საქმეებით ციხეში გამოკეტილი ადამიანების შვილები არ განიცდიდნენ, მათ არ აწუხებდათ და არ სტკიოდათ მშობლების სატკივარი?! გგონიათ, რომ იმ შვილებისთვის მამები არ იყვნენ მისაბაძი მაგალითი?** ფიქრობთ, რომ იმ შვილებს არ ენატრებოდათ თქვენი რეჟიმის მიერ ციხეში უმიზეზოდ გამოკეტილი მამები?! ან იქნებ გგონიათ, რომ მათ შვილებს არ ენატრებოდათ მამებთან ერთად ქუჩაში ხელიხელჩაკიდებული სიარული და ან იქნებ გგონიათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში დაკავებულთა მეუღლეებისთვის მარტივი იყო, აეხსნათ შვილებისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმმა მათი მამები ციხეში უდანაშაულოდ გამოკეტა?

რადგან სააკაშვილის რეჟიმსა და შვილების თემით სპეკულირებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით კიევის აეროპორტში **ნიკოლოზ სააკაშვილის** შეყოვნებას და თვალცრემლიანი ექსპრეზიდენტის „ფეისბუქლაივით“ უკრაინის პრეზიდენტისადმი მიმართვას. როგორც ირკვევა, ეს ყველაფერი სააკაშვილის იაფფასიანი პიარის ნაწილი იყო. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა რამდენიმე საათით დააგვიანა აეროპორტში მისვლა და, ცხადია, მისი მცირეწლოვანი შვილი უკრაინელმა სამართალდამცავებმა ქუჩაში მარტო არ გაუშვეს. ცხადია, პატარა ნიკოლოზი მამას უვნებელი დაუბრუნდა, მაგრამ, მიუხედავად იაფფასიანი პიარსვლისა, ემოციური ფონის აწევით მიშამ მიზანს გარკვეულწილად მაინც მიაღწია.

ძალიან, ძალიან უხერხულია შვილებით სპეკულაცია! თქვენი გულწრფელობა კითხვის ნიშნის ქვეშ იმ შემთხვევაში არ დადგებოდა, ერთხელ მაინც რომ გამოგეცხადებინათ თანადგომა თქვენი რეჟიმის მიერ უსამართლოდ დაპატიმრებულთა შვილებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დედების თანადგომაზე, რომელთა შვილებიც თქვენმა რეჟიმმა დახოცა. თუმცა თქვენ პოლიტიკური მიზნებისთვის საკუთარ შვილებს არ ინდობთ და სხვისი შვილების სატკივარს როგორ მიიტანდით გულთან?! ასე რომ, სანამ საკუთარი შვილების თემით უნიჭო სპეკულაციის მორიგ სეანსს დაიწყებთ, არ გაწყენდათ, გეფიქრათ, ძველი ანდაზის თანახმად, რატომ მოსჭრა კბილები პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს.

**ძალიან, ძალიან უხერხულია შვილებით სპეკულაცია! თქვენი გულწრფელობა კითხვის ნიშნის ქვეშ იმ შემთხვევაში არ დადგებოდა, ერთხელ მაინც რომ გამოგეცხადებინათ თანადგომა თქვენი რეჟიმის მიერ უსამართლოდ დაპატიმრებულთა შვილებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დედების თანადგომაზე, რომელთა შვილებიც თქვენმა რეჟიმმა დახოცა**

# «ქართული ოცნების» მილიონერი დეპუტატი და საარსებო მინიმუმზე მეტი პენსია

**პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე პენსიის მომატების საკითხზე საკანონმდებლო ორგანოსთან გამართულ აქციას გამოეხმაურა.**



„დღეს პენსია საარსებო მინიმუმზე მეტია. რასაკვირველია, ეს საკმარისი არაა და ჩვენ მხოლოდ ვემხრობით, თუ გვექნება საშუალება, გაიზარდოს პენსია. ჩვენი გაცხადებული გეგმები ცნობილია, რომ, დაგროვებით პენსიასთან ერთად, ეკონომიკური ზრდისა თუ ფასების ზრდის პარალელურად პენსიონერებისთვის პენსიები გაზრდილიყო. ეს მთავრობამ გაითვალისწინა და ველოდებით, რომ 2019 და 2020 წლებში პენსიები 20-20 ლარით გაიზრდება. ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პენსიონერი არ იყოს პოლიტიკოსზე წინასაარჩევნოდ დამოკიდებული, საჯილდაო ქვადაა პენსიის ზრდა გადაქცეული, ახლა ყველას ეცოდინება, რამდენით გაეზრდება პენსია, ეკონომიკური ზრდის პარალელურად“, — განაცხადა ზოიძემ ისე, რომ ნამუსის ძარღვიც არ შეტოკებია.

დღეს საარსებო მინიმუმი დაახლოებით 169 ლარია, რაც წარმოუდგენელია, რიგით პენსიონერს ეყოს კვებისთვის, კომუნალური გადასახადებისთვის, მედიკამენტებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ პერიოდულად პენსიონერებისთვისაც აუცილებელია როგორც სამოსის, ისე ფეხსაცმლის შეძენა. ჰოდა, ამ „საარსებო მინიმუმზე მეტი პენსიით“ ყველა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია თუ არა, თავად განსაჯეთ. „საქართველო და მსოფლიო“ ამ სიტყვების ავტორის ქონებრივ მდგომარეობასა და მისი წლიური შემოსავლების შესახებ მცირე ინფორმაციას გაგაცნობთ. დეპუტატ აკაკი ზოიძეს ბოლო დეკლარაცია 2017 წლის 8 იანვარს შეუვსია. გასულ წელს მისი წლიური შემოსავლები ასე გამოიყურება:

*** კურაციოს საერთაშორისო ფონდის კონსულტანტისა და წამყვანი მკვლევარის წლიური შემოსავალი 484 562 ლარია.**

* სს სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ გენერალური დირექტორის მრჩევლის პოზიციაზე მისი წლიური შემოსავალი **49277,50** ლარს შეადგენს.

* აკაკი ზოიძე საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს თბილისის ფილიალის ტრენერიც გახლავთ და მისი შემოსავალი **3733,75** ლარია. დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, რამდენს იღებს ხელფასის სახით იგი საქართველოს პარლამენტში მოსახლეობის, მათ შორის, პენსიონერების მიერ შევსებული ბიუჯეტიდან.

* რაც შეეხება ანაბრებს, დეპუტატს „თი-ბი-სი ბანკში“ **2571** ევრო ერიცხება, „საქართველოს ბანკში“ კი — **10 000** ლარი. აკაკი ზოიძეს „ლიბერთიბანკშიც“ აქვს ანაბარი გახსნილი და მასზე **761** ლარი აქვს დარიცხული. დეკლარაციის შევსებისას პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ხელზე **5100** აშშ დოლარი და **8000** ლარი ჰქონდა. აღარაფერს ვამბობთ მისი ოჯახის წევრების სახელზე გახსნილ ანაბრებზე რიცხულ თანხებსა თუ ძვირად ღირებულ ავეჯსა და ნივთებზე. არც მისი უძრავ-მოძრავი ქონების ჩამოთვლით დაგღლით. ზემოთ ხსენებული მცირე მონაკვეთიც საკმარისია იმის დასტურად, რომ **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, მილიონერი აკაკი ზოიძე ვერასდროს გაიგებს პენსიონერთა მძიმე ყოფას, რადგან მისი წლიური შემოსავალი ნახევარ მილიონ ლარზე მეტია. ის ვერასდროს მიხვდება, როგორია ხვედრი მარტოხელა პენსიონერებისა, რომლებსაც პენსია მხოლოდ მედიკამენტებისა და პურის საყიდლად ძლივს ჰყოფნის.** ზოიძისთვის მარტივია, ისაუბროს იმაზე, რომ პენსია საარსებო მინიმუმზე მეტია და პენსია მხოლოდ 2019-2020 წლებში მოიმატებს 20-20 ლარით...

**საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თბილ სავარძელში მოკალათებული აკაკი ზოიძის ყოველთვიური ანაზღაურება, რომელიც, დანამატთან ერთად, 4000 ლარს აღემატება, რიგითი მოქალაქის პენსიაზე (180 ლარი) 22-ჯერ (!) მეტია და ეს კაცი — კომიტეტის თავმჯდომარე, „დირექტორის მრჩეველი“, „კონსულტანტი“, „წამყვანი მკვლევარი“ და „ტრენერი“ — როგორ მიიტანს გულთან სხვის გაჭირვებას?**

სწორედ ზოიძეზეა ნათქვამი, მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო...

**P.S. საინტერესოა, როგორ ისკუპა კლინიკური და ექსპერიმენტული ინსტიტუტის უფროსმა ლაბორანტმა 2000-2001 წლებში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის სავარძელში? აი მცირე მონაკვეთი აკაკი ზოიძის კარიერული ბიოგრაფიიდან:**
**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე (2000-2001);**
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური დაზღვევისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსი (2000- 2000);**
**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მინისტრის თანაშემწე (1997-2000);**
**კლინიკური და ექსპერიმენტული ინსტიტუტი, უფროსი ლაბორანტი (1993-1998);**
**კლინიკური და ექსპერიმენტული ინსტიტუტის კლინიკური ორდინატორინერვულ სნეულებათა სპეციალობით (1991-1993);**
**საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მედსანნაწილი, რეანიმაცია-ინტენსიური თერაპიის პალატების სანიტარი (1990-1991).**

**ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, მილიონერი აკაკი ზოიძე ვერასდროს გაიგებს პენსიონერთა მძიმე ყოფას, რადგან მისი წლიური შემოსავალი ნახევარ მილიონ ლარზე მეტია. ის ვერასდროს მიხვდება, როგორია ხვედრი მარტოხელა პენსიონერებისა, რომლებსაც პენსია მხოლოდ მედიკამენტებისა და პურის საყიდლად ძლივს ჰყოფნის**

გვერდები მოამზადა ნიკა გელაშვილმა

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მამუკა ბახტაძის ბიოგრაფიული შტრიხები კი არის პრემიერ კვირიკაშვილისთვის ცნობილი, მაგრამ საინტერესოა, აქვს თუ არა მთავრობის ფორმალურ, გნებავთ, არაფორმალურ მეთაურს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბახტაძემ 2012 წელს „ნაციონალურ მოძრაობას" 20 ათასი ლარი შესწირა, თუმცა უტა ივანიშვილის მეგობრისთვის კარიერულ წინსვლაში ამას ხელი არ შეუშლია.**

# მოკლე როქი მთავრობაში

## ახალმა ფინანსთა მინისტრმა «ნაცმოძრაობას» 20 ათასი შესწირა

**მთავრობაში ცვლილებები განხორციელდა. მთავრობის სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების შესახებ საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საზოგადოებას საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ამცნო.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეუერთდა ენერგეტიკის სამინისტრო და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების მართვის კომპონენტი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტზე დაინიშნა **დიმიტრი ქუმსიშვილი,** რომელიც, ამასთანავე, ინარჩუნებს პირველი ვიცეპრემიერის სტატუსს და კოორდინაციას გაუწევს ეკონომიკური გუნდის მუშაობას. „ეკონომიკის სამინისტრო მულტისექტორული უწყებაა და პასუხისმგებელია არა მხოლოდ ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაზე, არამედ საგარეო ვაჭრობის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ინოვაციურ მოწყობაზე და სხვა სექტორულ განვითარებაზე. ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და ეკონომიკის სხვა მიმართულებების ერთი „ქოლგის" ქვეშ მოქცევა ჩვენს ეკონომიკურ განვითარებას უფრო ეფექტიანს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის". ეფექტიანი მუშაობით არა, მაგრამ „ბლუჯა ლარზე მოჟრიალე" მინისტრმა გამონათქვამებით ნამდვილად გაითქვა საზოგადოებაში სახელი.

„ეკონომიკის მინისტრი **გიორგი გახარია** შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნება. შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი, პოლიციელის პრესტიჟი, დანაშაულთან ბრძოლა და საზოგადოებრივი წესრიგი ჩვენი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ამ პრიორიტეტის ხაზგასასმელად მინისტრი ამავე დროს დაიკავებს ვიცეპრემიერის პოსტს. გიორგი გახარია სწორედ მენეჯერული გამოცდილებით არის შერჩეული ამ პოსტზე და ჩვენ დარწმუნებულები ვართ, ის წარმატებული მინისტრი იქნება", – განაცხადა შს მინისტრის პოსტზე გახარიას კანდიდატურის წარდგენისას გიორგი კვირიკაშვილმა.

**გიორგი მღებრიშვილი** სოციალურ ქსელში გამოეხმაურა მის შემცვლელად გიორგი გახარიას წარდგენის ფაქტს: „შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას წარმატებას ვუსურვებ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეში. ის მაღალი დონის პროფესიონალი მენეჯერია, პრინციპული პიროვნება და მჯერა, რომ იქნება ღირსეული შინაგან საქმეთა მინისტრი". გახარიამ პრინციპულობა და მაღალი დონის მენეჯერობა ბიზნესომბუდსმენის თანამდებობაზე ყოფნისას გამოვლინა და კარიერაში წინსვლის ყველა ეტაპი ისე განვლო, მისი საწინააღმდეგო, არათუ კომპრომატი, არგუმენტირებული კრიტიკაც კი არ გვსმენია.

სტრუქტურული ცვლილებების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შერწყმისა და რეორგანიზაციის შედეგად, იქმნება **საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი**, რომელსაც გიორგი მღებრიშვილი უხელმძღვანელებს. როგორც პრემიერმა განაცხადა, ეს უნდა იყოს ოპერატიული ფუნქციებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი აპარატი, რომელიც უშუალოდ პრემიერს დაექვემდებარება. ფინანსთა მინისტრად პრემიერმა „საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი **მამუკა ბახტაძე** წარადგინა და განმარტა, რომ მას აქვს ძალიან კარგი განათლება და გამოცდილება, რაც „საქართველოს რკინიგზის" მართვის პირობებში კონკრეტული შედეგებით აჩვენა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა საქართველოს რკინიგზის ინტეგრაცია აბრეშუმის გზის დერეფანში, დაიწყო ყურის ქვეყნებისა და შავი ზღვის დამაკავშირებელი ახალი სატრანზიტო დერეფნის შექმნაზე აქტიური მუშაობა. მოხდა თანამედროვე მოძრავი შემადგენლობის შემოყვანა. მამუკა ბახტაძე გახლავთ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი INSEAD-ის ცნობილ ბიზნესსკოლაში საფრანგეთში მოიპოვა.


გიორგი გახარია


მამუკა ბახტაძე

მამუკა ბახტაძის ბიოგრაფიული შტრიხები კი არის პრემიერ კვირიკაშვილისთვის ცნობილი, მაგრამ საინტერესოა, აქვს თუ არა მთავრობის ფორმალურ, გნებავთ, არაფორმალურ მეთაურს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბახტაძემ 2012 წელს „ნაციონალურ მოძრაობას" 20 ათასი ლარი შესწირა, თუმცა უტა ივანიშვილის მეგობრისთვის კარიერულ წინსვლაში ამას ხელი არ შეუშლია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უერთდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა მართვის კომპონენტი და მინისტრის პოსტს დაიკავებს **მიხეილ ჩხენკელი,** რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია და კარგად იცნობენ აკადემიურ წრეებში. ჩხენკელი პროფესიით მათემატიკოსია, მან აშშ-ში პენსილვანიის უნივერსიტეტის დოქტორანტურა დაამთავრა. იგი 20 წლის განმავლობაში ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში ასწავლიდა. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, მათ შორის, პენსილვანიის უნივერსიტეტის არაერთი ჯილდო საუკეთესო სწავლებისთვის. აქვს მჭიდრო პროფესიული კავშირი ჰარვარდის, პრინსტონის, პენსილვანიისა და სხვა წამყვან უნივერსიტეტებთან.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უერთდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის კომპონენტი და მინისტრის პოსტს დაიკავებს **მიხეილ გიორგაძე.** მთავრობის მეთაურის განმარტებით, ახალგაზრდობის საქმეთა მართვის კომპონენტის განათლებასთან გაერთიანება, ერთი მხრივ, უფრო მეტ შესაძლებლობას გაუჩენს ახალგაზრდულ მიმართულებას და მოახდენს მის ინტეგრაციას განათლების რეფორმასთან. მეორე მხრივ კი, რაც შეეხება სპორტის მიმართულებას, მისი ინტეგრაცია კულტურასთან თანასწორ შესაძლებლობებს გააჩენს ამ ორი უმნიშვნელოვანესი სფეროს მიმართულებით და უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ მართვას.

გარემოს დაცვის სამინისტროს უერთდება სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტს **ლევან დავითაშვილი** დაიკავებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს უერთდება სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში და მინისტრის პოსტს ვიცეპრემიერი **მიხეილ ჯანელიძე** დაიკავებს. მაშინ, როდესაც პრემიერმა სამთავრობო ცვლილებების შესახებ ამცნო საზოგადოებას, ევროინტეგრაციის მოხსნილი მინისტრი **ვიქტორ დოლიძე** საბერძნეთში ოფიციალურად იმყოფებოდა.

პრემიერმინისტრმა სახლში გაშვებულ მინისტრებს: **ალექსანდრე ჯეჯელავას, ტარიელ ხეჩიკაშვილს, ვიქტორ დოლიძესა და გიგლა აგულაშვილს** მადლობა გადაუხადა და იქვე „დაგვამშვიდა", — მოხსნილი მინისტრები „ქართული ოცნების" გუნდის წევრებად რჩებიანო.

კვირიკაშვილის განცხადებით, პარლამენტს ასევე წარედგინება ცვლილება, რომლის მიხედვით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უერთდება საგარეო დაზვერვის სამსახური. პრემიერის თქმით, მთავრობამ ამ სფეროში უკვე განახორციელა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები და უსაფრთხოების სამსახურის გაძლიერება მხოლოდ მისასალმებელია. საგარეო დაზვერვა სწორედ ქვეყნის უსაფრთხოების ნაწილია და ამ ცვლილებითაც ხდება ლოგიკური ჯაჭვის შეკვრა. ცვლილებების პაკეტს მთავრობა უახლოეს სხდომაზე დაამტკიცებს, შემდეგ განსახილველად პარლამენტს წარედგინება. საკანონმდებლო პროცესის დასრულების შემდეგ კი სამთავრობო გუნდი ახალი შემადგენლობით წარდგება პარლამენტის წინაშე ნდობის მისაღებად.

სანამ მთავრობის ახალი შემადგენლობა პარლამენტის ნდობის გამოცხადების მოლოდინშია, ცვლილებებია თბილისის მერიასა და საკრებულოშიც. 13 ნოემბერს თბილისის მერიაში **კახა კალაძის** მმართველობის ეპოქა დაიწყო. როგორც კალაძემ მერიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, თბილისის ვიცემერი **ირაკლი ხმალაძე** იქნება, ხოლო მოადგილეების თანამდებობებს **მაია ბითაძე, გიგა ნიკოლეიშვილი** და **ირაკლი ბენდელიანი** დაიკავებენ. რაც შეეხება კიდევ ერთ მოადგილეს, მას შემდეგ, რაც ენერგეტიკის სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროს შეუერთდება, **ილია ელოშვილი** თბილისის მერიაში გადაინაცვლებს და მერის მოადგილის პოსტს დაიკავებს.

# მათი სახელი «მოქკავშირია»

**9 ნოემბერს თბილისში, ევროპის მოედანზე ბერლინის კედლის ფრაგმენტის დადგმის ცერემონიაზე საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედლის დანგრევისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენაზე არ იყო სსრკ-ის იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის ფოტო.**

„მე ძალიან მაკვირვებს, რომ ედუარდ შევარდნაძის სურათი ვერ მოხვდა ამ გამოფენაში, ვინაიდან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მაშინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის როლი ამ მსოფლიო მოვლენაში იყო მნიშვნელოვანი. ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რადგან ისტორია არის ისტორია", — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

კვირიკაშვილი, ეტყობა, იმიტომ განაწყენდა, რომ მისი პოლიტიკური მამის, დიდი „დემოკრატისა" და დიპლომატის, გენშერისა და ბეიკერის „მეგობრის" ედუარდ შევარდნაძის ღვაწლი და დამსახურებები საქართველოს წინაშე წარმოჩენილი არ იყო.

ეს დამსახურებებია:

* საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნობისას, 1972 წელს ე.წ. ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საბაბით უამრავი ადამიანის დაპატიმრება;
* 1980 წელს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, იუზა კობახიძის, დახვრეტა;
* 1983 წელს „თვითმფრინავის ბიჭების" დახვრეტა;
* 1992 წლის იანვარში პუტჩის მოწყობა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, საქართველოდან განდევნა;
* 1990-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის უკიდურესად გაღატაკება და უკუნში ყოფნა;
* 1992 წელს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება და შედეგად, დაკარგვა;
* 1993 წელს „მოქალაქეთა კავშირის" შექმნა.

ეს ის „მოქალაქეთა კავშირია", სადაც დაფრთიანდნენ და შემდეგ მას **გამოეყვნენ ზურაბ ჟვანია,** ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილი **მიხეილ სააკაშვილი,** სოფელ ეცერაში აფრასიძეების ოჯახისთვის სისხლიანი კალოს მომწყობი **გია ბარამიძე,** არჩევნების გაყალბებაში არაერთხელ დადანაშაულებული **ხათუნა გოგორიშვილი** და სხვები, რომლებმაც შექმნეს „ნაციონალური მოძრაობა" და 9 წლის განმავლობაში თავზე ასხდნენ ქართველ ხალხს. ეს ის „მოკავშირია", რომლის წევრიც, მიხეილ სააკაშვილის რეკომენდაციით, იყო ბატონი კვირიკაშვილი და, რა გასაკვირია, რომ საქართველოს ამჟამინდელ პრემიერს გული სწყდებოდეს „დამსახურებების" უგულებელყოფაზე ედუარდ შევარდნაძისა, რომლის გამოზრდილიც დღესაც ბევრია საქართველოს ხელისუფლებაში — „მოქალაქეთა კავშირში" დაფრთიანებული ე.წ. პოლიტიკოსებით ხომ გაძეძგილია არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა", არამედ „ქართული ოცნებაც". საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებაც, რომელიც თვალებში შესციცინებს დასავლელ პატრონებს, ხომ იმავე ინტერესებს ემსახურება, რომელთა გატარებასაც ცდილობდნენ „მოქკავშირი" და „ნაციონალური მოძრაობა"?



ლუკას სახარებაში(8. 30.) იესო ქრისტეს შეკითხვაზე: „რა გქვია?" უწმინდური სულით შეპყრობილი უპასუხებს: „ლეგიონი", რადგან მრავალი ეშმაკით იყო შეპყრობილი... ასეა ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ „მათი სახელი ლეგიონია", თუმცა არა — მათი სახელი „მოქკავშირია"!

**ლუკა მაისურაძე**

**„როცა ეს ნაძირალები, ამ ამორალური კანონების მიმღებ ხელისუფლებას ვგულისხმობ, ეკლესიაში მოვლენ, ხალხმა არ უნდა შეუშვას. მათ უნდა გააცნობიერონ, რა დანაშაულს სჩადიან ერისა და ქვეყნის წინაშე. იმიტომ, რომ, ისინი მსოფლიოს თვალში ჩვენი სახელით, ჩვენი დაკვეთითა და, იდეაში, ჩვენ მიერ „დემოკრატიულ არჩევნებზე“ გამოცხადებული ნდობის შესაბამისად აკეთებენ ყველაფერს“.**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მამა გიორგი (რაზმაძე): როცა ბატონი კვირიკაშვილი თავის მთავრობასთან ერთად მივა ტაძარში, უნდა ვკითხოთ: შე დალოცვილო, როცა ამ კანონს იღებ და შენს შვილებს რყვნი, რა უფლება გაქვს, ტაძარში მოხვიდე?!

**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი რიგი საკანონმდებლო ვალდებულებების კვალდაკვალ საქართველოს მთავრობამ 30 ოქტომბერს მორიგი საყურადღებო დადგენილება (№488) მიიღო. ნორმატიული აქტი „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, რომელსაც ხელს პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი აწერს, სკოლებში სრულიად ახალი, ქართული საგანმანათლებლო სისტემისთვის უცხო მეთოდოლოგიის დანერგვას ითვალისწინებს. კერძოდ, დოკუმენტის მე-19 მუხლის მე-2 გ პუნქტში მითითებულია, რომ მოსწავლეები, განურჩევლად გენდერისა, თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი ყველა ტიპის საქმიანობაში და არ უნდა არსებობდეს გამიჯნული სფეროები, რომლებიც მოზარდებს სქესის მიხედვით დაყოფს.**

**აღნიშნული ცვლილებების პარალელურად განათლების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) მიერ მომზადდა სპეციალური პროექტი „სასკოლო მზაობის პროგრამა“, რომელიც პედაგოგისთვის ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. პროგრამის თანახმად, სასწავლო პროცესი ისეთ აქტივობებს უნდა მოიცავდეს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოზარდების ცნობიერებაში სქესთა განურჩევლობის პრინციპის ჩამოყალიბებას. აღმზრდელებმა ბავშვებს უნდა წაუკითხონ ისეთი შინაარსის ზღაპრები, რომლებშიც ორივე სქესის პერსონაჟები თანაბრად არიან წარმოდგენილნი. მეტიც, აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სასურველია, პედაგოგმა მოსწავლეებს გენდერულად საპირისპირო პერსონაჟები მოარგოს და ბიჭებს გოგონების, ხოლო გოგონებს ბიჭების როლები ათამაშოს.**

**ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი საგანმანათლებლო პროექტი დასავლეთის რიგ ქვეყნებში დიდი ხნის წინათ აპრობირებული სქესთა აღრევის გლობალისტური თეორიაა, რომელიც ადამიანის ბუნებრივ საწყისებს უპირისპირდება. რას მოიტანს მსგავსი საგანმანათლებლო ცვლილებების განხორციელება საქართველოში, რაზეა ეს ყველაფერი გათვლილი და როგორ შეიძლება საზოგადოება დაუპირისპირდეს? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

— მამაო, რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომ სკოლებში უნდა დაიწყოს განხორციელება სპეციალური საგანმანათლებლო პროექტისა, რომლის მიხედვითაც, მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა შთაუნერგოს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება არ არსებობს, რომ ქალმაც შეიძლება მოირგოს მამაკაცის როლი და პირიქით. რა მოუტანა ევროპას ამ მიდგომამ და რა შეიძლება მოგვიტანოს ჩვენ?

— ამას წინათ ერთი მინისტრი, რომელთანაც სუფრაზე მოვხვდი, მიმტკიცებდა, რომ **გიორგი კვირიკაშვილი** ღრმად მორწმუნე ადამიანია და ასეთი მორწმუნე პრემიერი მართლმადიდებლურ სამყაროში არც ერთ სახელმწიფოს არ ჰყავს. მე, უბრალოდ, მიჩნდება შეკითხვა: **შეიძლება მორწმუნე ადამიანისთვის მისაღები იყოს ისეთი ორმაგი სტანდარტი, რომ, ერთი მხრივ, გუნდრუკი უკმიოს ეშმაკს და, მეორე მხრივ, ღმერთი სწამდეს?** მოციქული იაკობი პირდაპირ ამბობს, რომ ერთი დოქიდან ტკბილი და მწარე წყალი ვერ გადმოდინდება, ანუ ორი უფლის მონობა — ეს არის აბსურდი. რა გამოდის? — გამოდის, რომ, თუ ერთ-ერთს ემსახურები, და ამ შემთხვევაში ემსახურები ევროპელ ცისფერ კომისრებს, ეშმაკის ხელქვეითი ხარ. ასეთი ადამიანი შეიძლება მორწმუნე იყოს?!

**ნებისმიერი თანამდებობის პირი, პრემიერი იქნება თუ სხვა, რომელიც მხარს დაუჭერს სკოლაში გაუკუღმართებულ სწავლებას, რომელიც მიმართული იქნება გენდერული იდენტობის წაშლისკენ, ქვეყნის მტერია, მტერი ეკლესიისა, მტერი ღვთისა და სამშობლოსი!**

ახლა გადავხედოთ ევროპის მაგალითებს, უამრავი ფაქტია გერმანიის, შვედეთის, ნორვეგიის სკოლებში, რომ მსგავს სწავლებას მოჰყვა მოზარდების სრული დეგრადაცია. მეტსაც გეტყვით, ევროპის რიგ ქვეყნებში ერთი დღე აქვთ კვირაში სპეციალურად გამოყოფილი და მე **საკუთარი თვალით მინახავს, ამ დღეს ბიჭები გოგოს კაბით რომ მიდიან სკოლაში. ეს პირდაპირ ვალდებულებაა: ბიჭმა კაბა უნდა ჩაიცვას და პირიქით — გოგონებმა მამაკაცის ტანსაცმელი, დაიხატავენ წვერ-ულვაშს და ისე მიდიან სკოლაში.** აი, სად მივიდა იქ საზოგადოება და, ამასთანავე, არსებობს იუვენალური იუსტიცია თავისი საკანონმდებლო რეგულაციებით, რაც იმას ნიშნავს, რომ, **თუ რომელიმე მშობელი არ ეთანხმება სქესთა აღრევას, მამათმავლობის ან სხვა სახის გადახრების ნორმად გამოცხადებას, სასამართლო მას შვილს წაართმევს...**

კიდევ ერთხელ მივმართავ პრემიერმინისტრს: **რა ჰქვია ამას, ბატონო გიორგი?! როგორ შეიძლება, ნორმალური კაცი ამას ხელს აწერდეს?! როგორ შეიძლება, ამას ხელს აწერდეს ადამიანი, რომელსაც შვილი უყვარს, შვილიშვილი და გული შესტკივა თავის ქვეყანაზე?! როგორც ჩანს, ამ ადამიანს არც შვილი უყვარს, არც შვილიშვილი და არაფერი სწამს ამ ქვეყანაზე.**

აქვე ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც შევეხები: **სექტემბრის ბოლოს უდიდესი რამ მოხდა საქართველოში — ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ჩამოასვენეს. არც ერთმა ტელევიზიამ, არც ერთმა არხმა ამას სათანადო ყურადღება არ დაუთმო, თითქოს არაფერი მომხდარა.** ამ დროს კი ფეხბურთელ **გურამ კაშიას** დასაცავად ყველა ერთ მუშტად შეიკრა. **თურმე ამ ერთი უღირსი ადამიანის დაცვა და სოლიდარობა უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ვიდრე დედოფლის წმინდა ნაწილების ჩამოსვენება, რომელიც საქართველოსთვის ეწამა.**

— თქვით, რომ მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებიც, ერთი მხრივ, გუნდრუკს უკმევენ ეშმაკს და, მეორე მხრივ, თავს მორწმუნედ ასაღებენ. იმ დროს, როცა ეს ადამიანები პატრიარქის გვერდით დგანან ტაძარში და „ღვთისმოშიშობის“ დემონსტრირებას ცდილობენ, არც ერთი სასულიერო პირი არ უსვამს შეკითხვას, რატომ იღებენ მართლმადიდებლურ ფასეულობებთან აბსოლუტურად შეუსაბამო საკანონმდებლო ცვლილებებს?

— ამას წინათ ერთ-ერთ მინისტრს, რომელიც სხვებთან შედარებით ზნეობრივად ცხოვრობს, პირდაპირ ვკითხე: რატომ არის, რომ, როცა ხელისუფლებაში მოდიხართ, მხოლოდ „უმცირესობების“ უფლებებს იცავთ-მეთქი? გაშრა, ვერაფერი მიპასუხა. საერთოდ, მე ყველას ვთხოვ პასუხს, მინისტრი იქნება თუ პარლამენტარი, მათ მიერ მიღებულ ამორალურ კანონებზე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, გამკვირვებია იმ სასულიერო პირებისა, რომლებსაც ხშირი ურთიერთობა აქვთ მათთან და არაფერს ეუბნებიან. სხვათა შორის, ერთ კარგ მაგალითს გაგახსენებთ: თავის დროზე, როცა საბერძნეთის მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის თანახმად, 15 წლის ბავშვს შეუძლია სქესი შეიცვალოს, ათონის მთამ არ მიიღო პრემიერმინისტრი, ანუ ამ კანონის მიღებიდან მცირე ხნის შემდეგ პრემიერს სურდა მთის მონახულება და მონასტერმა შავი დროშები გამოფინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უზნეო კანონის მიმღები პრემიერის ადგილი იქ არ იყო. აი, ასეთი რაღაც უნდა გააკეთოს ჩვენმა ეკლესიამ, **როცა ბატონი კვირიკაშვილი, თავის მთავრობასთან ერთად, მივა ტაძარში, უბრალოდ, კართან უნდა დახვდეს ადამიანი და ჰკითხოს: შე დალოცვილო, როცა ამ კანონს იღებ და შენს შვილებს რყვნი, რა უფლება გაქვს, ტაძარში მოხვიდე?!**

**— და რატომ არ უთხრეს ეს თავის დროზე ხელისუფლების წარმომადგენლებს, როცა „ანტიდისკრიმინაციული“ კანონი მიიღეს?**

— სხვის ცხოვრებაში ვერ ჩავერევი, მე ჩემი თვალსაზრისი მაქვს, მაგრამ ერთი რამ ყველამ უნდა იცოდეს: **ადრე თუ გვიან, როცა ღვთის წინაშე წარვდგებით, უფალი ყველას გვკითხავს: სად იყავი, როცა შენი ერი, შენი ქვეყანა ირყვნებოდა? სხვათა შორის, ამას წინათ სერბეთიდან სასულიერო პირებმა შემატყობინეს, რომ დაახლოებით ერთი თვის წინათ მსგავსი შინაარსის დადგენილება მათთანაც მიიღეს. საპროტესტო გამოსვლებიც ყოფილა ბელგრადში, საკმაოდ ფართომასშტაბიანი, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, არც ერთმა ტელევიზიამ არ გააშუქა.** ანალოგიური პროცესი მიდის ჩვენთანაც — იღებენ ამორალურ კანონებს, ტელევიზიები კი უმცირესობების უფლებებზე საუბრობენ. თითქოს ჩვენ მოძალადე ერი ვართ და „განსხვავებულ“ ადამიანებს არსებობის საშუალებას არ ვაძლევთ, თითქოს ისინი ჩაგრულები არიან. ვინ არის სინამდვილეში დაჩაგრული და ვისი უფლებები ირღვევა?!

**— ქუთაისში ერთ-ერთი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტი იმის გამო გარიცხეს, რომ სოციალურ ქსელში „ლიბერალებისთვის“ მიუღებელი კომენტარი დაწერა. ასევე მიდის საუბარი „სექსუალური შევიწროების შესახებ“ კანონის მიღებაზე... აშკარაა, რომ „ნეოლიბერალური“ ტერორი გადამწყვეტ ფაზაში შედის. საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედება სადამდე შეიძლება მივიდეს რამ შეიძლება დაუსვას წერტილი ხალხის მოთმინებას?**

— ალბათ, რაღაც კატასტროფა უნდა მოხდეს, რომ ხალხი გონს მოვიდეს და მიხვდეს, საით მივდივართ. აქვე მინდა, მივმართო იმ პოლიციელებს და, საერთოდ, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებიც ერთუჯრედიანების დონეზე აზროვნებენ და მზად არიან, ნებისმიერი დავალება უსიტყვოდ შეასრულონ: **სანამ თქვენს შვილებს, ბოდიში და, არ გააუპატიურებენ, კოლჰოტებს არ ჩააცმევენ და არ გაათახსირებენ, ვერ უნდა მიხვდეთ, რა უბედურებას ემსახურებით?!** ჩვენ ხომ ჩვენი ჯიბიდან ვაფინანსებთ ამ ადამიანებს? ვის სამსახურში დგანან — ხალხის თუ ერთი მუჭა გარყვნილი „ლიბერალების“, რომლებსაც ადამიანური და ზნეობრივი არაფერი გააჩნიათ? კანონს კი არა, უკანონობას იცავთ, თუმცა ეს მარტო ძალოვანებს არ ეხება. **მაინტერესებს, სად არის ინტელიგენცია; სად არიან მწერლები, მეცნიერები, სპორტსმენები, ფილოსოფოსები... თუ ყველა მოისყიდა ივანიშვილმა?! როცა ასეთი მნიშვნელოვანი მომენტი დგას ქვეყნისთვის, გაჩუმება შეიძლება?! განა მათ არ იციან, რომ დუმილით ღმერთი გაიცემა?!**

**«სად არიან მწერლები, მეცნიერები, სპორტსმენები, ფილოსოფოსები... თუ ყველა მოისყიდა ივანიშვილმა?!»**

**— პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი გიორგი ანდრიაძე გამოვიდა ამას წინათ ინიციატივით, რომ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა საჯაროდ გამოხატონ თავიანთი პოზიცია: ჰომოსექსუალიზმი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი.**

— ძალიან კარგი ინიციატივაა, მაგრამ ვინმე ჩანს? ესენი რის გამკეთებლები არიან, ივანიშვილს ნაყიდი ჰყავს ყველა. სხვა, აბა, რა უნდა ვიფიქროთ?! **რამდენიმე წლის წინათ აქა-იქ თუ საუბრობდნენ ამ ე.წ. უმცირესობებზე, დღეს გეგონება, ლგბტ-თა გარდა, ხალხი არ ცხოვრობს დედამიწაზე. კიდევ ვიმეორებ: როცა ეს ნაძირალები, ამ ამორალური კანონების მიმღებ ხელისუფლებას ვგულისხმობ, ეკლესიაში მოვლენ, ხალხმა არ უნდა შეუშვას. მათ უნდა გააცნობიერონ, რა დანაშაულს სჩადიან ერისა და ქვეყნის წინაშე. იმიტომ, რომ, ისინი მსოფლიოს თვალში ჩვენი სახელით, ჩვენი დაკვეთითა და, იდეაში, ჩვენ მიერ „დემოკრატიულ არჩევნებზე“ გამოცხადებული ნდობის შესაბამისად აკეთებენ ყველაფერს...**

**«ნებისმიერი თანამდებობის პირი, პრემიერი იქნება თუ სხვა, რომელიც მხარს დაუჭერს სკოლაში გაუკუღმართებულ სწავლებას, მიმართულს გენდერული იდენტობის წაშლისკენ, ქვეყნის მტერია, მტერი ეკლესიისა, მტერი ღვთისა და სამშობლოსი!»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჰომოსექსუალიზმის, სოდომიის პროპაგანდის მოძალება მავნებელ ფაროსანას შემოსევას ჰგავს — ხრავს და სპობს, უპირველესად, ნორჩს, განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდა თაობის ფსიქიკაზე, რომელიც, ასე მგონია, უკვე შეეჩვია მამათმავლების, ტრანსსექსუალების, ლესბოსელების, ტრანსგენდერების გამოჩენა-გამოსვლებს ტელეშოუებში“**

# ქართველი საზოგადოება სოდომიის წინააღმდეგ

## როგორ აფასებენ სოდომიის მხარდამჭერ პროპაგანდას საზოგადოების სახელოვანი წარმომადგენლები

**ზღვარგადასული „ნეოლიბერალური“ ტერორი და ისტერიკა, რომელმაც უკვე უკლებლივ ყველა სფერო მოიცვა, პიკს აღწევს. მედია, სპორტი, პოლიტიკა, ხელოვნება... ყველგან და ყველაფერში ერთი პროპაგანდისტული კლიშე ბატონობს, „პროდასავლური შემწყნარებლური, განსხვავებულისა და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემით განმსჭვალული ტოლერანტობა“. ვინც ამას არ იზიარებს, ყველა სფეროში გზამოჭრილია. მეტიც, საკმარისია, რომელიმე მოქალაქემ სოციალურ ქსელში დაწეროს, რომ ჰომოსექსუალიზმი უარყოფითი მოვლენაა, ჰომოფობის, ანუ ბნელის, ორთოდოქსის, მოძალადისა და ფაშისტის იარლიყი გარანტირებული აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის ყველანაირი კარიერა, წინსვლისა და წარმატების ყველა პერსპექტივა დასამარებულია: თუ სტუდენტია — გაირიცხება, თუ სპორტსმენი — შეჯიბრებიდან მოიხსნება, თუ ხელოვანია — ვერასოდეს ეღირსება ხელშეწყობას სახელმწიფოსგან, თუ პოლიტიკოსია — ვერასოდეს მოხვდება მნიშვნელოვან თანამდებობაზე. და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარი თვალსაზრისი აქვს კონკრეტულ საკითხზე; იმის გამო, რომ, ვთქვათ, სექსუალურ გადახრას ნორმად არ მიიჩნევს... მოკლედ, დღეს წარმატებისა და კეთილდღეობის ყველა გზა სოდომიის სიყვარულზე, მის მხარდაჭერასა და წახალისებაზე გადის: ან ნორმად თვლი ამ მოვლენას და „ბნელი გრუზინების ჰომოფობობით“ გაკაპასებულ „ლიბერალებს“ უერთდები, ან გაირიყები და ყველანაირ პერსპექტივას დაემშვიდობები...**

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა, 41-ე ნომერში პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრმა გიორგი ანდრიაძემ მოუწოდა მწერლებს, მეცნიერებს, მსახიობებს, საჯაროდ გამოხატონ დამოკიდებულება მამათმავლობის მიმართ — დადებითი მოვლენაა ის თუ უარყოფითი და როგორ აფასებენ სოდომიის მხარდამჭერ პროპაგანდას, რომელიც ქართულ მედიასივრცეში მიმდინარეობს.**

**რა პროპაგანდასა და იდეოლოგიასთან გვაქვს რეალურად საქმე, რა ძალები დგანან ამ ყველაფრის უკან და, რაც მთავარია, ჰომოსექსუალიზმი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი — „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის საზოგადოების ცნობილ და სახელოვან წარმომადგენლებს დაუკავშირდა.**



### „ჰომოსექსუალობა უკიდურესად უარყოფითი მოვლენა და დიდი ცოდვაა“

**ზარბეგ ბერიაშვილი, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის დიდი ოქროს მედლის მფლობელი, სსრკ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი:**

— თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვარ. რა თქმა უნდა, წავიკითხე ბატონ გიორგი ანდრიაძის მოწოდება და ვიზიარებ მის პოზიციას. როგორც ქრისტიანს, მიმაჩნია, რომ ჰომოსექსუალობა უკიდურესად უარყოფითი მოვლენა და დიდი ცოდვაა, რომ ყველა ქრისტიანმა ხმა უნდა ამოიღოს სოდომიის თავაწყვეტილი პროპაგანდის შესაჩერებლად, თორემ გაჩუმებით ვყიდით უფალს.

გააქტიურება მართლაც საჭიროა, თუმცა, „საქართველო და მსოფლიოს“ რომ ვკითხულობ, ვრწმუნდები, ეს გაზეთი, გულახდილად გეტყვით, ვაჟკაცურად იცავს ერის სულიერ და ფიზიკურ სიწმინდეს. ამ თვალსაზრისით ქართულ მედიაში პირველობთ.

მე რომ მკითხოთ, **ჰომოსექსუალიზმის, სოდომიის პროპაგანდის მოძალება მავნებელ ფაროსანას შემოსევას ჰგავს — ხრავს და სპობს, უპირველესად, ნორჩს, განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდა თაობის ფსიქიკაზე, რომელიც, ასე მგონია, უკვე შეეჩვია მამათმავლების, ტრანსსექსუალების, ლესბოსელების, ტრანსგენდერების გამოჩენა-გამოსვლებს ტელეშოუებში.** ახალგაზრდობას ასმენინებენ მათ მოსაზრებებს, რომ თურმე გარყვნილება ნორმაა, და აბსურდული ე.წ. არგუმენტებით აჯერებენ, რომ, გარდა ბიოლოგიური მამრობითი და მდედრობითი სქესისა, მესამე სქესიც არსებობს და ეს ბუნებრივი მოვლენაა.

გააჩნია, რა კუთხით შეხედავ, თორემ **ცხენებში, მაგალითად, ჯორიც გამოერევა, გამრავლების უუნარო პირუტყვი, მაგრამ ვინმეს აზრად მოუვა ჯიშიანი არაბული ბედაურის გადაშენება ამ უსქესო არსების გამრავლების ხარჯზე?!**

ძველი ანეკდოტი გამახსენდა: ჩვენი მეზობელი ქვეყნის რადიოში მამათმავლობის საკითხზე დისკუსია მიმდინარეობს. მიწვეულ ექსპერტს ეკითხებიან:

— შეიძლება თუ არა, რომ მამაკაცების სქესობრივი კავშირის შედეგად გაჩნდეს ბავშვი?

პასუხი:

— ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ ცდები მიმდინარეობს.

ჩვენი გადაშენება უნდათ ამ ოჯახქორებს?!

ჩემი ხნისა და გამოცდილების კაცს, მგონი, მაქვს უფლება, ქართველი სპორტსმენების სახელით ვილაპარაკო. ჩვენ, ვეტერანები, რომლებსაც საქართველოს სახელი ბევრჯერ წარმატებით აგვიტანია ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატების, ოლიმპიური თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, შესაძლებლობის ფარგლებში დღესაც ვილვწით ქართველი ვაჟკაცების ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდის ასპარეზზე, ამაზე ნაკლებად ვლაპარაკობთ, უფრო — ვსაქმიანობთ. შედეგიც არის, რასაც ადასტურებს თუნდაც ქართველი მოჭიდავეების წარმატებული გამოსვლები საერთაშორისო შეჯიბრებებში, ჭაბუკებისა და გოგონების მასობრივი ჩაბმა სპორტულ სექციებში. სპორტსმენობა კვლავ მოდურია.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული რომ არის, ეს დებულება ჯერ არავის გაუუქმებია, თუმცა ტურებივით გარშემო უტრიალებენ, დასუნსულებენ და გადეგვლების მცდელობას არ აკლებენ.

მაგრამ არაფერი გამოუვათ!

ამას ჩვენ ვამბობთ, ვეტერანი სპორტსმენები.



### „ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, უმცირესობამ კეთილი უნდა ინებოს და პატივი სცეს ამ მოსახლეობის ინტერესებს“

**ზაზა პაპუაშვილი, მსახიობი, რეჟისორი, პარლამენტარი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ბლოკიდან:**

— ის აჟიოტაჟი, რომელიც ამ საკითხის გარშემო ატყდა და ამას, ძირითადად, მედია აკეთებს, ხელოვნურადაა გამოწვეული. როგორც ჩანს, ვიღაცას სჭირდება, რომ ქართველი საზოგადოების მენტალობა, ცნობიერება რაღაც შავრაზმულ, ძალადობრივ კულტურად წარმოაჩინოს. საერთოდ, დღეს **თვით იმ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები უფრო წყნარად არიან, ვიდრე ის ხალხი, რომელიც ამ თემაზე ატეხილი ხელოვნური ხმაურით ფულს შოულობს.** ძალიან ბევრია ასეთი და, მერწმუნეთ, არავის აინტერესებს სხვისი ცხოვრება. შემხვედრია ასეთი ადამიანები, მაგრამ მათ მიმართ არასოდეს გამჩენია აგრესია. ან როგორ შეიძლება რაიმე სახის ძალადობის, დევნისა და შევიწროების მომხრე იყო ნორმალური კაცი, მაგრამ ვინ ვისზე ძალადობს, ეს კიდევ საკითხავია.

**— ძალადობას, რა თქმა უნდა, ყველა ვემიჯნებით, მაგრამ თვითონ მოვლენა ხომ უნდა შეფასდეს? ხომ უნდა ითქვას საჯაროდ ჰომოსექსუალიზმი, სოდომია დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი?**

— ჩემთვის ეს არის ანომალია და გადახრა, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: ეს არ ნიშნავს ვიღაცის შევიწროებას, დევნას... როგორც მას აქვს უფლება, იყოს ისეთი, როგორიც არის ან უნდა, რომ იყოს, ისე მაქვს მეც უფლება, ამ ყველაფერს ან დადებითად ვაფასებდე, ან უარყოფითად; მაგრამ კონფლიქტი იწყება სად, იცით? როცა ვიღაც გეუბნება, რომ ამ შენი თვალსაზრისის, აზროვნების, მსოფლმხედველობის გამო მოძალადე ხარ და შავრაზმელიო. აი, ეს არ უნდა იყოს. და უფლებებზე როცა საუბრობენ, კი ბატონო, ყველას უფლებები დავიცვათ, მაგრამ **ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია და ტრადიციული ფასეულობებით, ღირებულებებით ცხოვრობს, უმცირესობამ კეთილი უნდა ინებოს და პატივი სცეს ამ მოსახლეობის ინტერესებს...**



### „აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენი მენტალობისთვის, დამაქცეველი და დამანგრეველია ქვეყნისთვის და, განსაკუთრებით, მისი მომავლისთვის“

**ვახტანგ გვარამია, იურისტი, საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი:**

— ჰომოსექსუალიზმის შეფასებაში ჩემი პოზიცია აბსოლუტურად ესადაგება ყველა ქართველის პოზიციას, რომელიც პატივს სცემს თავისი სამშობლოს წარსულს, ერის ტრადიციებს. იგი აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენი მენტალობისთვის, დამაქცეველი და დამანგრეველია ქვეყნისთვის და, განსაკუთრებით, მისი მომავლისთვის.

**— რატომ არ იღებს ხმას ჩვენი ელიტა? იმიტომ ხომ არა, რომ ტელევიზიები არ იწვევენ, ჟურნალისტები ინტერვიუს ჩამორთმევისთვის თავს არ იკლავენ?**

— ინტელიგენციის აზრი ერთმნიშვნელოვნად იგივეა, როგორიც ჩემი, ყოველ შემთხვევაში, მათი, ვისთანაც შეხება მაქვს, მაგრამ ეშინიათ, რომ საჯარო გამოსვლები გამოიწვევს ისეთ გამძაფრებულ თავდასხმას ყვითელი პრესის მხრიდან, რომელსაც ვერ გაუძლებენ, და ამიტომ ურჩევნიათ განზე გადგნენ.

**— საბჭოთა პერიოდში ჰომოსექსუალიზმი დანაშაულებრივ ქმედებად ითვლებოდა...**

— 121-ე მუხლი იყო, თუ არ ვცდები, სისხლის სამართლის კოდექსის. დანაშაულად ითვლებოდა სქესობრივი კავშირი მამაკაცისა მამაკაცთან. მაინცდამაინც ფართოდ არ იყო გავრცელებული, ცოტა აღირიცხებოდა და ცალკეულ შემთხვევებში ისჯებოდა.

**— დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ამ დანაშაულს არ ცნობს.**

— ის ძველი კანონი ითვლება დისკრიმინაციულად. შეიძლება მართალიცაა, რადგან ადამიანი თავის სხეულს თავად განაგებს, მაგრამ **ადამიანის ქმედება საზოგადოების წინააღმდეგ არ უნდა იყოს მიმართული.** მიმაჩნია, რომ **ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, იმის მტკიცება, რომ ასეთ ქმედებაში ცუდი არაფერია, კარგია და მისაბაძი, უნდა ისჯებოდეს.** შეიძლება არა მაინცდამაინც სისხლის სამართლებრივი წესით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული რეაქცია საზოგადოების მხრიდან უნდა იყოს.

**— ვინ უნდა აღკვეთოს — კანონმა?**

— ალბათ, კანონმა. კანონი რა არის? იგი გამოხატავს ადამიანების გარკვეულ ნებას და სავალდებულოა საზოგადოებისთვის. ნება თუ იქნება და თუ იგი კანონის სახით გამოიხატება, კანონმა უნდა აღკვეთოს.



### „ტრადიციული, ქრისტიანული თვალსაზრისით, ეს არის ცოდვა და მე ვარ ქრისტიანი“

**ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი:**

— ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ცდილობს, ჰომოსექსუალიზმი ნორმად წარმოაჩინოს, ემსახურებიან რაღაც პროპაგანდას და კონკრეტულ იდეოლოგიას. ტრადიციული, ქრისტიანული თვალსაზრისით, ეს არის ცოდვა და მე ვარ ქრისტიანი. სხვა საკითხია ის, რომ ჩვენ ყველა ცოდვილისადმი უნდა ვიყოთ თანაგრძნობით განმსჭვალულნი.

ამ შემთხვევაში საქმე, ალბათ, გვაქვს კამპანიასთან, რომელიც მიმართულია არა იმდენად ვიღაცის უფლებების და-

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვიღაცას უნდა, ეს ყველაფერი ისე წარმოაჩინოს, თითქოს ნორმალურია, თითქოს ამაში ცუდი არაფერია და ჩვეულებრივად უნდა აღვიქვათ. ამას ემსახურება ის ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც უკვე ყველა ზღვარს სცდება და ვხედავთ, სადამდეც მიდის ეს ყველაფერი... ასეთი ადამიანები ადრეც იყვნენ და, ალბათ, მომავალშიც იქნებიან, მაგრამ ახლა საქართველოში ეს ფულის შოვნის საშუალებად იქცა“**

**«ე.წ. ნეოლიბერალური ტერორი ცდილობს, ანომალია წარმოაჩინოს ნორმად. მიზანი კი ერთია — ადამიანის ცნობიერება უნდა დამახინჯდეს და გაუკუღმართდეს ისე, რომ მას აღარ შეეძლოს ჯანსაღისა და არაჯანსაღის, ნორმალურისა და ავადმყოფის გარჩევა. აი აქ არის ყველაზე დიდი საფრთხე, ყველაზე დიდი ნაღმი ჩადებული და, თუ ამ ნაღმს დავაბიჯებთ, ავფეთქდებით. აქ აღარ არის მხოლოდ ტრადიციებსა და კულტურულ ფასეულობებზე საუბარი, უბრალოდ, ჩვენ აღარ ვიცხოვრებთ იმ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია, იმ ქვეყანაში, რომელიც წინაპრებმა დაგვიტოვეს»**

ცვისკენ, რამდენადაც პროვოკაციის გამოწვევისკენ. ეს პროვოკაცია, ცხადია, ემსახურება ტრადიციული ქრისტიანული და არამხოლოდ ქრისტიანული, საზოგადოდ, კონსერვატიული იდეოლოგიის დისკრედიტაციას, ამიტომ საკითხი უნდა დავაყენოთ ასე: ვინ რა პოზიციიდან უყურებს ამ ყველაფერს, ვინ რა თვითშეგნებისა და ცნობიერების მქონეა. მე, კიდევ ვიმეორებ, ვარ ქრისტიანი და ქრისტიანული თვალსაზრისი ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანია — **ჰომოსექსუალიზმი, როგორც მოვლენა, უარყოფითი მოვლენაა, თუმცა ეს არ ნიშნავს ვინმეს შევიწროებას და დევნას, რის წარმოჩენასაც ჩვენი მედია დიდი მონდომებით ცდილობს.**



## „გაუკუღმართებული აზროვნება, ცნობიერება, ცხოვრების წესი, როგორ შეიძლება, დადებითად ჩაითვალოს?!“

**გია ბურჯანაძე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი:**

— როგორ შეიძლება, ჰომოსექსუალიზმი და სოდომია დადებითი მოვლენა იყოს?! ღმერთისგან არ არის დადებითი. გაუკუღმართებული აზროვნება, ცნობიერება, ცხოვრების წესი თუ, რაც გინდათ, დაარქვით, როგორ შეიძლება, დადებითად ჩაითვალოს?! ეტყობა, ვიღაცას უნდა, ეს ყველაფერი ისე წარმოაჩინოს, თითქოს ნორმალურია, თითქოს ამაში ცუდი არაფერია და ჩვეულებრივად უნდა აღვიქვათ. ამას ემსახურება ის ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც უკვე ყველა ზღვარს სცდება და ვხედავთ, სადამდეც მიდის ეს ყველაფერი... **ასეთი ადამიანები ადრეც იყვნენ და, ალბათ, იქნებიან მომავალშიც, მაგრამ ახლა საქართველოში ეს ფულის შოვნის საშუალებად იქცა.** უკაცრავად, მაგრამ მე ამაში მონაწილეობას ვერ მივიღებ. მე ამ სამარცხვინო ამბებში არ ჩავერთვები...



## „ჰომოსექსუალიზმი გადახრაა, ჰომოსექსუალიზმი ანომალიაა და ამაზე არანაირი მსჯელობა, არანაირი კამათი არ უნდა მიდიოდეს“

**გიორგი ახვლედიანი, ყოფილი პარლამენტარი, პარტია „დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი:**

— სამწუხაროდ, **ჰომოსექსუალიზმი ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა ჩვენს დღევანდელ რეალობაში, იმიტომ, რომ, როგორც არასდროს, ისეა მოზღვავებული ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ხელდასხმული დონორი ორგანიზაციები და მათი ძალისხმევა ამ საკითხისკენაა მიმართული. სწორედ იქიდან გადმორიცხული ფულით ხორციელდება საქართველოში ბევრი პროექტი, რომლებიც მიმართულია ყალბი ლიბერალური პროპაგანდის გაძლიერებისკენ, ამ ფულით ფინანსდებიან ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებიც და დღეს, ფაქტობრივად, ეს ორგანიზაციები უფრო მეტია, ვიდრე მათ მიერ „დასაცავი“ მამათმავლები.**

რაც შეეხება თვით მოვლენას, ჰომოსექსუალიზმი, ცხადია, გადახრაა და ნებისმიერი მცდელობა, ნებისმიერი პროპაგანდა თუ იდეოლოგია, რომელიც ჰომოსექსუალიზმს ნორმად წარმოაჩენს, ეწინააღმდეგება საღ აზრს, ჯანსაღ ადამიანურ ცნობიერებას. ბუნებამ ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინათ განსაზღვრა, როდესაც უფალმა ერთობისთვის შექმნა ორი ურთიერთსაპირისპირო სქესის ადამიანი — ქალი და მამაკაცი. სწორედ ეს დაედო კაცობრიობის გამრავლებას, მის შემდგომ არსებობას საფუძვლად და ბუნებრივიც ეს არის. ამის საწინააღმდეგო ქმედება კი არაბუნებრივი და არანორმალურია. ასე რომ, საერთოდ, საკითხის დასმაც კი ზედმეტია... რა თქმა უნდა, ჰომოსექსუალიზმი გადახრაა, ჰომოსექსუალიზმი ანომალიაა და ამაზე არანაირი მსჯელობა, არანაირი კამათი არ უნდა მიდიოდეს.

**— თუმცა დღეს ამ პოზიციის საჯაროდ გამოხატვა ნიშნავს, რომ სერიოზული პროპაგანდისტული წნეხის ქვეშ აღმოჩნდები. ნებისმიერ სფეროში მოღვაწე ადამიანს, სპორტსმენი იქნება, ხელოვანი, მეცნიერი თუ პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის, რომ ჰომოსექსუალიზმი უარყოფითი მოვლენაა, პერსპექტივა, ფაქტობრივად, არ აქვს.**

— დიახ, ამას აკეთებს სწორედ ის ე.წ. ნეოლიბერალური ტერორი, რომელიც ცდილობს, ანომალია წარმოაჩინოს ნორმად. მიზანი კი ერთია — ადამიანის ცნობიერება უნდა დამახინჯდეს და გაუკუღმართდეს ისე, რომ მას აღარ შეეძლოს ჯანსაღისა და არაჯანსაღის, ნორმალურისა და ავადმყოფის გარჩევა. აი აქ არის ყველაზე დიდი საფრთხე, ყველაზე დიდი ნაღმი ჩადებული და, თუ ამ ნაღმს დავაბიჯებთ, ავფეთქდებით. აქ აღარ არის მხოლოდ ტრადიციებსა და კულტურულ ფასეულობებზე საუბარი, უბრალოდ, ჩვენ აღარ ვიცხოვრებთ იმ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია; იმ ქვეყანაში, რომელიც წინაპრებმა დაგვიტოვეს და თაობებს უნდა გადავცეთ. ჩვენ მივიღებთ მანქურთების ქვეყანას, რომელსაც ეროვნული იდენტობა და ცნობიერება წაშლილი ექნება...



## „დეგრადაციისთვის ხელის შეწყობა, მით უფრო, პროპაგანდა არაფრით არის გამართლებული“

**დავით იაკობიძე, ეკონომისტი, პროფესორი, საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრი:**

— სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ჰოლივუდის მაგალითზე დაწყებული კამპანია, რომელიც „ზნეობრიობის დაცვის“ ლოზუნგით მიმდინარეობს, მაგონებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელის — **დომინიკ სტროს-კანის** წინააღმდეგ რამდენიმე წლის წინათ ორგანიზებულ კამპანიას. ამ ადამიანს პრეტენზია ჰქონდა საფრანგეთის პრეზიდენტობაზე, რისი წინააღმდეგიც იყო ამერიკის შეერთებული შტატების ისტებლიშმენტი. რატომ და რის გამო, ამაზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. ამ შემთხვევაში მთავარი არის ის, რომ ამ ღირსეულ კაცს მოუწყვეს პროვოკაცია, შეთხზეს „სენსაციური“ ამბავი, თითქოს იგი გაუპატიურებას უპირებდა ნიუ-იორკის ერთ-ერთი სასტუმროს დამლაგებელს თუ სართულის მორიგე ქალს. ატეხეს ერთი დავიდარაბა, დაიწყო გამოძიება, დაკითხვები, საქმე სასამართლომდე მივიდა და ამ „სენსაციურ“ პერიპეტიებს დეტალურად აშუქებდა მსოფლიო პრესა. ბოლოს და ბოლოს, არაფერი დადასტურდა, მაგრამ სტროს-კანი გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან.

ამ ორ მოვლენაში აშკარად ჩანს „ერთი ავტორის“ ხელწერა და კიდევ — ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მეთოდია გამოყენებული. კერძოდ, საზოგადოებას თავს ახვევენ „მაღალი მორალისთვის“ ბრძოლას, ფაქტობრივად კი, პოლიტიკურ ჩანაფიქრს განახორციელებენ: სატყუარა აქცენტის საჯაროდ გამოტანით მოვლენის არსს, ჭეშმარიტ მიზანს გადაფარავენ. ასე ხდება მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეში, ასეა ჩვენთანაც. **ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის დაწყებაც და ამორალურობის წინააღმდეგ ბრძოლის წინა პლანზე გამოტანა, ვეჭვობ, მიზნად ისახავს იმ პრობლემების გადაფარვას, რომლებიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს.**

**— ჰომოსექსუალიზმის მიმართ როგორია თქვენი პოზიცია?**

— რომელ მხარეს ვდგავარ? ამაზე პასუხის გაცემა მარტივია, მაგრამ თავიდან მოცილებას დაემსგავსება. თუ ნებას მომცემთ, ჩემს არგუმენტებს მოგახსენებთ.

**— ბრძანეთ.**

— ჩვენში ფეხმოკიდებული ე.წ. ლიბერტარიანული ფილოსოფიის მიხედვით, არ არსებობს საკუთრება, რომელიც სადავო არ არის. ადამიანი ვერაფერზე იტყვის, რომ ეს ჩემია, გარდა საკუთარი სხეულისა, ამიტომ სხეულს სჭირდება დაცვა, რადგან მისი (სხეულის) პრობლემები საზოგადოებრივი ხასიათის მქონეა და მისთვის (საზოგადოებისთვის) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

როცა ლიბერტარიანელების (ნეოლიბერალების) ტენდენციები დრო და დრო იმარჯვებს, ისინი გამოდიან წინა პლანზე და იწყებენ თავიანთი თვალსაზრისის დემონსტრირებას.

დღეს ასეთი დრო დაუდგათ.

თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ მათი თავის გამოჩენა ყოველთვის ცხარე დისკუსიების ფონზე მიმდინარეობდა, რასაც ზოგჯერ პარტიების შიგნით განხეთქილებაც სდევდა. მაგალითად, კომუნისტური მოძრაობის ისეთმა აღიარებულმა ლიდერმა, როგორიც **მიშელ ფუკო** იყო, კომპარტიის რიგები დატოვა იმის გამოც, რომ კომუნისტებმა მამათმავლობის ლეგალიზაციას მხარი არ დაუჭირეს.

**— მაგრამ ფუკოს წასვლის გამო შავები არავის ჩაუცვამს.**

— მართალია. თვალსაზრისების დაპირისპირება დღეს საქართველოში განსაკუთრებით ემოციურ ფონზე მიმდინარეობს. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, არის ის ემოციური ტალღა, რომელიც გულწრფელი კი არის, მაგრამ ნაკლებ კომპეტენტური, ცოტა მოუმზადებელი და ერთგვარად ხელოვნურიც და ისე გამოვიდა, რომ წინააღმდეგობის ორგანიზატორებმა წყალი მიუშვეს იმ წისქვილს, რომელიც მათი მოძრაობის საწინააღმდეგოდ დატრიალდა.

ცოტა ზედმეტი მოუვიდათ. „ბილწთ არ შევეკვრი ზავითა“ ყველა დროში მართალ მოწოდებად რჩება, მაგრამ ისიც მართალია, რომ მათ დონემდე არ უნდა დავეშვათ სიწმინდისთვის ბრძოლისას.

**ვისაც რა სურს, ის გააკეთოს, არავისი მსაჯული არ ვარ, მაგრამ დეგრადაციისთვის ხელის შეწყობა, მით უფრო, პროპაგანდა არაფრით არის გამართლებული.** ზედმეტი პედალირებაც არ შეიძლება, თორემ ერთ სატელევიზიო თოქშოუში ერთმანეთსაც დასცხეს. ასეთი არაჯანსაღი გაბუქება ჩვენი საზოგადოებისთვის საზიანოა.

**— რა დავუპირისპიროთ ამ მოძალებას?**

— გო-ნი-ერება. არ „გამოვფინოთ“ ტელეეკრანზე ის ადამიანები, რომლებიც მაინცდამაინც ამ გზით ცდილობენ პოპულარობის მოხვეჭას. **არიან საქართველოში აქტივისტები, რომლებმაც თამადობის ინსტიტუტიც კი ეჭვქვეშ დააყენეს, რომლებსაც ქეიფი და „გეიფი“ ერთი და იგივე ჰგონიათ, საჯაროდაც გამოუცხადებიათ ამის შესახებ, ისინი კვლავ ტელეეკრანებიდან გველაპარაკებიან... მორალზე.**

არიან ე.წ. ტრადიციის დამცველებიც, რომლებსაც საზოგადოებისთვის არაფერი გაუკეთებიათ, არაფერი შეუქმნიათ, მაგრამ მოძღვრებად სხედან ტელეკამერების წინ — ერთი და იგივენი, ერთი და იგივენი. ბებიაჩემი ერთსა და იმავე კაცს ხშირად რომ უყურებდა ეკრანზე, მეტყოდა, — ბებია, ეგ კაცი, ეტყობა ჯამაგირშია ჩამდგარი მანდო.

ფულს უხდიანო.

ეტყობა, მართლაც რაღაც წახალისება ჰქონდათ და აქვთ.

გამოჩნდებიან ეკრანზე და სიყვარულს გვეფიცებიან — „ჩემო საყვარლებო და ძვირფასებო!“

რა დროს „საყვარლებო“ და „ძვირფასებოა“, როცა ქვეყანა შეიძლება თავზე დაგვექცეს?! მელაპარაკე სერიოზულად, თუ შეგიძლია. მაგრამ რომ არ გამოგდის საზოგადოებასთან საუბარი ისე, როგორც მას ეკადრება, დაუთმე ეკრანი სხვას, ვისაც ამის გაკეთება ხელეწიფება. შენ თუ არ ილაპარაკებ, შემდეგ არც ის ენატარტარა გოგო გამოვა და არ „აუხსნის“ ქვეყანას, რა ცუდია „თვალების მიშტერება“. ვთქვათ პირდაპირ და მოურიდებლად: **მოვაწამვლინოთ ჰომოსექსუალებს ჩვენი ცხოვრება თუ დავდგეთ ეროვნული ღირსების სადარაჯოზე?**

**«ჰომოსექსუალიზმი ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა ჩვენს დღევანდელ რეალობაში, იმიტომ, რომ, როგორც არასდროს, ისეა მოზღვავებული ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ხელდასხმული დონორი ორგანიზაციები და მათი ძალისხმევა ამ საკითხისკენაა მიმართული. სწორედ იქიდან გადმორიცხული ფულით ხორციელდება საქართველოში ბევრი პროექტი, რომლებიც მიმართულია ყალბი ლიბერალური პროპაგანდის გაძლიერებისკენ. ამ ფულით ფინანსდებიან ე.წ. არასამთავრობოებიც და დღეს, ფაქტობრივად, ეს ორგანიზაციები უფრო მეტია, ვიდრე მათ მიერ «დასაცავი» მამათმავლები»**

მოამზადეს
**არმაზ სანებლიძემ**
და **ჯაბა ჟვანიამ**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საზოგადოებაში არატრადიციული აზროვნების გააქტიურება — ეს არის ჰიბრიდული ომის ასიმეტრიული მეთოდიკა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების გახლეჩას, გაყოფას, ანტაგონისტურ ჯგუფებად ჩამოყალიბებას, ურთიერთდაპირისპირებას, მართვადი ქაოსის შექმნას და დესტაბილიზაციას. აი რა არის ჰიბრიდული ომისა და ფსიქოლოგიური დივერსიის მიმართულება“

დავით ნემსაძე:

# არსებობს უცხო ქვეყნის სადაზვერვო ინტერესი, რომელსაც ემსახურება სახალხო დამცველის აპარატი და ეს აშკარაა!

**შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელმა დავით ნემსაძემ სახალხო დამცველის ოფისთან თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსის, თამარ გაბიანის, ფოტო დაწვა და მისი გადადგომა მოითხოვა. ამ რადიკალური ფორმის პროტესტის გამომწვევ მიზეზებზე თვითონ დავით ნემსაძე გვიამბობს:**



— ეს იყო შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მოთხოვნა. წერილობით მაქვს დადასტურებული, როგორ შეურაცხყვეს **თამარ გაბიანმა** და მის დაქვემდებარებაში მყოფმა იურისტმა, გაურკვეველი ორიენტაციის **გიორგი ძაძუამ** ის ჯარისკაცები, რომელთა უფლებებიც უნდა დაეცვათ. მაინცდამაინც გეი უნდა იყო, რომ სახალხო დამცველის აპარატმა შენი უფლებები დაიცვას?! ეს არის მათი საბრძოლო ალგორითმი და აქეთ ექაჩებიან საზოგადოებას. სახალხო დამცველის აპარატში სხვა არაფერი ხდება. თამარ გაბიანის სურათის დაწვით გამოვხატე პროტესტი ყველა იმ საქმის უგულებელყოფის გამო, რომლებიც მასთან მოსაკვლევად შევიდა. ჩვენ არ გვჭირდება გაბიანისნაირი სამხედრო ომბუდსმენი, ის სამარცხვინოა! ამიტომაც მოვითხოვეთ მისი გადადგომა და მას უნდა მიჰყვეს **უჩა ნანუაშვილიც**. სახალხო დამცველის აპარატი არის შავი ხვრელი საქართველოს ბიუჯეტში...

**— რას გულისხმობთ შავ ხვრელში?**

— ამ ადამიანებმა არ იციან სამხედრო ბაზების დისლოკაციის ადგილები. ციხეში სხვა მიდგომებია საჭირო და ჯარში — სხვა. ციხეში სასჯელს იხდიან, ჯარში კი სამშობლოს ემსახურებიან. თუ ვინმეს ჰგონია, რომ თამარ გაბიანი ციხეში ამუშავეს უფლებების დამცველად და მერე მოიყვანეს ჯარში, არევია გონება. ჯარი ციხე არ არის, თუმცა, მათი მიდგომა შეიარაღებული ძალების მიმართ ციხეზე უარესია. მაგალითად, სამხედრო პოლიციელმა გალახა ჯარისკაცი. ამ საქმეზე განცხადება შევიდა თამარ გაბიანთან, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია; გარდა ამისა, აშკარად ცდილობდნენ ოფიცრების კომპრომეტაციას — ჭორებს გვივრცელებდნენ პირად შემადგენლობაში, რომ აგენტები ვიყავით. ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ ჩვენ ახალაიას მინისტრობის პერიოდში დაგვითხოვეს და მერე დავბრუნდით შეიარაღებულ ძალებში. იმ ჯგუფს, რომელიც იქ დაგვხვდა, არ მოეწონა ჩვენი დაბრუნება და დაიწყო ჭორების გავრცელება. ქალბატონ გაბიანს წერილობითი მასალები აქვს, ვინ აკეთებდა ამას, როგორ და რისთვის, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ჰქონია.

**— ვინ, რატომ და ვის წინააღმდეგ აკეთებდა ამას?**

— ეს იყო ბრძოლა უსამართლოდ დაჭერილი, უსამართლოდ გათავისუფლებული ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა შორის მეც ვიყავი. ადამიანებს იბარებდნენ და სთავაზობდნენ ფულს იმის სანაცვლოდ, რომ მოეხდინათ რეპრესირებული ადამიანების კომპრომეტაცია. ამას აკეთებდა შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზის იურისტი, რომელიც ახალაიას მინისტრობისას გაბიანთან ერთად მუშაობდა პენიტენციურ სისტემაში, ის ყოფილი პოლიციელია. გეტყვით განცხადებების ნომრებს და გამოითხოვეთ, არის თუ არა ეს განცხადებები თამარ გაბიანთან შესული? ამას თავი რომ დავანებოთ, ნეპოტიზმზეც სია გვქონდა შედგენილი და ეს სიაც გადავეცით თამარ გაბიანს, სადაც ეწერა, მაგალითად, რომელი ჯარისკაცი ვისი ნათესავი და ახლობელი იყო. ასეთ ხალხს მერე უჩნდებოდა პრეტენზია, რომ განაწესში არ გასულიყვნენ. ასეთი დამოკიდებულება ანგრევს შეიარაღებულ ძალებს. მაგალითად, ჯარისკაცს გაუვარდა იარაღი და, სადისციპლინო წესით დასჯის ნაცვლად, მეორე დღეს ე.წ. დათხოვნაში წავიდა, რაც წახალისების ფორმაა. და „დათხოვნაში“ წავიდა იმიტომ, რომ პროკურორის შვილი იყო. გაბიანმა ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენია, რადგან თვითონაც ასეა მისული იქ, სადაც არის, ყოველგვარი სამხედრო განათლების გარეშე. 2500 სამხედრო დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან. არც უჩა ნანუაშვილს და არც თამარ გაბიანს არც ერთ შემთხვევაში არ გამოუყენებიათ სახალხო დამცველის ტრიბუნა პოზიციის გამოსახატავად. და რა მოხდა ე.წ. რეფორმის შემდეგ? — გენერალურ ინსპექციაში დასაქმდნენ თავდაცვის მინისტრ **ლევან იზორიას** თანასოფლელები, პარლამენტარ **კილაძის** ქმარი და სხვები. **რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა, დაახლოებით იმავეს აკეთებენ ესენიც.** ეს ე.წ. რეფორმა ერთხელაც არ გაუპროტესტებიათ უჩა ნანუაშვილსა და თამარ გაბიანს. პროფესიონალები გაყარეს შეიარაღებული ძალებიდან, მაგალითად, **ელგუჯა ურუშაძე** — ბირთვული ქიმიისა და ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი, ამ სფეროში ასეთი სპეციალისტი შეიარაღებულ ძალებს არ ჰყავს. გააგდეს **მამუკა ლომოური** — სამთო დაზვერვის სპეციალისტი და 12 წიგნის ავტორი. აი ასეთ ადამიანებზე ამბობენ უარს, ეს ხდება მაშინ, როდესაც თავდაცვის მინისტრის მოადგილე **ნუკრი გელაშვილმა** თანამდებობაზე დანიშვნიდან 3 თვეში 3 ათასი ლარის პრემია აიღო, და არც იცის, რისთვის. ორმაგი პრემია აიღო ქალბატონმა **ლელა ჩიქოვანმა**, რომელიც სამოქალაქო ოფისში იჯდა, პოლკოვნიკი იყო და გენერალ-მაიორის წოდება მოითხოვა. არადა, როდესაც პოლკოვნიკი ხარ, ჯერ უნდა მიიღო ბრიგადის გენერლის წოდება, შემდეგ — გენერალ-მაიორის. ამასაც თავი დავანებოთ, 24 წლის შვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიიყვანა. ეს სამსახური აკონტროლებს თავდაცვის სამინისტროს და რა გამოდის — შვილმა დედა უნდა გააკონტროლოს? ეს არის სისტემური პრობლემები, რომლებიც აუცილებლად უნდა მოვაგვაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მანკიერებები შეიწირავს საქართველოს უსაფრთხოებას. პირდაპირ ვიტყვი: **თავდაცვის სამინისტრო გადაგვარებულია — დგას საყვარლებზე, მეგობრებზე, ნათესაურ კავშირებზე. აშკარაა უცხო ქვეყნების ინტერესების მსახურება.**

## «მაინცდამაინც გეი უნდა იყო, რომ სახალხო დამცველის აპარატმა შენი უფლებები დაიცვას?!»

**— რომელი ქვეყნების ინტერესების მსახურებაზე მიანიშნებთ?**

— არ დავაკონკრეტებ, არსებობს კონტრდაზვერვის სამსახური და მან მიხედოს. სამშობლოს გაყიდვა დღეს მოდურია... წარმოგიდგენიათ, ამხელა სამინისტროში რეფორმა ანტიკონსტიტუციურად, პარლამენტის ნებართვის გარეშე ჩაატარონ, შეეხონ ბრიგადების კვოტირებას, დაშალონ სამხედრო ავიაცია და თქვან, რომ შედეგად 30 მილიონი დაზოგეს? ე.წ. მისიებში 850 კაცი ჰყავს საქართველოს და მილიონებს ფლანგავს. ამდენი ჯარისკაცის ქვეყნიდან გაყვანა სარისკოცაა.

**— სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა გმირობად მიიჩნევა საქართველოში.**

— **ეს არანაირი გმირობა არ არის და ე.წ. სამშვიდობო მისიები საქართველოსთვის არანაირ პოლიტიკურ და სამხედრო დებეტს არ იძლევა. 145 მილიონს რომ ხარჯავს თავდაცვის სამინისტრო მისიებში 850 კაცის შესანახავად, რა, დევნილები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში? ან შეიარაღებული ძალები გაძლიერდა ტაქტიკური და სტრატეგიული იარაღით თუ რამე სხვა მოგება ვნახეთ? რა გამოდის? — მე ვკვდები შენი გულისთვის სადღაც მისიაში, ვალდებულებაც კი არ მაქვს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე, რომელიც იქ ოპერაციას ატარებს და ამისთვის მილიონებს ხარჯავს, შენ უფრთხილდები შენი ჯარისკაცების სიცოცხლეს და არ განაღვლებს ჩემი ჯარისკაცების სიცოცხლე?**

**— გინდათ, თქვათ, რომ ქართველი ჯარისკაცები ე.წ. სამშვიდობო მისიებში საზარბაზნე ხორცია?**

— დიახ, ამის თქმა მინდა! საბერძნეთი, რომელიც არის ნატოს წევრი ქვეყანა, მისიებში 4 კაცითაა წარმოდგენილი, დროშა რომ აწიონ და ჩამოწიონ. იმას კი არ ვამბობ, რომ ამგვარ მისიებში საერთოდ არ უნდა ვმონაწილეობდეთ, მაგრამ ეს უნდა იყოს ერთი ათეული, ისიც სამედიცინო მიმართულებით და ეს იქნება ჩვენი წვლილი მსოფლიოში მშვიდობის დამყარების საქმეში. **35 ქართველი ბიჭი დაიღუპა და 150 დაშავდა. ეს არც იზორიას ანაღვლებს, არც ხიდაშელს ანაღვლებდა.** თავდაცვის სამინისტროს ჰყავს, ასე ვთქვათ, სერვანტის თავზე შემოდებული ინვალიდები და კამერების წინ ალაპარაკებს, რომ თურმე როგორ ზრუნავს სახელმწიფო მათზე. როდესაც შეიარაღებული ძალებიდან **დავით მახარეიშვილის** უსამართლოდ დათხოვნის საკითხი წამოვჭერი, დამირეკა ერთ-ერთმა შშმ პირმა, გვარს არ დავასახელებ, და სიცოცხლის მოსპობით დამემუქრა მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოსწონს ჩემი პუბლიკაციები. განცხადებით მივმართე სამართალდამცავ უწყებებს, მაგრამ მათი მხრიდან რეაგირება ნული იყო. მოვუწოდებ შს მინისტრს, შეისწავლოს ეს საქმე, რადგან არ შეიძლება, ადამიანს ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით და სამართალდამცავ უწყებას რეაქცია არ ჰქონდეს. დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის უფროსს, პოლკოვნიკ **თამაზ თათარაშვილს** აწერია ეს საქმე. მე შემხვდა მისი უწყების თანამშრომელი და მითხრა, ის ინვალიდი გიჟიაო. რას ნიშნავს გიჟია?! თუ გიჟია, წაიყვანონ სამკურნალოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. **მახარეიშვილი მარიხუანის მოწევისთვის დაითხოვეს სამსახურიდან, თუ მარიხუანის მოწევა შეიძლება გახდეს სადამსჯელო ღონისძიების მიზეზი, მაშინ „გირჩი“ და მსგავსი ორგანიზაცია პირდაპირ ეთერში რომ თესავენ მარიხუანას, რატომ არ რეაგირებს ხელისუფლება?**

მე, როგორც შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მოვუწოდებ **ირაკლი სესიაშვილს**, მიხედოს დავით მახარეიშვილის საქმეს. 2012 წლის არჩევნებს შევახსენებ, როგორი განცდით ელოდებოდა ის ყველაფრის შეცვლას შეიარაღებულ ძალებში. მესმის, რომ ის ღმერთი არ არის და ყველაფრის შეცვლა არ შეუძლია, მით უფრო, რომ თავდაცვის სამინისტროში ამბობენ, ირაკლი სესიაშვილი არანაირ ავტორიტეტს არ წარმოადგენსო.

**— თავდაცვის სამინისტროსა და სახალხო დამცველის ოფისზე განაცხადეთ, რომ ალიანსში არიან, რას გულისხმობდით?**

— ჯარისკაცების ინტერესებს უგულებელყოფენ, არ რეაგირებენ მათი უფლებების დარღვევაზე და სწორედ ეს არის გარიგება, რომელზეც საუბრობს დღეს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა. უბრალოდ, ამ ეტაპზე არ მაქვს ჯარისკაცებისგან ნებართვა აღებული, რომ გვარ-სახელებით ვისაუბრო... როდესაც სახალხო დამცველის ოფისთან აქცია გავმართეთ და გაბიანის სურათი დავწვი, გულზე მოხვდათ,— რატომ გვიკეთებთ ამას, რატომ მანამდე არ მოგვმართეთო. არადა, არაერთი მედიასაშუალებით მივმართეთ, მაგრამ თურმე პრესას არ ეცნობა, კი მაგრამ, პრესსამსახური ხომ ჰყავს, რომელიც ხელფასს იმისთვის იღებს, რომ ინფორმაციას ეცნობოდეს, ტყუილად იღებენ ხელფასს?! არსებობს უცხო ქვეყნის სადაზვერვო ინტერესი, რომელსაც ემსახურება სახალხო დამცველის აპარატი და ეს აშკარაა!

საზოგადოებაში არატრადიციული აზროვნების გააქტიურება — ეს არის ჰიბრიდული ომის ასიმეტრიული მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების გახლეჩას, გაყოფას, ანტაგონისტურ ჯგუფებად ჩამოყალიბებას, ურთიერთდაპირისპირებას, მართვადი ქაოსის შექმნას და დესტაბილიზაციას. აი, რა არის ჰიბრიდული ომისა და ფსიქოლოგიური დივერსიის მიმართულება. თავდაცვის სამინისტროს შევახსენებ, რომ უსაფრთხოების დიპლომირებული სპეციალისტი ვარ და კარგად ვიცი, რას ვლაპარაკობ და ჰიბრიდული ომი ანალოგიურად ხორციელდება თავდაცვის სამინისტროშიც. გამომდინარე აქედან, ყველაფერი გადასულია ისეთი საზოგადოების შექმნაზე, რომელიც არატრადიციულია და ადვილად სამართავი, ამიტომაც იცავენ პედერასტებს.

## «სახალხო დამცველის აპარატი არის შავი ხვრელი საქართველოს ბიუჯეტში»

ესაუბრა
**ნიკა გელაშვილი**

**მხატვრული ფილმი „ხიდი“ (ასე ჰქვია ამ თურქულ-ქართულ „კოპროდუციას“), რომელიც ეკრანებზე 2018 წლის ბოლოს გამოვა, არა უბრალოდ საბჭოთა რეპრესიებზე, არამედ იმაზეც მოგვითხრობს, როგორ უყვარდათ ისტორიულად თურქებს ქართველები და როგორ ზრუნავდნენ რუსებისგან შევიწროებული ქართველების და, ზოგადად, საქართველოს გადარჩენაზე ოსმალები(?!)**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახელმწიფოს ღალატის მასტერკლასი — «ქართულ ფილმს» თურქეთმა სამშობლოს გაყიდვაში «ჯერარნახული» თანხა გადაუხადა

**სამშობლოს ღალატი არ არის მხოლოდ საომარი მოქმედებებისას მტრის ბანაკში გაქცევა და თქმა, — ერეკლე მეფეს მეზარბაზნეები აღარ ჰყავსო. გაცილებით საშინელია ის ღალატი, როდესაც შენს ერსა და ქვეყანას გამოდებილებას უპირებ, ცდილობ, საზოგადოებას ტვინი გამოურეცხო და ლიტერატურის, მედიისა თუ ფილმების საშუალებით ისტორიული ფაქტები შეცვალო და დაამახინჯო.**




ამთავითვე ვიტყვი მათ გასაგონად, ვინც აუცილებლად შეეცდება, ეს სტატია წარმოაჩინოს, როგორც „რუსული რბილი ძალის პროპაგანდა“ და სხვა ამდაგვარი რეგვნობა. არ მწამს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და მგონია, რომ სახელმწიფოები კი არ მეგობრობენ, არამედ თანამშრომლობენ, პარტნიორობენ ერთმანეთის გარკვეული სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით. ბუნებრივია ისიც, რომ დიდი და ძლიერი ქვეყანა უფრო სხვა ინტერესებს აყენებს წინა პლანზე და მისი ინტერსებიც უფრო მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვიდრე პატარა და გაჭირვებაში მყოფი ქვეყნისა. აქედან გამომდინარე, პირდაპირ ვამბობ: **არ მწამს „რუსეთისა და საქართველოს ურყევი ძმობის“. რუსეთისა და საქართველოს „ერთობლივი ისტორია“ — ეს მხოლოდ ჩვეულებრივი თანამშროლობა იყო ორ ქვეყანას შორის, რომლითაც საქართველომ სარგებელი მიიღო — ფიზიკურად გადარჩა, ფეხზე წამოდგა და წელში გაიმართა, რაც იმ დროს და იმ ვითარებაში ჩვენი ქვეყნისთვის ერთადერთი ხსნა და გამოსავალი იყო.** რუსეთმა კი, თავის მხრივ, თავისი სამხედრო ამბიციები დაიკმაყოფილა. სუპერ-„დერჟავა“ გახდა და თავისი ქვეყნის უსაფრთხოება უზრუნველყო. ეს ასეა და ვიმეორებ: უარვყოფ რუსეთ-საქართველოს შორის რაიმე ძმობისმაგვარ ურთიერთბას, მაგრამ, **როდესაც ადამიანი რუსეთ-საქართველოს ძმობასა და მეგობრობას მხოლოდ იმ მიზნით უარყოფს, რომ ჩაანაცვლოს იგი თურქეთ-საქართველოს „ძმობითა და მეგობრობით“, ეს ადამიანი და ასეთი ადამიანები, პირდაპირ ვიტყვი, სამშობლოს ყველაზე საზიზღარი მოღალატეები, გამყიდველები და ნაძირალები არიან!**

„ფილმი საბჭოთა ტერორზე გვიამბობს. მისი რეჟისორი **ერეკლე ბადურაშვილია.** ფილმს თბილისში ბათუმსა და სტამბულში გადაიღებენ. ფილმი ქართულ-თურქული ერთობლივი კოპროდუქციაა და მასში მთავარ როლს თურქული კინოს ვარსკვლავი **მურად ილდირიმი** თამაშობს“, — გვაუწყეს ქართულმა ტელეკომპანიებმა გასულ კვირას. თითქოს არც არაფერი. საბჭოთა ტერორი, 1937 წელი. ბოლშევიკებისგან შევიწროებული მამულიშვილები. მერე რა, თუკი ფილმი თურქულ მხარესთან ერთად კეთდება? რა მნიშვნელობა აქვს ამას? მკითხველი იფიქრებს, რომ მთავარია, სწორად, ობიექტურად, სამართლიანად აისახოს ბოლშევიკური წითელი ტერორი, მაგრამ უსმინეთ თვითონ „დიდი“ ქართველი რეჟისორი რას გვეუბნება ამავე ტელესიუჟეტის ე.წ. სინქრონში: „ერთი ქართველი კაცის ბედ-იღბალია, რომელიც გაურბის აქაურობას, სისტემას, დახვრეტას. კადრები 1960-იანი წლების საბჭოთა რეპრესიებზე გვიყვება. გასათვალისწინებელი იყო, როგორც ქართული მხარის ინტერესები, ასევე თურქული მხარის ინტერესები. არის ჩვეულებრივი ადამიანური ისტორია. კაცი, რომელიც გაურბის სიკვდილს აი ამ ქვეყნიდან, მას აი ის ქვეყანა გადაარჩენს. გადაღებებს, ქართულ მხარესთან ერთად, თურქეთის კულტურის სამინისტრო და ანკარის მერია უზრუნველყოფს. თურქეთის მხარემ ასევე აქტიურად იმუშავა მსახიობების შერჩევასა და დამტკიცებაზე“.

არა, არა! არ მოგესმათ! მეც სამჯერ დავაბრუნე უკან ეს სიუჟეტი და ხელახლა მოვუსმინე. **1960-იანი წლების საბჭოთა რეპრესიებიო** — სწორედ ეს თქვა. ანუ, **ჯერ ის რად ღირს, რომ თურმე რუსებისგან გაქცეულ ქართველებს თურქები თბილად იღებდნენ და გულში იხუტებდნენ და თან მერე, თურმე, 1921 ან 1937 წლებზე კი არა, სულაც აგერ 1960-იან წლებზე ყოფილა საუბარი.**

მხატვრული ფილმი „ხიდი“ (ასე ჰქვია ამ თურქულ-ქართულ „კოპროდუციას“), რომელიც ეკრანებზე 2018 წლის ბოლოს გამოვა, არა უბრალოდ საბჭოთა რეპრესიებზე, არამედ იმაზეც მოგვითხრობს, როგორ უყვარდათ ისტორიულად თურქებს ქართველები და როგორ ზრუნავდნენ რუსებისგან შევიწროებული ქართველების და, ზოგადად, საქართველოს გადარჩენაზე ოსმალები(?!).

რა, განა 1960-იანი წლების სასტიკი რუსული რეპრესიები არ გვახსოვს ქართველების წინააღმდეგ? და განა არ ვიცით, როგორ ნერვიულობდნენ მაშინ თურქები — ემანდ ჩვენს საყვარელ და ტკბილ ქართველებს არაფერი მოსწიონ ამ სისხლისმსმელმა რუსებმაო? როგორი საყვარელი და დემოკრატიული, როგორი აყვავებული კულტურითა და განათლებით ცხოვრობდა 1960-იანი წლების თურქეთი, არ გსმენიათ? **მერე რა, რომ ეს ის ქვეყანაა, სადაც, გასული საუკუნის 60-იან წლებში კი არა, აგერ XXI საუკუნეში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ქუჩაში გამოსჭრეს ყელი, ხოლო ათეულობით ჟურნალისტი დღემდე ციხეებში ლპება. 1960 წელს „რუსული სისასტიკისგან“ხსნას ქართველები მაინც საყვარელ და „მურაბა“ თურქეთში ეძებდნენ.** არ იცოდით ეს ყველაფერი? თუ არ იცოდით, მაშინ 2018 წლის ბოლოს გაიგებთ, როდესაც ეკრანებზე გამოვა თურქეთის კულტურის სამინისტროსა და ანკარის მერიის მიერ დაფინანსებული გენიალური ისტორიული ფილმი „ხიდი“, ობიექტური, ნიჭიერი და პატრიოტი ქართველი რეჟისორის, ერეკლე ბადურაშვილის, მიერ გადაღებული და სულშთაბერილი. აბა!

**თურქული მხარისთვის ეს მნიშვნელოვანი რომ არის და სწორედ ამიტომაც იძლევა თურქეთი ამ სიცრუეში, ტყუილში, ნაძირალობაში „ჯერარნახულ“ დაფინანსებას, გასაგებია, მაგრამ გვაინტერესებს, რას გვეტყვიან ეს სამშობლოს გამყიდველები, ანუ ქართულ-თურქული ერთობლივი ნაძირალობის შემქმნელი რეჟისორ-პროდიუსერ-დირექტორები, რით არის ეს აბსურდი «მნიშვნელოვანი» ქართული მხარისთვის? იმით, რომ მისი გადამღებები საკუთარ ჯიბეებს გაისქელებენ?**

მოიცათ, ჩვენც ნუ დაგვიკარგავთ ღვაწლს, ჩვენც ვმონაწილეობთ ამ ფილმის დაფინანსებასა და შექმნაშიო, — აუცილებლად შემოგვძახებს **„ქართული ფილმი“**. დიახ, ეს ხომ უდიდესი ეროვნული საქმეა — თურქებისა და თურქულ-ოსმალური სახელმწიფოს მიერ საქართველოს გადარჩენაში შეტანილი უდიდესი წვლილის ფილმად გადაღება. ჰოდა, არც ვუკარგავთ „დამსახურებას“ „ქართულ ფილმსა“ და მის გენერალურ დირექტორს — **ხათუნა ხუნდაძეს.**

„საქართველოსთვის ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. წლების განმავლობაში ქართულ სცენარს ამ რანგის კონკურსში არ გაუმარჯვია და ამხელა დაფინანსება არასოდეს გვქონია და, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მეზობელ ქვეყანასთან იყოს აი ასეთი მეგობრული ურთიერთობა და რაც მეტი კოპროდუქცია გაკეთდება, მით უკეთესია, როგორც ქართული მხარისთვის, ისე თურქული მხარისთვის“, — ამბობს „ქართული ფილმის“ დირექტორი ხათუნა ხუნდაძე.

თურქული მხარისთვის ეს მნიშვნელოვანი რომ არის და სწორედ ამიტომაც იძლევა თურქეთი ამ სიცრუეში, ტყუილში, ნაძირალობაში „ჯერარნახულ“ დაფინანსებას, გასაგებია, მაგრამ გვაინტერესებს, რას გვეტყვიან ეს სამშობლოს გამყიდველები, ანუ ქართულ-თურქული ერთობლივი ნაძირალობის შემქმნელი რეჟისორ-პროდიუსერ-დირექტორები, რით არის ეს აბსურდი „მნიშვნელოვანი“ ქართული მხარისთვის? იმით, რომ მისი გადამღებები საკუთარ ჯიბეებს გაისქელებენ?

რუსეთთან გარკვეული მოლაპარაკებებისა თუ ურთიერთბების მომხრე ადამიანებზე ხშირად მსმენია,— ისინი სამშობლოს გამყიდველები არიანო. ასეთ „გამყიდველებში“ ხშირად მეც მგულისხმობენ ხოლმე, მაგრამ მინდა მავანთ ვუთხრა: სიტყვა „გამყიდველი“ ნიშნავს იმას, რომ შენ ამა თუ იმ პროდუქციის გასაღებაში, ან თუნდაც ამა თუ იმ აზრის კულტივირებაში, გარკვეული მიმართულების პროპაგანდაში იღებ ფულს.

თუ მე, უბრალოდ, უანგაროდ ვამბობ იმას, რაც, ჩემი აზრით, მართლაც ხსნა და გადარჩენაა ჩემი სამშობლოსთვის და ამაში არავის არც ერთი თეთრი არ მოუცია, „გამყიდველი“ რანაირად ვარ?

ანუ, შეგიძლიათ მიწოდოთ **შემცდარი, არასწორი, უტვინო, სულელი,** მაგრამ არამც და არამც **გამყიდველი.**

ხოლო, თუ ჭეშმარიტ გამყიდველებს ეძებთ, აი, ბატონო, სამშობლოს კლასიკური გაყიდვა რასაც ჰქვია: **ჩვენი ისტორიულად ყველაზე დიდი და საშინელი მტერი, ჩვენი ტერიტორიების თითქმის ნახევრის მიმტაცებელი, ჩვენს დანარჩენ ტერიტორიებზე დღემდე მომზირალი და ჩვენი წინაპრებისთვის ჩვილთა აკვნებში ამომწველი სელჩუკ-ოსმალთა იმპერიების პირდაპირი მემკვიდრე, მართლაც სისხლისმსმელი თურქეთის თანამედროვე იმპერია „ჯერარნახულ დაფინანსებას“ აძლევს ამ სულგაყიდულებს და ისინიც ამაყად ამბობენ, — ფილმს ვიღებთ ქართულ-თურქულ ისტორიულ ძმობასა და მეგობრობაზეო. აი, სამშობლოს გაყიდვა რას ჰქვია და როგორ უნდა.**

„სცენარის დამუშავებაში რეჟისორი თავად მონაწილეობდა და სიუჟეტები საკუთარ წარმოსახვასაც მოარგო.“ — ვერ გეტყვით ეს ფრაზა განგებ ჩასვა ტელესიუჟეტში ჟურნალისტმა „სტრიქონებს შორის ამოკითხვის“ პრინციპით თუ მართლა ვერ მიხვდა, რას ამბობდა, მაგრამ ფაქტია, ეს ამ ფილმის შესახებ ტელევიზიებში გასულ სიუჟეტებში ყველაზე მართალი ფრაზაა — **რეჟისორის წარმოსახვები და ფანტაზიები ფილმში რეალობად საღდება. აკი თქვა კიდეც მანამდე რეჟისორმა: „თურქული მხარის ინტერსებიც მქონდა გასათვალისწინებელიო“. ჰოდა, რას ფიქრობთ, რა იქნებოდა თურქული მხარის „ინტერესები“?**

აქ მახსენდება ერთი ახალგაზრდა ქართველი პოეტის გულისმომკვლელი სტრიქონები საქართველოსა და თურქეთის „ტკბილ ისტორიულ მეგობრობაზე“: **„გვიწვავდნენ ტაძრებს და აკვნებს და ოდაბადეს, ეს სისხლის, ნაკაცარი, მწოველი კაცუნები! თუ რამეს გაიგონებ, გულზე ყურს რომ დამადებ, ცეცხლმოკიდებული აკვნების ტკაცუნია!“**

მაგრამ ადარდებთ კი ჯიბის გასქელებით ანთებულ ქართველ „ხელოვანებს“ ცეცხლმოკიდებული აკვნების ტკაცუნი?

ფილმის სახელწოდება **„ხიდი“** და მისი შინაარსი ძველ თბილისურ ჟარგონულ ფრაზას გვახსენებს და სწორედ ამ ფრაზით მინდა მივმართო ამ მოღალატეობრივი ფილმის რეჟისორსა და შემოქმედებით ჯგუფს: **„აზრზე მოდი, ხიდზე გადი, ბიჭო!“**

თუმცა, სამწუხაროდ, ეჭვი მეპარება, ასეთი, ფულზე დახარბებული და სულგაყიდული ადამიანები, ოდესმე აზრზე მოვიდნენ. სამაგიეროდ მართლა „აზრზე მოდის“ რუსეთი და უკვე ოფიციალურადაც აცხადებს: ჩვენ აღარ ვაპირებთ, რუსი „სალდათების“ სისხლი დავღვაროთ იმაში, რომ დაქუცმაცებულმა საქართველომ ერთიანი სახე აღიდგინოს, დაკარგული მიწები შემოიერთოს და მერე მობრუნდეს და ისევ ჩვენ, რუსებს, დაგვიწყოს გინება, ხოლო, ვინც ქართველების სისხლს სვამდა, ქართველ ქალებს აუპატიურებდა და აკვნებში ჩვილებს ხოცავდა, იმათ უკაანლზე დაუწყონ კოცნაო. დაახლოებით ეს აზრია გამოთქმული რუსულ დოკუმენტურ ფილმში **„იმპერია პირიქით“,** სადაც საუბარია იმაზე, რომ რუსული „წითელი იმპერია“ და მანამდეც — „ცარისტული რუსეთის იმპერია“ — ყველას უფრო მეტად აფასებდა, უფრო მეტ სარგებელს აძლევდა, ვიდრე თვით რუსეთს. **თუ ვინმეს გსურთ, იხილოთ, რას ნიშნავს „აზრზე მოსული“ რუსეთი და რა უიმედო პერსპექტივა გვრჩება ჩვენ — ქართველებს, რომ ასეთი „აზრზე მოსული“ რუსეთისგან რაიმე ხეირს მივიღებთ, უყურეთ დოკუმენტურ ფილმს „იმპერია პირიქით“.**

თურქეთს რაც შეეხება, აშკარაა, რომ უკვე „გადმოდის ხიდზე“, იმ ხიდზე, რომელსაც ერეკლე ბადურაშვილის, ხათუნა ხუნდაძისა და სხვა მსგავსი გამყიდველი, სამშობლოს მოღალატე „ხელოვანების“ ხელშეწყობით აშენებს... **ამიტომაც გვიკრძალავს ასეთი რიხით ვინმე თურქეთის ელჩი ქართველებს „დიდგორობის“ გამართვას, — ეს თურქების თავმოყვარეობას ლახავსო.**

ჰოდა, რა ელის საქართველოზე ძალიან განაწყენებულ „აზრზე მოსულ“ რუსეთსა და რუსეთის მიმართ შიშის ფაქტორის აღარ მქონე, „ხიდზე“ თავხედურად გამოლაჯებულ თურქეთს შორის ჩავარდნილ ქართულ სახელმწიფოს, გონიერმა და ობიექტურმა მკითხველმა თავად განსაჯოს.

ერთხელ საქართველოში
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნებისმიერს შეუძლია, „ერთი ზახოდი“ წამალი ჰქონდეს და ვერავინ ვერაფერს ეტყვის. რაღა თქმა უნდა, იმავე პირს თამამად შეუძლია, ნარკოტიკით გაბრუებულმა ქუჩაში თავისუფლად იაროს. სავარაუდოდ, მას ნარკოტიკის გაკეთება საჯაროდაც შეეძლება — უბანში, სადარბაზოში, სახლში, ავტომობილში, სუპერმარკეტში... — საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, რადგან ამისთვის აღარ დაისჯება და მერე რა, თუ ჩვენი შვილები დაინახავენ, როგორ გაიშიშვლებს ვინმე მკლავს, როგორ გაიკეთებს ნემსს და როგორ აერევა სახე.

# «ლიმონათის ქვეყნიდან» «ბარიგების» ქვეყნამდე

## პირი, რომელსაც ერთი დღის ნორმა ნარკოტიკი ექნება, დამნაშავედ აღარ ჩაითვლება

**„ბოროტმოქმედება კაცის ბედია და მეტი არაფერი. რა ეშველებოდა ადამიანს, მხოლოდ კარგ და მშვიდ ცხოვრებაში რომ ყოფილიყო, ხომ გადაირეოდა დარდით? სულ თავისი სიკვდილის რიგზე იფიქრებდა ძალაუნებურად. ადამიანის ყველა ცხოვრებისეული ფიქრის დაბოლოება ხომ ეს არის...“ — ეს არის ამონარიდი „კანონიერი ქურდის“, პარლამენტარის, მწერლის, ამჟამად დიდუბის პანთეონში განსვენებული ჯაბა იოსელიანის ნაწარმოებიდან „ლიმონათის ქვეყანა“. ერთი დღის დოზა ნარკოტიკის გამო საქართველოში ადრე კლავდნენ, აყაჩაღებდნენ, სადარბაზოებში ხვდებოდნენ, საყურეს ყურის ბიბილოებთან ერთად გლეჯდნენ, ტანსაცმელს ხდიდნენ... თითქოს ეს ყველაფერი წარსულს უნდა ჩაბარებოდა, აღარ უნდა გაგვხსენებოდა, თუნდაც იმავე ჯაბა იოსელიანის საფლავზე ორიოდე კვირის წინათ ვიღაცის მიერ მიტანილი უთო... მაგრამ, ნურას უკაცრავად, ჩვენ ხომ გენიალური ერი ვართ, ჩვენ ხომ „კანონიერ ქურდებსა“ და პოლიტიკოსებს ერთნაირად ვეთაყვანებით და ეს იმის მიუხედავად, რომ ერთი — უკანონოდ, მეორე კი კანონის ძალით გვატერორებს. ჰოდა, ასე მივედით „ლიმონათის ქვეყნიდან“ „ბარიგების“ ქვეყნამდე... როგორ?! ახლავე მოგახსენებთ.**

საქართველოს პარლამენტი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მორიგი პაკეტის განხილვას იწყებს. თუ აქამდე მარიხუანის ლეგალიზება დააკანონეს და „ერთი ცელოფანი“ მარიხუანის ქონა დანაშაულად აღარ ითვლება, ახლა ყველანაირ ნარკოტიკზე აპირებენ კანონის შერბილებას.

პირი, რომელსაც ერთი დღის ნორმა ნარკოტიკი ექნება, დამნაშავედ აღარ ჩაითვლება, ანუ ნებისმიერს შეუძლია, „ერთი ზახოდი“ წამალი ჰქონდეს და ვერავინ ვერაფერს ეტყვის. რაღა თქმა უნდა, იმავე პირს თამამად შეუძლია, ნარკოტიკით გაბრუებულმა ქუჩაში თავისუფლად იაროს. სავარაუდოდ, მას ნარკოტიკის გაკეთება საჯაროდაც შეეძლება უბანში, სადარბაზოში, სახლში, ავტომობილში, სუპერმარკეტში... — საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, რადგან ამისთვის აღარ დაისჯება და **მერე რა, თუ ჩვენი შვილები დაინახავენ, როგორ გაიშიშვლებს ვინმე მკლავს, როგორ გაიკეთებს ნემსს და როგორ აერევა სახე. და ეს ყველაფერი მოხდება იმის ფონზე, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი, ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას მოითხოვს.**




ხომ არის დემოკრატიის შუქურა ამერიკა? ჰოდა, სწორედ ეს ამერიკა ამკაცრებს ნარკოპოლიტიკას. ტრამპის განცხადებით, მომავალ თაობას გაფრთხილება სჭირდება, რადგან ლიბერალურმა მიდგომამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა და „კაიფში გაპარული“ ადამიანების რაოდენობა გასამმაგდა. თუმცა, ჩვენ ამ ამერიკული გამოცდილების გამოყენება ხელს არ გვაძლევს, რადგან ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხმალამოღებული იბრძვიან ნარკოტიკების ლეგალიზაციისთვის, დაფინანსებას ვეღარ მიიღებენ და დასავლეთიდან წამოსულ გრანტებს ვეღარ ჩაიჯიბავენ.

და მაინც, რას ნიშნავს და რა საფრთხის შემცველელია ერთი დღის დოზის ლეგალიზება?!

პირველ რიგში, **ეს არის ნარკორეალიზატორთა წახალისება, ანუ „ბარიგები“ ნარკოტიკს ოფიციალურად გაყიდიან.** როგორ?! მარტივად, ბატონებო — **ჩაიდებს ერთი დღის დოზას ჯიბეში, წავა კლიენტთან, მიუტანს და, თუ შემთხვევით სამართალდამცველები გააჩერებენ, ვერაფერს ეტყვიან, რადგან მას თან მხოლოდ ერთი დღის დოზა, ანუ კანონით დაშვებული რაოდენობა ექნება.** და რა მოხდება, თუ კლიენტს, ერთი დღის კი არა, 3-4 დღის დოზა უნდა?! არც არაფერი, **გაიყოლებს ნარკორეალიზატორი 2-3 უსაქმურს, მისცემს ამ გაყოლაში 10-10 ლარს და, კლიენტს გული რომ არ დასწყდეს, 3-4 დღის დოზასაც მარტივად მიუტანს.** შესაბამისად, ერთი დღის „ზახოდის“ ლეგალიზებით ნარკორეალიზატორებსაც დავუკანონებთ ნარკოტიკების რეალიზაციის უფლებას. **მზესუმზირასთან ერთად გაყიდიან ნარკოტიკს „ბარიგები“, დახლზე დადებენ და, რადგან ეს ერთი დღის დოზა იქნება, ვერავინ ვერაფერს ეტყვის.**

**„დღესაც ასეა. ბარიგები მცორე დოზით იკეთებენ წამალს, შემდეგ კი მიდიან და ყიდიან. თუ სამართალდამცველები დააკავებენ, ერთ ამბავს ატეხენ, მომხმარებელი ვარ, აგერ სისხლის ანალიზი, წამალს ვიკეთებ და არ ვყიდიო, დაურეკავენ არასამთავრობოებს და... დამიჯერეთ, ამ გზით არაერთი ნარკორეალიზატორი გამოუშვეს გარეთ. რაც შეეხება ფონიჭალაში ბოლო დროს გახშირებულ სპეცოპერაციებს, ეს ხალხის თვალის ასახვევად ტარდება. იჭერენ იმათ, ვინც მსხვილ ბარიგებს უშლის ხელს, თორემ რეალურ ნარკობარონებს არავინ ეხება. მიზეზი მარტივია — „ფონიჭალელი ესკობარები“ ხელშეუხებლობაში დიდძალ ფულს იხდიან“,** — გვითხრა ერთ-ერთმა ფონიჭალელმა, რომელიც ნარკოტიკის არა მხოლოდ გაყიდვის, არამედ შემოტანის სქემასა და ფასებზეც გვესაუბრა.

„მაგალითად, ერთი ▶

# დიქტატურა დემოკრატიის სახელით

**მხოლოდ საქართველოს კი არა, ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში წერია, რომ ადამიანს სიტყვის თავისუფლება აქვს, ანუ ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და სიტყვის თავისუფლება უმთავრესია. ამით განისაზღვრება დამოუკიდებლობის ხარისხი და... აქვე ისიც ვთქვათ, რომ რეალურად საქართველოში მედიისთვის სიტყვის თავისუფლება ყველაზე მეტად ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში იყო. იმხანად იშვიათად ნახავდით სახელისუფლო პრესასა და ტელევიზიას და არც ხელისუფლება იკლავდა თავს მედიის კონტროლით.**

შევარდნაძის ეპოქა ტყუილად არ გვიხსენებია, რადგან მის დროსაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ლგბტ თემს წარმოადგენდნენ, მაგრამ მაშინ ეს ტერმინი მოდური არ იყო და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს პოლიტიკოსები — ცისფრებად, რიგითი ადამიანები კი პიდარასტებად მოიხსენიებდნენ. და, იმის მიუხედავად, რომ სრულიად საქართველომ იცოდა, ვინ ვინ იყო, არავინ ამბობდა, სიძულვილის ენით ნუ საუბრობო, რადგან რეალურად ყველას თავის სახელი ერქვა. მაშინაც მუშაობდნენ ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობებზე მამათმავლები, დიაცთმოყვარული დიაცებიც, მაგრამ ხმამაღლა არ საუბრობდნენ ამაზე, რადგან იცოდნენ, რომ არ იყო მოსაწონი. შესაბამისად, სიმშვიდე იყო, უბრალოდ, ყველამ ყველაფერი იცოდა და პროპაგანდასაც არავინ ეწეოდა, — არიქა, ხალხო, ხომ ხედავთ, მამათმავლობა რა კარგიაო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და მივედით იქამდე, რომ **ზოგიერთმა ჯერ ამ ადამიანების ფარული დაცვა დაიწყო, შემდეგ ხმამაღლა განაცხადეს, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები არ უნდა დაიჩაგრონ საზოგადოებრივ ასპარეზზეო. შემდეგ, როდესაც ამ ყველაფერში პრესა, ტელევიზია და არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერივნენ, ამ ადამიანებმაც ხმამაღლა განაცხადეს თავიანთი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ დამყარდა ლიბერალური დიქტატურა. დიახ, დიქტატურა და ეს არ არის სამომავლო პერსპექტივა, ეს არის ის რეალობა, რომლის წინაშეც უკვე დავდექით და ამ დიქტატურის მსხვერპლნი ვართ. შესაძლოა, ვინმეს გაეღიმოს, რა ლიბერალური დიქტატურაო, მაგრამ...**

ცოტა ხნის წინათ ქუთაისის ახალგაზრდულ ცენტრთან არსებული კერძო არაფორმალური განათლების ტრენინგცენტრ მედიასკოლიდან მოსწავლე **ანზორ სვიანაძე** ჰომოფობიური განცხადებებისა და სიძულვილის ენის ტირაჟირებისთვის გარიცხეს. ამ თემაზე ბევრს არ ვისაუბრებთ.

ამ ახალგაზრდამ, უბრალოდ, ხაზი გაუსვა, რომ ტრადიციული ცხოვრების წესი, ტრადიციული საზოგადოება ურჩევნია სოდომიას და სოდომიტობას — სულ ეგ იყო, და იგი მყისიერად გარიცხეს სასწავლებლიდან...

ახლა — მედლის მეორე მხარესაც შევხედოთ: **ვინმეს რომ დაეწერა, ლგბტ თემის წარმომადგენელი ვარ და ამას ხმამაღლა ვამბობ, მხარი დამიჭირეთო, რა მოხდებოდა? სულ ცოტა, რამდენიმე ტელევიზია დააპატიჟებდა შოუში, გამბედაობას მოუწონებდა, რომელიმე არასამთავრობო დაასაქმებდა და წავიდოდა პიარი და ტირაჟირება იმისა, რომ ეს ძალიან კარგია.** სვიანაძე კი უკვე თვითმკვლელობაზე ფიქრობს, რადგან არასამთავრობოებმა ტერორი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მოუწყვეს — **პირდაპირ განუცხადა ყველამ, რომ ამ განცხადების გამო სამსახურს ვერ იშოვის, რომ სწავლის შანსი აღარ ექნება, რადგან, ჰომოფობიური განცხადების გამო, მის გვერდით ჯდომასაც კი არავინ მოისურვებს. არადა, კაცმა თქვა, ლგბტ თემის წარმომადგენლები არ მომწონს, ჩვეულებრივი ადამიანები მირჩევნია, გმირებს ვეთაყვანებიო. მან თავისი აზრი გამოთქვა და ამ აზრის გამო ჩაქოლეს. ეს არ არის დიქტატურა?!**

ვინმეს შეუძლია ახსნას, **რატომ აქვს ნებისმიერს იმის უფლება, რომ, მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი, დაადანაშაულოს რუსეთის აგენტობაში და ამით უდანაშაულობის პრეზუმფცია და ადამიანის უფლებების ქარტია თავზე გადაახიოს ნებისმიერს და მე, თქვენ, სხვას არ გვაქვს იმის თქმის უფლება, რომ სოდომიას და სოდომიტობას ტრადიციული ცხოვრების წესი და ოჯახი გვირჩევნია?** დარწმუნებული ვარ, საქართველოს პრემიერმინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** ან თბილისის ახალარჩეული მერი **კახა კალაძე** რეალურად მხარს არ უჭერენ ლგბტ თემის წარმომადგენლებს, ორივეს ლამაზი, ქართული ტრადიციული ოჯახი აქვს, მაგრამ ხმამაღლა ვერც ერთი ვერ გაბედავს იმის თქმას, რომ სოდომიტები და სოდომია არ მოსწონთ. როგორც კი ეს წამოსცდებათ, არათუ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით ატყდება ისეთი ამბავი, მეორედ მოსვლა გეგონებათ და კვირიკაშვილიც და ხალხის მიერ არჩეული კალაძეც სამსახურს დაემშვიდობებიან. საკუთარი აზრის გამოხატვით, ისინი სამსახურს დაკარგავენ. საუბარი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებზეა და ხომ წარმოგიდგენიათ, ანალოგიური რამ ქვედა რგოლმა რომ გააკეთოს, რა მოხდება?!

რეალურად, ჩვენ, ნორმალურ ადამიანებს, ლგბტ თემის წარმომადგენლებმა უპირველესი უფლება, სიტყვის თავისუფლება, წაგვართვეს და, თუ ამ თავისუფლების დაბრუნებას შევეცდებით, ვკარგავთ ყველაფერს — განათლების უფლებას, მუშაობის უფლებას, გარეთ გამოსვლის შემთხვევაში, შესაძლოა, სახლთან აქცია მოგვიწყონ და კვერცხები ▶

**კაცმა თქვა, ლგბტ თემის წარმომადგენლები არ მომწონს, ჩვეულებრივი ადამიანები მირჩევნია, გმირებს ვეთაყვანებიო. მან თავისი აზრი გამოთქვა და ამ აზრის გამო ჩაქოლეს. ეს არ არის დიქტატურა?!**

**მიუხედავად ბოლო პერიოდში მიზეზთა გამო ეკლესიის გარკვეულწილად დისკრედიტაციისა, იმედი მაქვს, ქართველ კაცს ეყო საიმისო ჭკუა, რომ ცალკეული უღირსი სასულიერო პირების გამო არ გაბრაზებულიყო დედაეკლესიაზე, მისთვის ზურგი არ შეექცია და დღესაც მხოლოდ მისი იმედი აქვს და არა ნაც-ქოცებისა თუ სხვა პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკანების...**



ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აბი სუბოტექსი საქართველოში 700 ლარი ღირს, ევროპაში კი — ერთი ევრო, ანუ ათასი აბი სუბოტექსი ათასი ევრო ჯდება ევროპაში, აქ კი — 700 ათასი ლარი. ათი აბის გაყიდვით გზის ფულსაც ინაზღაურებ და 1000 აბში გადახდილ თანხასაც. შესაბამისად, გრჩება 990 აბი და თითოს 700 ლარად ყიდი. ხომ ხვდებით, რა თანხებზეა საუბარი?! თანაც, მსხვილი „ბარიგები“ უცხოებს არ ენდობიან, მათ უბანში ჰყავთ ე.წ. განეცები, რომლებიც სულ გარეთ არიან. მოდის ნარკომანი, სწორედ ამ „განეცს“ აძლევს ფულს და სწორედ ის ყიდულობს ნარკოტიკს „ბარიგისგან“. შესაბამისად, ჩუმი გადაღება ან ფაქტზე დაჭერა გამორიცხულია. წამალი კი სადახლოს გავლით აზერბაიჯანიდან შემოდის და მას როგორც აზერბაიჯანის, ისე საქართველოს სამართალდამცავთა შორის ჰყავს „კრიშა...“

სხვათა შორის, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ქუჩაში კრიმინალის მომატებაზე აპელირებს, არ ცრუობს. ქუჩის კრიმინალმა, ანუ ერთი შეხედვით მსუბუქმა დანაშაულმა (ყელსაბამის ჩამოგლეჯვა, სადარბაზოში მოხუცებისთვის პენსიის ფულის წართმევა, მანქანიდან აკუმულატორების მოპარვა) აშკარად მოიმატა და ეს სწორედ ნარკოპოლიტიკისადმი ლოიალურ მიდგომას უკავშირდება. პენსიონერისთვის პენსიის წართმევასა და აკუმულატორის მოპარვას სერიოზული კრიმინალები არ კადრულობენ. მეტიც, მოხუცისთვის საარსებოდ აუცილებელი თანხის წაგლეჯვა ქურდულად „ზა პადლოა“, მაგრამ ნარკომანს, რომელსაც ერთი დღის „ზახოდს უპრავებენ“, სულ არ აინტერესებს, მოხუცი მშიერი იქნება თუ მაძღარი, მთავარია, იმ დღეს გასაკეთებელი წამლის ფული იშოვოს და მეორე დღეს ისევ იშოვოს, მერე ისევ და ასე დაუსრულებლად, სანამ ან კაიფში გაიპარება, ან ჰეპატიტით მოკვდება. რაც შეეხება აკუმულატორების ქურდობას, ჰკითხეთ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს, რამდენს დახვდა აკუმულატორი მანქანიდან მოპარული და გადით ელიავას ბაზრობაზე, რა მარტივად იბარებენ ე.წ. მეორადებში მოპარულ ნივთებს...

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მმართველ გუნდში ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე ერთგვაროვანი პოზიცია არ არის და პარლამენტარების არცთუ მცირე ჯგუფი ლეგალიზების წინააღმდეგია, მაგრამ ხელისუფლების ლიდერები აცხადებენ, რომ ეს დასავლელი პარტნიორების მოთხოვნაა და უნდა შესრულდეს. ამ კანონის მიღების შემდეგ აზრს დაკარგავს კიდევ ერთი კანონი — სამსახურში მიღებისას დასაქმების მსურველს დამსაქმებელი ნარკოლოგიურ ცნობას ვეღარ მოსთხოვს, რადგან ნარკოტიკი ლეგალიზებული იქნება და რას ეტყვის, შენს სისხლში ნარკოტიკია და სამსახურში ვერ მიგიღებო?! დამსაქმებელი ვერც იმ დასაქმებულს ეტყვის რამეს, რომელიც შუა მუშაობისას იმ ერთი დღის „ზახოდს“ ამოიღებს, რომელიც ლეგალიზებული იქნება, და ისე გაიკეთებს, ხელიც არ აუკანკალდება. **ვინმეს თუ უფიქრია იმაზე, რომ რომელიმე მასწავლებელს წამლის გაკეთება პირდაპირ შუა გაკვეთილზე შეეძლება, ან იმაზე, რომ „გაგლეჯილ კაიფში“ მყოფი მასწავლებელი ბავშვებთან შევა გაკვეთილზე?**

კანონი დაიცავს მასაც და იმ ერთი დღის დოზასაც, რომელსაც ასეთი სწრაფი ტემპით მიიღებს. კიდევ ერთი საინტერესო და საჭირბოროტო საკითხი — **დამწყებ ნარკომანს კაიფისთვის დღეში შეიძლება ერთი გრამი ეყოს, სტაჟიან ნარკომანს კი ხუთი გრამი დასჭირდეს. ვინ და როგორ უნდა აკონტროლოს, ვის რა დოზა სჭირდება და ვის რამდენი დღის „ზახოდი“ უდევს ჯიბეში?! ესეც ნარკორეალიზატორების წისქვილზე ასხამს წყალს და, გვერწმუნეთ, ისინი ამ კანონს სათავისოდ მარტივად გამოიყენებენ, რაც მთავარია, ხელსაც ვერავინ ახლებს — მათ კანონი დაიცავს.**

იქნებ იმაზე გვეფიქრა, რომ, ლიბერალიზაციის ნაცვლად, კანონი გავამკაცროთ და სწორედ რომ არარეალური სასჯელი შევუფარდოთ დამნაშავეებს. მით უმეტეს, ამის პრაქტიკა უკვე გვქონდა წინა ხელისუფლების პირობებში და... ქუჩის დანაშაულიც აღარ არსებობდა და „ბარიგებიც“ შარშანდელი თოვლივით გაქრნენ თითქოს.

სხვაგვარად კი მივიღებთ თაობას, რომლისთვისაც ნარკომანობა სირცხვილი არ იქნება და რომელიც პრობლემას, მის მოგვარებაზე ფიქრის ნაცვლად, ვენაში ნემსის კეთებით გადაწყვეტს.

**ბესო ბარბაქაძე**

დაგვიშინონ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხმამაღლა ვთქვით: არ მოგვწონს განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები. არადა, **განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებსაც ხომ არ მოსწონთ ჩვეულებრივი ადამიანები, რადგან ნებისმიერ მათგანში მტერს ხედავენ.** თუმცა ამას იმით ამართლებენ, რომ დისკრიმინაციის ეშინიათ და ეს ნორმალურია, ანუ მათ ამის გამო არავის სჯის, სამაგიეროდ, ჩვენ გვსჯიან და ხმის ამოღების უფლებას არ გვაძლევენ. **არის თუ არა ეს დიქტატურა?!** თანაც, სამომავლო პერსპექტივით კი არა, ახლა, დღეს არსებული, ყოველდღიური შეხება რომ გვაქვს, ისეთი...

შევარდნაძის ეპოქა ვახსენეთ და უფრო შორსაც წავიდეთ — სტალინის ეპოქაში ტროცკისტები გამოვიდნენ ქუჩაში და ხმამაღლა განაცხადეს თავიანთი უფლებების შესახებ. იქ იყვნენ გეები, ნარკომანები, ლოთები... მოკლედ, ადამიანები, რომლებსაც საზოგადოება მარგინალებად თვლიდა და ებრძოდა. სოდომიტებისა და სხვა ჯურის დეგენერატების პარპაში მაშინდელ სსრკ-ში იმით დასრულდა, რომ მათ იდეურ მამამთავარსა და ბელადს — ტროცკის თავში ძალაყინი უთავაზეს, ხოლო სოდომია სისხლის სამართლით დასჯად კატეგორიაში გადაიტანეს. ეს მაშინ არავის გაუპროტესტებია იმის გამო კი არა, რომ სტალინის ეშინოდათ, არამედ იმის გამო, რომ სტალინს უზარმაზარი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის თითქმის ასი პროცენტი ეთანხმებოდა, რომ სოდომიტები საზოგადოებას რყვნიდნენ და ხრწნიდნენ... რომ მათი ადგილი საზოგადოებაში არ იყო. **ახლა კი რა ხდება?! სოდომიტები ისევ ისე აპარპაშდნენ, რომ ნორმალური ადამიანების ადგილი აღარ არის საზოგადოებაში და ეს არის რეალობა, დღევანდელი რეალობა.**

გაიხსენეთ **გურამ კაშია** და მის მიერ გაკეთებული სამკლავური. ადამიანები, რომლებმაც ეს არ მოიწონეს, უკვე გამოაცხადეს არათუ საზოგადოების, არამედ ქვეყნის მტრებად და ტელევიზიები შეთანხმდნენ, რომ ამ ადამიანებს ეთერს აღარ გააკარებენ, ხოლო ისინი, ვინც კაშიას ტაში დაუკრა, ყოველდღე ტელევიზიებში ჰყავთ და ტაშს აკვრევინებენ. **ანუ, ვისაც ეს არ მოსწონს, სწორედ ამ ლიბერალური დიქტატურის გამო, ხმა არ უნდა ამოიღოს, ხოლო ვისაც მოსწონს, შეუძლია გამოვიდეს და ტაში დაუკრას. ასე რომ, ლიბერალურ დიქტატურას უკვე ემსხვერპლა განსხვავებული აზრი.**

ისიც ვთქვათ, რომ ლგბტ-თა დამცველები არათუ ხმამაღლა საუბრობენ, არამედ იერიშზეც გადმოდიან და გვიტევენ პრინციპით — გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება და არაერთი რამ შეირჩინეს კიდეც. ყველაზე ნათელი მაგალითი ლგბტ-თა დამცველი **ირინა ტორონჯაძეა**, რომელმაც ძალიან საინტერესო რამ თქვა — 17 მაისი, ლგბტ თემის საერთაშორისო დღე, საქართველოს ეკლესიამ ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა, რაც მათი მხრიდან აშკარად პროვოკაციული ქმედებააო. **ოჯახის სიწმინდის დღის დაწესება ეკლესიის პროვოკაციაა და 17 მაისს ქუჩაში ცისარტყელის ფერებში გამოსული გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანების ამძუვნებული როკვა კანონზომიერება ყოფილა. კანონზომიერებაა ისიც, რომ თუ, მაგალითად, ჩვეულებრივმა ადამიანმა ქალს უკანალზე შეხედა, ეს სექსუალური ძალადობაა, მაგრამ, თუ ვიღაც პედერასტმა კაცს შეხედა უკანალზე, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, და თუ რამეს ეტყვი, ჰომოფობი ხარ.** ნამდვილად ვერ გეტყვით, სადამდე შეიძლება ეს გაგრძელდეს, მაგრამ სულ უფრო ცოტა დროა დარჩენილი იქამდე, რომ ქუჩაში ლგბტ თემის წარმომადგენლები დაგვერიონ, ჩვენგან განსხვავებული რატომ ხართო და ამის გამო ისევ ჩვენ დაგვსჯიან.

იქნებ დროა, ევროპელებს თუ ამერიკელებს ან სრულიად დასავლურ სამყაროს, რომელიც ამ ყველაფერს, უბრალოდ, თავს გვახვევს, შევუწყვიტოთ ერთი ადგილის ქიცინი? ხომ ხედავთ, იმ ადგილის ქიცინში ყველაზე მეტად სწორედ მისი დაცვა გაჭირდა...

**ბესო ბარბაქაძე**

# საქართველოს ეკლესია — უკანასკნელი ბასტიონი საქართველოს ლგბტ-ზაციის გზაზე

**სოდომიტების აღვირახსნილი პროპაგანდა, ყველაფერ „სიკეთესთან“ ერთად, სხვა არაფერია, თუ არა გადამწყვეტი შეტევა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რადგან მხოლოდ დედაეკლესიაღაა ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ჯერჯერობით დაუძლეველ ბასტიონად აღმართულა საქართველოს ლგბტ-ზაციის გზაზე.**



მაგრამ, თუ ერმა და ბერმა რამე არ ვიღონეთ, ეს „ჯერჯერობით“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, რადგან მდგომარეობა აშკარად საგანგაშოა. ვითარება ჩვენ თვალწინ ყოველდღიურად მძიმდება, რაც ქოცების ლიბერალური იდეოლოგიის მქონე ხელისუფლების, ასეთივე ტელევიზიებისა და არასამთავრობოების დამსახურებაა.

თუმცა მეც ვარ, რა?! **ისე „იმედიანად“ ჩამოვთვალე, თითქოს ან ერთი, ან მეორე, ან მესამე საპირისპირო, კონსერვატიული იდეოლოგიისაც გვყავდეს სადმე მარქაფად შემონახული — ხელისუფლება ქოცებისა და ნაცების სიმბიოზია, ტელევიზიები — კოლექტიური „რუსთავი 2“, ხოლო ასოები კაპიტან გიგაურებთან და ეფრეიტორ ლომჯარიებთან ასოცირდება...**

„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრმა, ბატონმა **გიორგმა ანდრიაძემ** განაცხადა, რომ მწერლებმა, მსახიობებმა, მეცნიერებმა, ინტელიგენციამ, პოლიტიკოსებმა და ა.შ., რომელთა თვალსაზრისს გავლენის მოხდენა შეუძლია ქართველ საზოგადოებაზე, კეთილი უნდა ინებონ და საჯაროდ გასცენ პასუხი ერთ უმარტივეს კითხვას:

**ჰომოსექსუალიზმი (შესაბამისად, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება — დ.მ.) დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი?**

როგორც ჩვენში იტყვიან, კეთილი და პატიოსანი, სრულიად ვეთანხმები ამ საკითხში ბატონ გიორგის, მაგრამ კერძო ტელევიზიები, ანუ კოლექტიური „რუსთავი 2“ ამას არ გააშუქებს, არც ჩვენი, კონსერვატორი მართლმადიდებლების ჯიბიდან დაფინანსებული საზოგადოებრივი მაუწყებელი, რადგან ამ „საზოგადოებრივი“ მაუწყებლის ხელმძღვანელობა და მმართველობა პირწავარდნილი ლიბერასტების ხელშია — ლეგიონია სახელი მათი და ქრისტეს ფეხის მკვნეტელი **მალლაფერიძეა** ამ ყველაფრის თავკაცი...

ის, რასაც ბატონი ანდრიაძე ითხოვს, ქართველი საზოგადოების წინაშე პოლიტიკოსთა მხრიდან ლგბტ-სექტის მიმართ განწყობას გამოხატავს. მსგავსი „პლებისციტი“ ორიგინალური პერფორმანსის სახით კარგა ხნის წინათ მოაწყო, თუ არ ვცდები, **შალვა რამიშვილმა**, როდესაც წინა მოწვევის პარლამენტში მივიდა და დეპუტატებს შესთავაზა, ლგბტ ალამი ხელში დაეჭირათ. რამიშვილის ამ შეთავაზებაზე დეპუტატთა უმრავლესობამ კატეგორიული უარი განაცხადა. ვინც არ ითაკილა ალმების ხელში დაჭერა, იყვნენ რესპუბლიკური პარტიის დეპუტატები — ძმები **ბერძენიშვილები** და მათი და **თამარ კორძაია.**

ზემოთ ვთქვი, სიტუაცია ჩვენ თვალწინ მძიმდება-მეთქი და ხომ წარმოგიდგენიათ, დღეს რომ მსგავსი „პლებისციტი“ ჩავატაროთ, რა შედეგს მივიღებთ?

განგაშის ზარები მაშინ უნდა დაგვერისხებინა, როდესაც ივანიშვილის ხელისუფლებამ მართლმადიდებლის, მრავალშვილიანი **დიმიტრი ლორთქიფანიძის** 70 ათასი მხარდამჭერი ფეხებზე დაიკიდა და საქართველოს სახალხო დამცველად სექტანტი **უჩა ნანუაშვილი** დანიშნა. მაშინაც, როდესაც ივანიშვილმა ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების საქართველოში დაკანონებაზე კორესპონდენტს განუცხადა: საქართველო ამისთვის ჯერ მზად არ არისო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამისთვის მოვემზადებითო. იმის შემდეგ გვამზადებენ მასმედიიდან გადმონთხეული შხამით და დღეს წლების წინათ დათესილი არხეინობის ნაყოფს ვიმკით.

მაინც რა ხდება, **რა ხიბლი აქვს საქართველოს ისეთი, რომ ჩვენს ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონება იდეა-ფიქსად გაუხდია დასავლეთს, რა, სხვა საქმე არ აქვს?!**

ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ:

**მართლმადიდებელ სამყაროში ორადორი ეკლესიაა — საქართველოსა და რუსეთის, რომლებიც ვერაფრით გატეხეს, ვერ შეაყენეს ნეოლიბერალურ რელსებზე, მსგავსად დასავლეთის კათოლიკური თუ მართლმადიდებელი (საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი) ეკლესიებისა.**

რუსეთი გასაგებია — გარდა რწმენისა, ატომური ფარიც იცავს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. რაც შეეხება საქართველოს, ძნელი ასახსნელია, რით, რა საშუალებებით უძლებს საქართველოს დედაეკლესია წლების განმავლობაში შინაური თუ გარეული ხლისტების გააფთრებულ შეტევებს.

საქართველოა ის „ურჩი ქვეყანა“, რომელშიც, დაყვავება-მუქარის მიუხედავად, სოროსისტებმა ვერაფრით შეძლეს გეიაღლუმის ჩატარება, რაც წინაპირობა, თითქმის გარანტიაა მოკლე ხანში ჰომოსექსუალების ქორწინების დაკანონებისა, რადგან გეიაღლუმის ჩამტარებელი ქვეყანა და, უკაცრავად, ნახმარი პატარძალი ერთი და იგივეა.

**რატომ ასეთი „ჩაციკვლა“ მართლმადიდებელ ეკლესიაზე? — რატომ და, სოროსისტებმა კარგად იციან, რომ ერთადერთი რეალური მოწინააღმდეგე მსოფლიოს ლგბტ-ზაციის (წაიკითხე — მსოფლიოზე ბატონობის) გზაზე მართლმადიდებელი ეკლესიაა.**

მიუხედავად ბოლო პერიოდში მიზეზთა გამო ეკლესიის გარკვეულწილად დისკრედიტაციისა, იმედი მაქვს, ქართველ კაცს ეყო საიმისო ჭკუა, რომ ცალკეული უღირსი სასულიერო პირების გამო არ გაბრაზებულიყო დედაეკლესიაზე, მისთვის ზურგი არ შეექცია და დღესაც მხოლოდ მისი იმედი აქვს და არა ნაც-ქოცებისა თუ სხვა პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკანების...

მაშ, **დაგვიძახე, დედაო, დაგვიძახე და წარგვიძეხი, შეაჩვენე, ანათემას გადაეცი ქვეყნისა და ეკლესიის ყველა ორგული, თორემ ამ ფარისეველთა იმედზე ჩვენი მტერიც ნუ ყოფილა!**

**დავით მხეიძე**

**P.S. დასასრულ, მინდა, ლგბტ-პედერასტებს განვუმარტო, რა ცოდვას სჩადიან მამათმავლობის პროპაგანდით:**

**წმინდანებისა არ იყოს, ცოდვებსაც აქვს გრადაცია, რომლის მიხედვით პირველი და უმძიმესი ცოდვა არის ზოოფილია, მეორეა მამათმავლობა და მხოლოდ მესამეა კაცის კვლა, რომლის შენდობასაც ათწლიანი ეპიტიმია სჭირდება, ხოლო მამათმავალს 25 წლის შემდეგ თუ შეუნდობს უფალი...**

დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კონსერვატორების ნაწილი ბოლოდროინდელ მოვლენებს „ერთ ქვაბში ხარშავს“ და ფიქრობს, რომ მთავრობა, რომელიც ნარკოტიკების ლეგალიზებას ახდენს და მტკიცედ იცავს ლგბტ-ს უფლებებს, ახლა ქალისთვის შეხედვას აკრძალავს და ამ ნიადაგზე უჩნდება ეჭვი, რომ ერს რაღაც გაუკულმართებულს უპირებენ. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ პრობლემის წინა პლანზე წამოწევა გლობალური შეთქმულების ნაწილია, რომელიც მიზნად მამაკაცური საწყისის დათრგუნვას ისახავს.**

# დაჟინებული მზერა და გაუპატიურებული გონება

**ქართველი საზოგადოების ნაწილი სიამოვნებით იყენებს ნებისმიერ საბაბს, რათა სექსზე ისაუბროს და ილლიცინოს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა მაშინ, როდესაც პარლამენტში განიხილეს „ქალთა მოძრაობის“ პეტიცია, რომელშიც ნახსენები იყო „მიშტერება“, როგორც სექსუალური შევიწროების ერთ-ერთი ფორმა. საუბარმა მასზე ლამის საერთო-ეროვნული დისკუსიის ხასიათი მიიღო. ყველას დაავიწყდა, რომ ხელისუფლება ეკონომიკას გაუკულმართებულ ფორმებში აუპატიურებს, რასაც ნათლად ადასტურებს ფასების ზრდა და ეროვნული ვალუტის კონვულსიები.**



საქართველოს აღებული აქვს გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის“ კონვენციიდან გამომდინარეობს. მან სექსუალური შევიწროება დასჯადი უნდა გახადოს. ამასთანავე, ევროასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოსთვის სავალდებულო გახდა ევროკავშირის 2006/54/ეს დირექტივის პრინციპების რეალიზაცია. ამ დოკუმენტში სექსუალური შევიწროება აღწერილია, როგორც სექსუალური შინაარსის მქონე „ვერბალური ან არავერბალური ქმედება“. შესაბამისად, პეტიციის ავტორებს ნამდვილად ჰქონდათ საფუძველი, რომ თავის ჩამონათვალში **მიშტერება** თუ **დაჟინებული მზერა** შეეტანათ, მაგრამ „ქალთა მოძრაობის“ მიერ შექმნილი დოკუმენტი არ შეიცავდა კონკრეტულ წინადადებებს შრომის კოდექსში ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებზე — ის ძალიან ზოგადი დეკლარაციის ხასიათს ატარებდა, რომელიც უფრო მიტინგზე გამოსვლას მოუხდებოდა. არაადეკვატური იყო იმ ადამიანების რეაქციაც, რომლებიც „მიშტერებაზე“ ღლიცინებდნენ. მოკლედ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სამართლებრივი და ზოგადი კულტურის დონე ჩვენში კვლავინდებურად სოფლის ბირჟის დონეზეა და საპარლამენტო რესპუბლიკაც შესაბამისი გვაქვს.

ზოგს შეიძლება არ ესმოდეს, რატომ გრძნობს ქალი თავს შეურაცხყოფილად, როდესაც მას „თვალებით აშიშვლებენ“ და არ ძალუძს იმის წარმოდგენა, რომ მსგავსი პრობლემა შეიძლება მის ნათესავს შეექმნას, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოში უამრავი ახალგაზრდა მოკლეს და დაჭრეს მას შემდეგ, რაც სხვის შეყვარებულს ან ახლობელს, ასე ვთქვათ, „არაკორექტულად“ შეხედა (ხშირ შემთხვევაში გადაცდომა წარმოსახვითი იყო). განხილულ საკითხს საკმაოდ ტრაგიკული ქვეტექსტი აქვს.

**კონსერვატორების ნაწილი ბოლოდროინდელ მოვლენებს „ერთ ქვაბში ხარშავს“ და ფიქრობს, რომ მთავრობა, რომელიც ნარკოტიკების ლეგალიზებას ახდენს და მტკიცედ იცავს ლგბტ-ს უფლებებს, ახლა ქალისთვის შეხედვას აკრძალავს და ამ ნიადაგზე უჩნდება ეჭვი, რომ ერს რაღაც გაუკულმართებულს უპირებენ. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ პრობლემის წინა პლანზე წამოწევა გლობალური შეთქმულების ნაწილია, რომელიც მიზნად მამაკაცური საწყისის დათრგუნვას ისახავს.**

საჩივრების რაოდენობა, საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემდეგ, სავარაუდოდ, მართლაც გაიზრდება, როგორც ეს სხვა ქვეყნებში მოხდა და ზოგიერთი მათგანი „თითიდან გამოწოვილი“, შანტაჟზე ორიენტირებული იქნება. მაგრამ არის რამდენიმე ნიუანსი, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. კანონში არავინ ჩაწერს „მიშტერების“ ხანგრძლივობას და სხვა მსგავს პარამეტრებს. მეტიც, ის, სავარაუდოდ, საერთოდ არ იქნება ნახსენები, არამედ — მხოლოდ ნაგულისხმევი სხვა არასასურველ არავერბალურ ქმედებებთან ერთად. ის არ ჩაითვლება სექსუალურ შევიწროებად, სანამ აშკარად ცინიკურ ხასიათს არ მიიღებს (მაგალითისთვის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ათწუთიანი მიშტერება მკერდის ან გენიტალიების არეში) ან ქალი პროტესტს არ გამოთქვამს. მთავარი ისაა, რომ მანამ, სანამ ქალი (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მის ადგილას შეიძლება მამაკაცი აღმოჩნდეს) არ შეამჩნევს, რომ დაჟინებული მზერა მისთვის უსიამოვნოა და თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, ყოველივე დარჩება ჩვეულებრივ კომუნიკაციად ან ფლირტად, რომელიც არავის აუკრძალავს და, ალბათ, ვერასოდეს აკრძალავს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში უარის მომენტი ხაზგასმულია, ხოლო იმისთვის, რომ სექსუალური შევიწროება ასეთად ჩაითვალოს, ის უარის (პროტესტის) შემდეგაც უნდა განმეორდეს. ცხადია, უდანაშაულობის პრეზუმფცია სექსუალურ შევიწროებაზეც ვრცელდება — ნებისმიერ ბრალდებას მტკიცებულებებით გამყარება სჭირდება.

**არის კიდევ ერთი თანმდევი ვერსია, რომლის თანახმად მსგავსი კანონების გამკაცრება მხოლოდ ლიბერალებს აინტერესებს.** ეს, როგორც წესი, ასეა, მაგრამ არა ყოველთვის. მაგალითად, შარშან გერმანიის ბუნდესტაგმა გაამკაცრა სასჯელი სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისთვის. ადრე გაუპატიურების ფაქტის დასადგენად საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ მსხვერპლმა ფიზიკური წინააღმდეგობა გაწია ან მის მიმართ ადგილი აშკარა ძალადობრივ იძულებას ჰქონდა. ახლა კი საკმარისია იმის დადასტურება, რომ მან უბრალოდ თქვა „არა“ ან შესაბამისი ჟესტი გამოიყენა. **გამკაცრდა სასჯელი ჯგუფური სექსუალური შევიწროებისთვის, მათ შორის იმ პირებისთვის, რომლებიც მსხვერპლს თითითაც არ შეხებიან და, უბრალოდ, უყურებდნენ, როგორ „ერთობოდნენ“ სხვები.** ეს უკანასკნელი ნორმა კელნში საახალწლოდ განვითარებული მოვლენების გამოძახილია — მაშინ ასეულობით ქალი ახალგაზრდა მიგრანტების სექსუალური აგრესიის მსხვერპლი გახდა. საინტერესოა, რომ ლიბერალების ნაწილი, „მწვანეები“ და ის მემარცხენეები, რომლებიც მიგრანტების მიმართ მაქსიმალურად ტოლერანტული პოლიტიკის გატარებას მოითხოვდნენ, ამ ცვლილებების წინააღმდეგ წავიდნენ, ხოლო კონსერვატიულმა გერმანიამ მას მხარი დაუჭირა. **ნუთუ აუცილებელია საქართველოშიც „კელნის ღამის“ მსგავსი მოვლენები განვითარდეს, იმისთვის, რომ საზოგადოება პრობლემაზე დაფიქრდეს?** ეს, ალბათ, გამოიწვევს კონცენტრაციას მიგრანტების თემაზე და არა ქალთა უფლებებზე.

**70-იანი წლებიდან ფემინისტები დიდ ყურადღებას აქცევენ «გაუპატიურებას მზერით», განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1973-ში ლორა მალვიმ გამოაქვეყნა წერილი «ვიზუალური სიამოვნება და ნარატიული კინემატოგრაფი», რომელშიც ჰოლივუდის კლასიკური ფილმები ფსიქოანალიზის პოზიციიდან შეაფასა**

**არსებობს გარკვეული სხვაობა ამერიკულ და ევროპულ მიდგომას შორის. ამერიკელებმა ამ სფეროს რეგულირება ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყეს, მიიღეს უამრავი დეტალურად გაწერილი აქტი და, საბოლოო ჯამში, შექმნეს ისეთი ატმოსფერო, როდესაც მამაკაცების ნაწილმა თავი მართლაც დათრგუნულად იგრძნო. ევროპული მიდგომა უფრო თავისუფალია, თუმცა იქ ბოლო დროს გამკაცრების ტენდენცია შეინიშნება. საქართველო ამ მხრივ „ევროპულ ლოკომოტივზეა“ მიბმული და მის კანონმდებლობაში ჯერჯერობით მხოლოდ ძალიან ზოგადი ფორმულირებები შედის.**

საინტერესოა, რომ დიდი ბრიტანეთი ბოლო დროს აშკარად დაშორდა კონტინენტურ ევროპას და აშშ-ს დაემსგავსა, სადაც სექსუალური შევიწროების მიმართ მამაკაცი ხშირ შემთხვევაში აპრიორი დამნაშავედ განიხილება. ახლახან თავი მოიკლა უელსის მთავრობის ყოფილმა მინისტრმა კარლ სარჯენტმა, რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც სამმა ქალმა მას ბრალი სექსუალურ შევიწროებაში დასდო. სარჯენტმა არ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი და რა ეპიზოდზე იყო საუბარი, რადგან სამართალდამცველები ამ ქალების ანონიმურობას იცავდნენ. ის თანამდებობიდან მოხსნეს და ლეიბორისტული პარტიიდან გარიცხეს, მაშინ, როდესაც ის უშედეგოდ ითხოვდა დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას. მისი თვითმკვლელობის შემდეგ ცნობილი მხოლოდ ის გახდა, რომ ბრალდებებში საუბარი იყო უადგილო ყურადღებასა და შეხებაზე და არა გაუპატიურებაზე.

რამდენიმე თვის წინათ საზოგადოება აღშფოთდა, როდესაც ერთ-ერთი მაღაზიის დაცვის სამსახური დაადანაშაულეს იმაში, რომ თანამშრომლების გასახდელში სათვალთვალო კამერა დაამონტაჟა, ისინი კი სამსახურის დაკარგვის შიშით ხმას ვერ იღებდნენ. **სექსუალური შევიწროება უფროსის ან მაღალი რანგის თანამშრომლის მხრიდან საქართველოში ფართოდ გავცელდა. აუტანელი სიღარიბე, სამსახურის დაკარგვის შიში ბევრ ქალს აიძულებს, ყველაფერი აიტანოს, მაგრამ ეს მდგომარეობა, როგორც ჩანს, საზოგადოების ღირსებას არ შეურაცხყოფს — ის „მიშტერებას“ მიაშტერდა.**

**სექსუალური შევიწროება უფროსის ან მაღალი რანგის თანამშრომლის მხრიდან საქართველოში ფართოდ გავცელდა. აუტანელი სიღარიბე, სამსახურის დაკარგვის შიში ბევრ ქალს აიძულებს, ყველაფერი აიტანოს, მაგრამ ეს მდგომარეობა, როგორც ჩანს, საზოგადოების ღირსებას არ შეურაცხყოფს — ის «მიშტერებას» მიაშტერდა**

სექსუალური შევიწროება პირობითად შეიძლება სამ სახეობად — ფიზიკურად, ვერბალურად და არავერბალურად დავყოთ. სწორედ უკანასკნელში შედის ყბადაღებული მიშტერება, ინტერნეტში განხორციელებულ სექსუალური ხასიათის მოქმედებასთან ერთად. გამოკითხვების თანახმად, ქალები ყველაზე ხშირად აცხადებენ, რომ მათთვის შეურაცხმყოფელ ქმედებას ფიზიკური ხასიათი ჰქონდა, შემდეგ სიტყვიერი მოდის, არავერბალური ბოლო ადგილზეა. ეს არ ნიშნავს, რომ ის იშვიათია, პირიქით, ყველაზე ხშირია, მაგრამ მისი „გადაგორება“ შედარებით იოლია და ქალების უმრავლესობას ურჩევნია, უბრალოდ, დაივიწყოს უსიამოვნო ეპიზოდი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ქალთა ორგანიზაციებს შეუძლიათ დროებით ამოიღონ თავიანთი მოთხოვნებიდან „მიშტერება“ და აქცენტი შევიწროების სხვა ფორმებზე გადაიტანონ?

ეს, ალბათ, არ მოხდება, რადგან 70-იანი წლებიდან ფემინისტები დიდ ყურადღებას აქცევენ „გაუპატიურებას მზერით“, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1973-ში ლორა მალვიმ გამოაქვეყნა წერილი „ვიზუალური სიამოვნება და ნარატიული კინემატოგრაფი“, რომელშიც ჰოლივუდის კლასიკური ფილმები ფსიქოანალიზის პოზიციიდან შეაფასა. ამ მიდგომის ფარგლებში მიჩნეულია, რომ, უპირველესად, სწორედ დაჟინებული მზერა აქცევს ქალს ობიექტად და მას მამაკაცის მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს. ასე რომ, ის, რაც ბევრს უმნიშვნელოდ მიაჩნია, ქალთა უფლებების დამცველების დიდი ნაწილისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, ისინი, სავარაუდოდ, არ ამოიღებენ „მიშტერებას“ ჩამონათვალიდან.

ორივე მხარე დისკუსიისთვის მზად არ არის. საკითხს, დიდი ალბათობით, მომავალშიც ამავე სტილში განიხილავენ — ერთნი ილლიცინებენ, მეორენი უაზრო ისტერიკებს მოაწყობენ, პარლამენტი დროს გაწელავს, ბოლოს კი, ევროპელების საყვედურის შიშით, სასწრაფო წესით გამოაცხობს რამდენიმე ზოგად და გაუმართავ ფორმულირებას, რომელთა პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელი გახდება. პრინციპში, სხვა რა უნდა მოხდეს სიტუაციაში, როდესაც ერთმანეთს რადიკალური ფემინიზმი, რადიკალური კონსერვატიზმი და რადიკალური იდიოტიზმი უპირისპირდება?

**ვერ მივიღებ ვერანაირ დამუნათებას იმ ადამიანებისგან, რომლებიც დღეს პირდაპირ ძალადობენ ხალხის ცნობიერებაზე და თავიანთი აგრესიული მოწოდებებით ცდილობენ, მახინჯი ფორმით წარმოადგინონ ადამიანის უმთავრესი უფლება — სწამდეს უფალი და ცხოვრობდეს იმ კანონებით, რომლებიც უზენაესმა დაადგინა; უყვარდეს, იბრძოდეს, შრომობდეს სამშობლოსა და ოჯახის საკეთილდღეოდ და არა ცხოველური ინსტინქტების სადიდებლად.**

ჰკა მაგათა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიბერალური ტოტალიტარიზმი

**გასულ კვირაში ე.წ. აგრესიულმა ლიბერალებმა ქართველ საზოგადოებას აქტიურად შეუტიეს. ყველაფერი კი ჰოლივუდელი პროდიუსერის, ჰარვი ვაინშტაინის, წინააღმდეგ აგორებული სკანდალის შემდეგ დაიწყო. მას სექსუალურ შევიწროებაში საკმაოდ ბევრი ადამიანი სდებს ბრალს.**




ჰარვი ვაინშტაინის გარშემო ამტყდარი აჟიოტაჟის შემდეგ ბევრი ცნობილი ადამიანი ე.წ. ქამინგაუტით გამოვიდა და თავისი გადახრების შესახებ განაცხადა.

ყველას, ცხადია, არ ჩამოვთვლი და არც მათი ცოდვების შესახებ ვისაუბრებ, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ მოძალადეთა და ძალადობის მსხვერპლთა შორის **კევინ სპეისი, დასტინ ჰოფმანი** და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **მარგოტ ვალსტრომიც** აღმოჩნდნენ.

მსახიობ **ალისა მილანოს** მიერ სოციალურ ქსელში წამოწყებულ კამპანიაში, რომელიც ჰეშთეგ #MeToo („მეც“)-თი ვრცელდება, ჩაერთო უამრავი ადამიანი, რომლებიც თავსგადახდენილ ამბებს მსოფლიოს უზიარებენ. მათ აღიარებებს, ე.წ. უფლებადამცველების აღფრთოვანებული შეძახილების გარდა, ნორმალური უმრავლესობის შესაბამისი რეაქციაც მოჰყვა. მაგალითად, კევინ სპეისს სერიალში მთავარი როლი აღარ შეასრულებინეს და სტუდენტებმაც მის ლექციებზე დასწრებაზე უარი განაცხადეს, მაგრამ ეს ფაქტები ქართულ მედიაში არ გახმაურებულა.

გარკვეული ნაწილი ქართველი „ცნობადებისა“, რომელთა ცხოვრების არსი ნებისმიერი ხერხით საზოგადოების ყურადღების მიპყრობაა, არ ჩამორჩნენ „მოდას“ და სხვადასხვა ტელეშოუსა თუ ელექტრონულ გამოცემაში „მკაცრად გაილაშქრეს“ ე.წ. მოძალადეების წინააღმდეგ. მათაც „მოახდინეს ქამინგ აუტი“ და ბევრი „აღიარებითი ჩვენებაც“ გაავრცელეს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ყველაფერი წინასწარ დადგმული სცენარის მიხედვით ვითარდებოდა.

ამის დამადასტურებელი კი არის ის, რომ არც ერთ მათგანს, **თათია სამხარაძის** გარდა, რომელმაც **შალვა რამიშვილს** უჩივლა, კონკრეტული გვარ-სახელები არ დაუსახელებია. ისინი მხოლოდ იმ მცირე „ისტორიებით“ შემოიფარგლნენ, რომელთა მსგავსი ინტერნეტსივრცეში უამრავია.

შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ თანამდებობის პირ მამაკაცთა მხრიდან ძალადობაზე „მოქვითინე ცნობადების“ უმრავლესობა თვითონ ახორციელებდა ძალადობას სხვადასხვა სექსისტური მეთოდით, რათა გარკვეული „წარმატებისთვის“ მიეღწია.

ცხადია, **ნებისმიერი ძალადობა საშინელებაა და რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღიკვეთოს, მაგრამ ამ ყველაფერმა საკმაოდ ორგანიზებული, მიზანმიმართული და ფორსირებული ხასიათი მიიღო. სწორედ ამიტომ გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს კამპანია მართულია და იმ ძალებმა დაიწყეს, რომლებიც არანორმალური ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და ნამდვილი ფასეულობების წაშლას ცდილობენ.**

ასევე მთავარია საკითხი: ვინ მოუწოდებს ადამიანებს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. უცხოელებზე არაფერს ვიტყვი, რადგან ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ვერაფრით მივიღებ მოწოდებას **ნანუკა ჟორჟოლიანისგან**, რომელმაც ტელეფონზე შეცდომით დარეკვის გამო მეუღლის ზონდერებს ახალგაზრდა მამაკაცები აწამებინა. ვერ მივიღებ ტოლერანტობისკენ მოწოდებას იმ ადამიანისგან, რომელიც თვითონ აწამებდა (მაგალითისთვის **სულხან მოლაშვილის** მიერ მის წამებაში დადანაშაულებული **გიგა ბოკერიაც** კმარა), „აპრავებდა“ იმ ბოროტებას, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იყო გამეფებული (**ეკა კვესიტაძე, დავით პაიჭაძე**). ვერ მივიღებ ნიკა **გვარამიასგან,** რომლის „მოღვაწეობა“ გენერალური პროკურორის მოადგილეობისას ყველასთვის ცნობილია.

ვერ მივიღებ ვერანაირ დამუნათებას იმ ადამიანებისგან, რომლებიც დღეს პირდაპირ ძალადობენ ხალხის ცნობიერებაზე და თავიანთი აგრესიული მოწოდებებით ცდილობენ, მახინჯი ფორმით წარმოადგინონ ადამიანის უმთავრესი უფლება — სწამდეს უფალი და ცხოვრობდეს იმ კანონებით, რომლებიც უზენაესმა დაადგინა, უყვარდეს, იბრძოდეს, შრომობდეს სამშობლოსა და ოჯახის საკეთილდღეოდ და არა ცხოველური ინსტინქტების სადიდებლად.

**ეს აგრესიული ლიბერალები საქართველოს მოსახლეობას ორ ფრონტზე უტევენ. ეს არის ნარკომანიის დეკრიმინალიზაცია და სექსუალური თავისუფლება.**

**უტევენ, რადგან იციან, რომ ეს „თავისუფლებები“ იწვევს ადამიანის დაცემას, მის მოწყვეტას საზოგადოებისგან, ანგრევს ოჯახს, მეგობრობას, სიყვარულს. სწორედ ამიტომ ცდილობენ, კარგად „შეფუთონ“ ეს სწრაფი მოქმედების ნაღმები და ახალგაზრდებში გაავრცელონ.**

ნარკომანიისა და ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის, ამ საშინელი ბოროტების შეფუთვა ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის, „კლუბური ნარკოტიკის“ და ა.შ. სახელით, არის „წამლის ბარიგობის“ გამართლება და მას ისეთი საშინელი შედეგები მოსდევს, როგორიც ამ ზაფხულს თაღლითი **გიორგი სიგუას** მიერ ე.წ. ელექტრონული მუსიკის ფესტივალ „ჯემ ფესტზის“ ჩატარებას მოჰყვა.

რაც შეეხება ძალადობის დაგმობის ეგიდით „პიდარასტების“ გაპრავების შეფუთვას, **პირდაპირ ვიტყვი, რომ ძალიან დამაფიქრებელია არჩევნების შემდეგ ე.წ. აგრესიული ლიბერალების ასეთი გააქტიურება.**

მიზანი, ფაქტობრივად, გაცხადდა: ხალხის გაღიზიანებით სურთ, გამოიწვიონ პროვოკაცია, რომლის საბოლოო მიზანი დესტაბილიზაცია და სწორად მოაზროვნე ხალხისთვის სხვადასხვა ფორმით ზიანის მიყენებაა.

პროპაგანდისტული შეტევის ასე ფორსირებულად განხორციელება, სავარაუდოდ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ პარტიულ ფრთას შეეძლო, რომელიც სრულად იყენებს მის კონტროლს დაქვემდებარებულ მედიასაშუალებებს. ამ საკითხით შესაბამისი სამსახურები უნდა დაინტერესდნენ, რათა ეროვნული ფასეულობების მოწინააღმდეგეებს არ მიეცეთ ბინძური გეგმის განხორციელების საშუალება.

საზოგადოების პოლარიზება ნათლად ჩანს იმ რეაქციებიდან, რომლებიც ამა თუ იმ საპროტესტო აქციასა თუ ტელეგადაცემას მოსდევს. **უარყოფითი დამოკიდებულების არც ისე კორექტული ფორმით გამოხატვის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ აგრესიული ლიბერალები, ფაქტობრივად, სრულად აკონტროლებენ ტელესივრცეს და ეწევიან თავიანთი ბინძური აზრების პროპაგანდას. ნორმალურად მოაზროვნე ნაწილს კი, ფაქტობრივად, ხელი არ მიუწვდება მსგავს გადაცემებზე და ამიტომ აგრესიული ლიბერალები ღირსეულ პასუხს ვერ იღებენ, რაც საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს.**

ამ თემებზე კომენტარს ძალიან ვერიდებოდი, მაგრამ დღეს აუცილებლად ვთვლი, ჩემი მოსაზრება გამოვხატო.

ეს თემებია:

**1. ჩარევა ჟურნალიტურ საქმიანობაში;**

**2. ამა თუ იმ საპროტესტო აქციის კრიტიკა.**

კარგად მესმის იმ მკითხველისა თუ მაყურებლის, რომელიც თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ამა თუ იმ გადაცემის ან სტატიის მიმართ. მესმის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენი საზოგადოება პოლიტიზებულია და ადამიანებს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი სხვადასხვა რესპონდენტის მიმართ. აქვთ პოლარიზებული დამოკიდებულება პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მოღვაწეობის მიმართ და, ბუნებრივია, სურთ, თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება გაასაჯაროონ, რისთვისაც სოციალური ქსელი კარგი საშუალებაა.

მინდა, ჯერ როგორც მოქალაქემ და შემდეგ ჟურნალისტმა, განვაცხადო, რომ **ჟურნალისტებსაც გვაქვს შეფასებები რესპონდენტების მიმართ, მაგრამ, ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, ვალდებულნი, ვიმეორებ, ვალდებულნი ვართ, საზოგადოებას მივცეთ საშუალება, თვითონ წაიკითხოს, უყუროს, უსმინოს იმ მომენტისთვის ყველაზე აქტუალური საკითხის შეფასებას, როგორც თემაში ჩართული ადამიანების მხრიდან, ასევე საზოგადოების გარკვეული წევრების მხრიდანაც.**

კი ბატონო, გეთანხმებით, რომ გარკვეულწილად გვეტყობა ჩვენი სიმპათია-ანტიპათია რესპონდენტების მიმართ, მაგრამ იმ ადამიანებს ვაძლევთ საშუალებას, ბოლომდე გამოხატონ თავიანთი აზრი, ხოლო თქვენ გაძლევთ საშუალებას, გამოიტანოთ დასკვნები.

დარწმუნებული ვარ, კარგად მიხვდით იმას, რისი თქმაც მინდა და სწორად შეაფასებთ, ამიტომ ჩემთვის გაუგებარია ფრაზები; „ნუ წერ ამ თემაზე“, „ნუ მოგყავს სტუმრად“ ესა თუ ის ადამიანი, „ნუ აშუქებ ამ თემას“. მერწმუნეთ, ეს იგივეა, რაც, მაგალითად, ექიმს უთხრა, ამას არ უმკურნალო, ან ადვოკატს — ნუ იცავ ამა თუ იმ პიროვნებასო.

ჩვენთვის და ჩვენი პროფესიისთვის გაცილებით უკეთესია, გვითხრათ არა ის, რაზეც ზემოთ ვწერდი, არამედ ის, რა გამოგვრჩა მასალაში ან გადაცემაში. გვითხრათ ის ნიუანსები, რომლებზეც აჯობებდა ყურადღების გამახვილება.

ანალოგიური მდგომარეობაა აქციების მიმართაც. ხშირად მამუნათებენ, რომ ხანდახან ვესწრები აქციას, რომელიც არ მოსწონთ იმის გამო, რომ მასში მონაწილეობენ მათთვის მიუღებელი ადამიანები ან გაისმის მოწოდებები, რომელთა ნაწილიც მიუღებელია. პირდაპირ ვიტყვი, რომ იქ ზოგიერთ პიროვნებასთან ერთად ჩემი პირადი მეგობრებიც არიან და გაისმის ის მოწოდებები, რომელთა ნაწილი მისაღებია. და კიდევ — ვესწრები აქციას თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ დროს ვმუშაობ — ვაგროვებ მასალას სტატიისთვის.

არავის არაფერს მოვუწოდებ, რადგან ვიცი, სრულად არაფერი შეიცვლება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, საზოგადოების დიდი ნაწილი სწორად აღიქვამს ჩემს დამოკიდებულებას ამ საკითხების მიმართ. ასევე მინდა, ყველას — პოლიტიკოსებს, მოქალაქეებს და ა.შ., ვისაც რეალურად სურს თავისი აზრის გამოხატვა, მოვუწოდო: ნუ გახდებიან იმ ტელეგადაცემების მძევალნი, რომლებიც თავიდანვე ფაქტების დამახინჯებაზე არიან ორიენტირებულნი.

მერწმუნეთ, **ბეჭდური მედია, ფაქტობრივად, თავისუფალია აგრესიული ლიბერალების გავლენისგან და რომელიმე შოუში ნასროლ ლოზუნგს, რომელიც ოპონენტების მიერ მყისვე იხშობა, საგაზეთო სტატიაში მოსაზრებების მკაფიოდ ჩამოყალიბება სჯობს.**

ბუნებრივია, ხელისუფლება აქტიურად, ანუ მათთვის შესაძლებელი ღონისძიებების დონეზე, პოლიციის მიერ „პიდარასტების“ მასობრივი დაპატიმრება იქნება თუ მკვეთრი საკანონმდებლო ცვლილებები, ვერ და არ ჩაერთვება.

**არ მოხდება (და არც უნდა მოხდეს) ნამდვილი დემოკრატიული ფასეულობების გადახედვა, ანუ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ აუცილებლად უნდა შეიზღუდოს ნარკომანიისა და არატრადიციული ორიენტაციის აგრესიული ფორმებით პროპაგანდა, უნდა დადგინდეს საზღვრები ლიბერალიზმსა და აგრესიას შორის.**

სამწუხაროდ, მთავარი პრობლემა არის ის, რომ მმართველმა ძალამ თავის დროზე ზუსტი პრიორიტეტი ვერ (ხაზს ვუსვამ — ვერ!) აირჩია.

დღეს უმთავრესი პრიორიტეტი, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია და ასეთ დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომელ ძალას დაეყრდნობა ხელისუფლება — სიაბანდ ცივილურს თუ ეროვნული და ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებებს მიმდევარს.

წერილი კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, ერთ-ერთი ბოლო გამოსვლის ამონარიდით მინდა დავასრულო: **„ჩვენ შევაჩერებთ ქრისტიანულ ფასეულობებზე შეტევას. ჩვენ ვბლოკავთ შეტევებს იუდეურ-ქრისტიანულ ფასეულობებზე“.**

ტრამპმა კიდევ ერთხელ შეუტია ბოლო წლებში აშშ-ში ლიბერალური პოლიტკორექტულობის გავლენით დამკვიდრებულ მოცემულობას, როცა საზოგადოების ნაწილი იყენებდა გამოთქმას „ბედნიერ შობას გისურვებთ!“ და მის ნაცვლად ერთმანეთს ბედნიერ არდადეგებს უსურვებდა.

**„ისინი აღარ იყენებენ სიტყვა შობას, რადგან ეს პოლიტიკურად კორექტული არ არის. ჩვენ კვლავ ვამბობთ: ბედნიერ შობას გისურვებთ!“** — განაცხადა ტრამპმა.

მგონი, კომენტარი ზედმეტია.

**გია გაბრიჭიძე**

საფრთხე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**GENDER MAINSTREAMING-Ი, ევროკავშირის 1997 წლის ამსტერდამის შეთანხმებით, ოფიციალურ სტრატეგად არის აღიარებული. გაეროს დოკუმენტებში კი ის განისაზღვრება, როგორც „ძირითადი გლობალური სტრატეგია გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად“, რომელიც სავალდებულოა გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოსთვის. ყველა სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დაიცვას სქესების წონასწორობა და შეეწინააღმდეგოს უთანასწორობის დისბალანსს, რადგან „გენდერული როლები არ არის ბიოლოგიური განსხვავების შედეგი, ისინი განისაზღვრება იმ სისტემებისა და კულტურის მიერ, რომლებშიც ვცხოვრობთ“. ეს ნიშნავს, რომ შეგვიძლია გავლენა ვიქონიოთ გენდერული როლების ჩამოყალიბებასა და შეცვლაზე. აქ ლაპარაკია 100%-იან გათანაბრებასა და უნიფიკაციაზე. აი ასეთ თეორიებს აყალიბებენ გენდერის ადეპტები თავიანთ „ნაშრომებში“.**

# საქართველოს ხელისუფლება «დაჟინებით უმზერს» ყველაფერს, რაც ტრადიციულ ოჯახს, ეროვნულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება

**„ქართული ოცნება“, უკვე 5 წელიწადია, ხელისუფლების სათავეშია და, შეიძლება ითქვას, ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური საქმიანობის მიხედვით არათუ გაუტოლდა „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიან სისხლიან რეჟიმს, არამედ გაუსწრო კიდეც.**

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან 2 თვეში, 2012 წლის დეკემბერში, ვითომ ქვეყანაში სხვა პრობლემები არ იყო მოსაგვარებელი, სასწრაფოდ განიხილა საკითხი ბუსუსებიანი პრეზერვატივის გამოყენების შესახებ. ამას მოჰყვა „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, 2013 წელს, ჰომოსექსუალთა მხრიდან ე.წ. აღლუმის გამართვის მცდელობა, რომელიც კრახით დასრულდა, ასი ათასამდე მართლმადიდებლის ქუჩაში საპროტესტო აქციაზე გამოსვლის გამო. მოგვიანებით დასავლეთისგან ფულითა და მხარდაჭერით შეგულიანებულმა ჰომოსექსუალებმა ტაქტიკა შეცვალეს და თავიანთი უფლებების დაცვის მომიზეზებით, ასევე დასავლეთის მეშვეობით, იერიში საკანონმდებლო ორგანოზე მიიტანეს.

2013 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს დაეკისრა ვალდებულება, მიეღო კანონი, რომელიც დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის აღმოფხვრისკენ იქნებოდა მიმართული და, მიუხედავად ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტისა, საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს ერთხმად(!) მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რაც ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის განმტკიცება-პროპაგანდისკენ გადადგმული ნაბიჯია. მიმდინარე წელს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტმა (თავმჯდომარე **სოფიო კილაძე**, პირველი მოადგილე — **გედევან ფოფხაძე,** მოადგილე — **რატი იონათამიშვილი,** მოადგილე — **გიორგი ტუღუში**, წევრები: **ლევან ბეჟანიძე, ირაკლი ბერაია, ვანო ზარდიაშვილი, ირმა ინაშვილი, სავალან მირზოევი, დიმიტრი მხეიძე, ანრი ოხანაშვილი, რუსლან პოღოსიანი, სერგო რატიანი, დიმიტრი ცქიტიშვილი, ელენე ხოშტარია)** 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში 17 მაისის ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ აღნიშვნა შეიტანა(?).

ამა წლის 30 ოქტომბერს კი საქართველოს მთავრობამ №488-ე დადგენილებით დაამტკიცა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“, რომელთა მიხედვით საბავშვო ბაღებში აღმზრდელებმა ბავშვები არ უნდა დაყონ გოგონებად და ბიჭებად, მათთვის ყველანაირი აქტივობა და მასალა თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა სამომავლოდ არ არსებობდეს გამიჯნული საქმიანობები გოგონებისა და ბიჭებისთვის. **ეს ე.წ. სტანდარტები, რომლებიც გენდერულად ნეიტრალური საბავშვო ბაღების შექმნისა და სასწავლო სისტემაში გენდერული იდეოლოგიის შეტანის პირველი ეტაპია, დასავლეთის მიერ არის თავსმოხვეული და მომდინარეობს სქესთა აღრევის თეორიიდან, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ღვთისა და ბუნების კანონებს.**

ეს სტანდარტები შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ (ავტორები: **სტეფან საიფერი, იგორ ბალანჩივაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ გაბისონია, ნინო ლაბარტყავა, ნინო ფრუიძე, თამარ ლორია;** სკოლამდელი განათლების კონსულტანტები — **მერი მორანი, ანა ჯანელიძე**) და საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ის საქართველოს წარმომადგენლობის, ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოსა“ და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით მომზადებული „სასკოლო მზაობის პროგრამის“ მიხედვით („თამაში სწავლასა და განვითარებისთვის, აღმზრდელის სახელმძღვანელო“).

აღსანიშნავია, რომ ევანგელისტური ეკლესიის მიერ აშშ-ში არსებული ორგანიზაცია Vorld Vision-ი, რომელიც საქართველოში 1994 წლიდან მოქმედებს, შემჩნეულია პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ პროდუქტებით მომარაგებაში, ხოლო სოროსის ფონდ „ღია საზოგადოების“ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის არის ცნობილი (იხ. წერილი „სოროსის სია“, „საქართველო და მსოფლიო“, №41, 2017 წ.).

პროგრამაში, რომელშიც ბავშვის აღზრდისა და მისი უნარების განვითარების მეთოდებზე ახალი ბევრი არაფერია ნათქვამი, არის ასეთი თავი: **„თანასწორობა და გენდერული საკითხები“**, რომელშიც აღნიშნულია:

„თანასწორობა მოიცავს გენდერულ საკითხებსაც. თანამედროვე სამყაროში თითქმის ყველა სამუშაოს შესრულება თანაბრად კარგად შეუძლიათ კაცებსა და ქალებს, თითქმის ყველა პროფესიაში ნელ-ნელა თანაბრდება კაცთა და ქალთა რაოდენობა (? — ნ.კ.). ეს ტენდენციები კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში, როდესაც ჩვენი ბავშვები ზრდასრული იქნებიან. პროგრამა თ-ა-მ-ა-შ-ი ბავშვებს ამზადებს როგორც დღევანდელი, ისე ხვალინდელი დღისთვის. აქედან გამომდინარე, აღმზრდელები:

* არ ახდენენ გოგონებისა და ბიჭების **ხელოვნურად** დაყოფას. მაგალითად, ჯგუფში დასწრების აღნიშვნისას გოგონებისა და ბიჭების რაოდენობის ნაცვლად, ითვლიან ბავშვების საერთო რაოდენობას. გენდერული დაყოფა ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ დასახულ მიზანს — ბიჭებსა და გოგონებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებას. აღმზრდელმა ბავშვების ჯგუფი შეიძლება დაყოს **არა სქესის, არამედ სხვა მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად, მაისურის ფერის, სახელის პირველი ასოს, დაბადების თვის მიხედვით და ა.შ. ამ ტიპის კლასიფიკაცია, ამასთანავე, იძლევა სწავლა-სწავლების უფრო მეტ შესაძლებლობებს, ვიდრე ჯგუფის დაყოფა სქესის მიხედვით;**

* უზრუნველყოფენ, რომ ყველანაირი აქტივობა და მასალა ყველა ბავშვისთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი. სასკოლო მზაობის ჯგუფში, ისევე, როგორც ზრდასრულთა ცხოვრებაში, **არ არსებობს მკაცრად გამიჯნული საქმიანობები გოგონებისთვის ან ბიჭებისთვის;**

* აქტიურად წაახალისებენ გოგონებისა და ბიჭების ერთობლივ თამაშსა თუ საქმიანობებს; საჭიროებისამებრ, ეხმარებიან მათ ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში; გეგმავენ აქტივობებს და მოიმარაგებენ ისეთ მასალებს, რომლებიც ორივე სქესის ბავშვებს დააინტერესებთ;

* აღმზრდელებს საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში შეაქვთ რეკვიზიტები და კოსტიუმები გოგონებისა და ბიჭებისთვის, კითხულობენ ან გაითამაშებენ ზღაპრებს, რომლებშიც თანაბრად არიან წარმოდგენილნი **ორივე სქესის გმირები;**

* პასუხობენ გენდერულად (სქესობრივი ნიშნით) დისკრიმინაციულ ქცევას, როგორიცაა ბიჭების მიერ თამაშიდან გოგოების გარიყვა (ან პირიქით), დამცირება და დაცინვა. ამ ტიპის ქცევები არაფრით განსხვავდება ბავშვებს შორის სხვა აგრესიული თუ უხეში ქცევისგან, რომელიც აღმზრდელებმა უპასუხოდ არ უნდა დატოვონ“.

როგორც ხედავთ, **საქართველოს მთავრობა საბავშვო ბაღებში აკანონებს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც აღმზრდელებმა ბავშვებს უნდა ასწავლონ, რომ ტრანსგენდერობა ნორმაა, ხოლო გენდერი არჩევითია, გენდერული იდენტობას — ბიჭი ხარ თუ გოგო, ბიოლოგიური სქესი კი არა, ადამიანის არჩევანი და თვითგანცდა განსაზღვრავს, ანუ საქართველოს მთავრობას სურს, ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ჩაუნერგოს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება არ არსებობს და დაუმახინჯოს ცნობიერება.**

„სასკოლო მზაობის“ პროგრამაში, რბილად რომ ვთქვათ, არასწორადაა წარმოჩენილი ქალსა და მამაკაცის შესაძლებლობები, თითქოს **„თანამედროვე სამყაროში ყველა სამუშაოს შესრულება თანაბრად კარგად შეუძლიათ კაცებსაც და ქალებსაც“.** თუ ასეა, რატომ არ არიან ქალები თანაბრად დაკავებული მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულებით, მაგალითად, მაღაროებში, შახტებში, მეტალურგიულ ქარხნებში, კარიერებზე, მშენებლობაზე, არმიაში. ან რას ნიშნავს **„თანაბრად კარგად შესრულება“?** ვთქვათ, სპორტში ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლები სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომაში, სიმძიმეების აწევაში, ან სირბილში თუ ბირთვის კვრაში — ერთნაირია?

ან რას ნიშნავს “ხელოვნურად დაყოფა”? — სქესის მიხედვით, ბავშვების გამორჩევა, ანუ ბიჭებად და გოგონებად დაყოფა ხელოვნურია?

ან რატომ არ უნდა იყოს გამიჯნული საქმიანობები და თამაშები გოგონებისა და ბიჭებისთვის? ბიჭისთვის — ომობანას, ხოლო გოგოსთვის დედობანასა და სახლობანას თამაში დანაშაულია?

**Gender Mainstreaming**-ი ევროკავშირის 1997 წლის ამსტერდამის შეთანხმებით ოფიციალურ სტრატეგად არის აღიარებული. გაეროს დოკუმენტებში კი ის გა- ▶



**საქართველოს მთავრობა საბავშვო ბაღებში აკანონებს სტანდარტს, რომლის მიხედვით აღმზრდელებმა ბავშვებს უნდა ასწავლონ, რომ ტრანსგენდერობა ნორმაა, ხოლო გენდერი არჩევითია, გენდერულ იდენტობას — ბიჭი ხარ თუ გოგო, ბიოლოგიური სქესი კი არა, ადამიანის არჩევანი და თვითგანცდა განსაზღვრავს, ანუ საქართველოს მთავრობას სურს, ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ჩაუნერგოს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება არ არსებობს და დაუმახინჯოს ცნობიერება**



# ბავშვებს სთავაზობენ „ახალ, დამკვიდრებული სტერეოტიპების ალტერნატიულ შესაძლებლობებს“ — გოგონებს ასწავლიან ფეხბურთს, სახელოსნო ინსტრუმენტების გამოყენებას, ბიჭებისთვის სათამაშო მანქანების წართმევას, ყვირილითა და ძალის გამოყენებით გარდეროზში ადგილის მოპოვებას; ბიჭებს აჩვევენ, როგორ ითამაშონ თოჯინეით, ასწავლიან სხეულის მოვლას, მასაჟს, თითოეულს აძლევენ კოსმეტიკისთვის განკუთვნილ ჩანთას, უხსნიან, რას ნიშნავს, იყოს ლამაზი, ულებავენ ფრჩხილებს, აცმევენ პრინცესის კაბას, აჩვევენ პასიურ როლს: მოთმინებას, დახმარების თხოვნას, დათმობას. მისაბაძები კი არიან აღმზრდელები.

საფრთხე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნისაზღვრება, როგორც „ძირითადი გლობალური სტრატეგია გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად“, რომელიც სავალდებულოა გაეროს წევრი ყველა ქვეყნისთვის. ყველა სახელმწიფომ აუცილებელად უნდა დაიცვას სქესების წონასწორობა და შეეწინააღმდეგოს უთანასწორობის დისბალანსს, რადგან **„გენდერული როლები — არ არის ბიოლოგიური განსხვავების შედეგი, ისინი განისაზღვრება იმ სისტემებისა და კულტურის მიერ, რომლებშიც ვცხოვრობთ“.**

ეს ნიშნავს, რომ შეგვიძლია გავლენა ვიქონიოთ გენდერული როლების ჩამოყალიბებასა და შეცვლაზე. აქ ლაპარაკია 100%-იან გათანაბრებასა და უნიფიკაციაზე. აი ასეთ თეორიებს აყალიბებენ გენდერის ადეპტები თავიანთ „ნაშრომებში“.

მაგალითად, ამერიკელი ფილოსოფოსი, ფემინისტი **ჯუდით ბატლერი**, რომელიც სრულიად უარყოფს ბიოლოგიური სქესის ბუნებრიობას და სექსუალური გადახრების პროპაგანდით არის დაკავებული, ან მისი ფრანგი კოლეგა **მიშელ ფუკო**, რომლის კვლევა სექსუალურობის შესახებ უდროოდ შეწყვიტა შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომმა ან კიდევ ფუკოს თანამემამულე შიზოანალიზის ფუძემდებელი **ჟილ დელეზი.**

2013 წელს ბერლინში ორგანიზაცია „დისენსის“ პედაგოგებმა მოზარდებთან ჩაატარეს ე.წ. წინასწარშეგონების კონკურსი, რომელსაც, გავრცელებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, უნდა ეჩვენებინა, რომ მამაკაცები და ქალები ერთმანეთისგან გაცილებით ნაკლებად განსხვავდებიან. გაიმართა ცხარე დებატები საკითხებზე — შეუძლიათ თუ არა გოგონებს ზეზეულად მოშარდვა და უნდა გამოხატონ თუ არა ბიჭებმა გრძნობები. ერთ-ერთ ჯიუტ ყმაწვილზე „დისენსის“ პედაგოგებმა განაცხადეს: „ეს, უბრალოდ, თავს გვაჩვენებს, რომ ბიჭია, სინამდვილეში კი საშო აქვს“. **„დისენსის“ წარმომადგენლებს, ალბათ, ჰგონიათ, რომ ეს ძლიერი პედაგოგიური სვლაა, და, უეჭველად, სასარგებლო მოზარდისთვის, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, რომელი სამყაროა მისთვის უფრო რეალური — კომპიუტერული თამაშების აგრესიისა და ტრიუმფის ვირტუალური სამყარო თუ სიცრუისა და გულგრილობის. და ვინ იცის, რას მოიმოქმედებს ეს ბიჭი რამდენიმე წლის შემდეგ: შიშველი უკანალის ქნევას დაიწყებს გეიაღლუმებზე თუ ყვავილების თაიგულით ხელში მივა სამშობიარო სახლში ცოლისა და ახალშობილი შვილის მოსანახულებლად?**

მსგავს „პედაგოგიურ მოღვაწეობას“ ნებისმიერი ნორმალური ადამიანი დაგმობს, მაგრამ ასეთ პროექტებს Gender Mainstreaming-ს ჩარჩოებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებენ და ლგბტ თემისგანაა მხარდაჭერილი.

ადამიანს ზოგჯერ ეჩვენება, რომ ან თავში რაღაც ვერ აქვს რიგზე, ან სრულიად მსოფლიო შეიშალა. სწორედ ასეთი განცდა დაგეუფლებათ, თუ გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგს (Gender Mainstreaming) კონცეფციას გაეცნობით, რომელიც ამერიკული უნივერსიტეტების წიაღში იშვა და ფემინისტური მიმართულების ნეოლიბერალიზმის იდეოლოგებმა აიტაცეს თანასწორობისთვის ბრძოლის ნიღბით და, რომლის განხორციელებასაც ცდილობენ დასავლეთის მარიონეტი პოლიტიკოსები...

ბავშვების ჟრიამული ქვიშის სათამაშო მოედანზე, თოჯინებისთვის კერძის მომზადება, მანქანების შეჯიბრება — რომელი უფრო სწრაფია? — ასეთი წარმოგვიდგენია საბავშვო ბაღი, სადაც ჩვენი შვილები და შვილიშვილები მიგვყავს და დარწმუნებული ვართ, რომ ისინი კომფორტულ გარემოში უსაფრთხოდ იქნებიან. და გვგონია, რომ ეს ადგილი უსასრულოდ შორს არის პოლიტიკური ბატალიებისა და სოციალური ექსპერიმენტებისგან, მაგრამ ასე არ არის მათთვის, ვინც ცდილობს ადამიანების, შესაბამისად, საზოგადოების გარდაქმნას.

სწორედ ადამიანის გარდაქმნას ემსახურება შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, კუნძულ გამლა სტანზე, 1998 წელს **ლოტა რაიალინის** მიერ შექმნილი და ლგბტ-ის მიერ მხარდაჭერილი საბავშვო ბაღი „ეგალია“ („თანასწორობა“), სადაც არ არიან „ბიჭები“ და „გოგონები“, სადაც არ კითხულობენ „ფიფქიასა და 7 ჯუჯას“, „კონკიას,“ იმიტომ, რომ ეს ზღაპრები ტრადიციულ ორიენტაციას ქადაგებენ, **ასტრიდ ლინდგრენის** „პეპი გრძელწინდა“ კი იმიტომ არის მისაღები, რომ პეპი ანგრევს გენდერულ სტერეოტიპებს, ხოლო **ეგზიუპერის** „პატარა პრინცი“ — იმიტომ, რომ იქ ბიჭი არ არის მაჩო. ამ საბავშვო ბაღში მოწყობილ სამზარეულოში ვარდისფერ წინსაფრებში გამოწყობილი ბიჭები და გოგონები ერთად ამზადებენ კერძებს. აქ ბიჭებისთვის ტრადიციული გართობა — ომობანა, სათამაშო ხმლებით ორთაბრძოლები, სირბილი, ჭიდაობა — აკრძალულია. **ამ ბაღში, სადაც ბავშვები დაყოფილები არ არიან ბიჭებად და გოგონებად, თოჯინებს სქესი არ აქვს.**

1999 წელს ავსტრიაში გახსნილ საბავშვო ბაღში Fun & Care-ში („გართობა და მზრუნველობა“), ცხოვრებაში გენდერული თეორიის გატარების მიზნით, ცდილობენ, „ბიჭებსა და გოგონებს გაუხსნან მეტი და მრავალფეროვანი გზა ნამდვილი თანასწორობისკენ“ (პროფესიის, პარტნიორის არჩევის და ა.შ.) და ბავშვებს სთავაზობენ „ახალ, დამკვიდრებული სტერეოტიპების ალტერნატიულ შესაძლებლობებს“ — **გოგონებს ასწავლიან ფეხბურთს, სახელოსნო ინსტრუმენტების გამოყენებას, ბიჭებისთვის სათამაშო მანქანების წართმევას, ყვირილითა და ძალის გამოყენებით გარდერობში ადგილის მოპოვებას. ბიჭებს აჩვევენ, როგორ ითამაშონ თოჯინებთან, ასწავლიან სხეულის მოვლას, მასაჟს, თითოეულს აძლევენ კოსმეტიკისთვის განკუთვნილ ჩანთას, უხსნიან, რას ნიშნავს, იყოს ლამაზი, ულებავენ ფრჩხილებს, აცმევენ პრინცესის კაბას, აჩვევენ პასიურ როლს: მოთმინებას, დახმარების თხოვნას, დათმობას. მისაბაძები კი არიან აღმზრდელები. აი როგორია „გართობა და მზრუნველობა“.**

სწორედ ამ იდეოლოგიის შედეგია ის, რომ გერმანიაში ახლახან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაბადების მოწმობებში მესამე სქესის რეგისტრაცია იქნება შესაძლებელი. ამით გერმანია იქნება პირველი ევროპული ქვეყანა, რომელიც ინტერსექსს ამ შესაძლებლობას სთავაზობს. ინტერსექსი არის ადამიანი, რომლის სხეულის ბიოლოგიური მახასიათებლები, გენიტალიები და ქრომოსომები არ შეესაბამება ქალის ან მამაკაცის სხეულის ტიპურ დეფინიციას. გაეროს ცნობით, ადამიანები, რომლებსაც ქალის და მამაკაცისთვის ტიპური ბიოლოგიური მახასიათებლები ერთდროულად /შერეულად აქვთ, მსოფლიოს მოსახლეობის 1,7%-ს შეადგენენ. ასეთ ადამიანებს რეგისტრაციის შესაძლებლობა უკვე აქვთ ავსტრალიაში, ინდოეთში, ახალ ზელანდიაში, ნეპალსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შვედი ფსიქიატრი, 7 შვილის მამა **დევიდ ებერჰარდი,** ავტორი წიგნისა „ბავშვები ხელისუფლებასთან. ლიბერალური აღზრდის საზარელი ნაყოფი“ ამბობს: „უწოდო ბიჭებსაც და გოგონებსაც „ჰენ“-ი (hen — ქათამი) ინტელექტუალური თვალსაზრისით, უპატიოსნოა, რადგან ეს ნიშნავს „ბიოლოგიური განსხვავების სრულ იგნორირებას“, და ეს არის თავისებური „ტვინების გამორეცხვა“, რომელიც მანამდე მუშაობს, სანამ ბავშვები პატარები არიან და მოკლევადიან პერსპექტივაში ეგუებიან, მაგრამ რა ხდება, როცა ჩვეულებრივ სკოლაში მიდიან და შეიტყობენ, რომ ამ ხნის განმავლობაში სექტაში ცხოვრობნენ? მტკიცება, რომ მამაკაცებსა და ქალებს შორის განსხვავება არ არის, რელიგიური სექტის მოწოდებას უფრო ჰგავს, ამას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს“.

ცნობილი გერმანელი სოციოლოგი **გაბრიელა კუბი** Gender Mainstreaming-ზე ამბობს: „ლაპარაკია სოციალურ ინჟინერიაზე, ახალი ადამიანის შექმნაზე. ამისთვის სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ბავშვები და მათი სექსუალიზაცია უნდა მოახერხოს ადრეულ ასაკში“.

**საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული გენდერულად ნეიტრალური სასწავლო სტანდარტი არა მხოლოდ ბიოლოგიას, არამედ უფლის მიერ შექმნილ სამყაროს ეწინააღმდეგება. არ უწოდო მამაკაცს მამაკაცი, ქალს — ქალი და ისინი რაღაც მესამე, ნეიტრალური სახელით მოიხსენიო, აბსურდია.**

**ქვეყანაში კატასტროფული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარებაა — მცირდება მოსახლეობა, იმატებს უმუშევართა რაოდენობა, ყოველდღე უფასურდება ლარი. ადამიანები ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გარბიან, ხელისუფლება კი, ვითომ სხვა პრობლემა არ არსებობს ქვეყანაში, „დაჟინებით უმზერს“ ჰომოსექსუალიზმსა და ყველაფერს, რაც ტრადიციულ ოჯახს, ეროვნულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება.**

დასავლეთის „საგანმანათლებლო“, პროპაგანდისტული ორგანიზაციებისა და სტრუქტურების, კვლევითი განყოფილებისა და კათედრების, სამინისტროებისა და მასმედიის გიგანტური ინდუსტრია განაგრძობს კეთებას თავიანთი შავი საქმისა, რომელიც მიმართულია ოჯახის ინსტიტუტის ნგრევის, ბავშვების და, საერთოდ, საზოგადოების გარყვნისკენ. აი აქეთ უბიძგებს საქართველოს მთავრობა საქართველოს მოსახლეობას.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S.ბუსუსებიანი პრეზერვატივების, ანტიდისკრიმინაციული კანონისა და გენდერულად ნეიტრალური სასწავლო სტანდარტის დამტკიცების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას ახალი გასართობი გამოუჩნდა — სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციის დასჯის ანუ „დაჟინებული მზერის“ კანონპროექტის შემუშავება-დამტკიცება, რომლის ინიციატორია ჰომოსექსუალისტთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია.**



**ქვეყანაში კატასტროფული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარებაა — მცირდება მოსახლეობა, იმატებს უმუშევართა რაოდენობა, ყოველდღე უფასურდება ლარი. ადამიანები ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გარბიან, ხელისუფლება კი, ვითომ სხვა პრობლემა არ არსებობს ქვეყანაში, «დაჟინებით უმზერს» ჰომოსექსუალიზმსა და ყველაფერს, რაც ტრადიციულ ოჯახს, ეროვნულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება**

**ცნობისთვის: მიმდინარე წლის აგვისტოში კანადაში, პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიაში 8 თვის ჩვილის სახელზე გასცეს სამედიცინო ბარათი, რომელშიც მითითებული არ იყო ბავშვის სქესი.**

**ახალშობილის ტრანსგენდერმა დედამ მოინდომა, ბავშვი „ჭეშმარიტების გზაზე“ დაეყენებინა და ახლა მას დოკუმენტის გრაფაში „სქესი“ უწერია ლათინური ასო U რაც შეიძლება ნიშნავდეს ან განუსაზღვრელს (Undetermined) ან დაუდგენელს (unassigened). ბავშვის დედის, კერი დოტის თქმით, ეს გააკეთა იმისთვის, რომ ბავშვმა სამომავლოდ თვითონ განსაზღვროს სქესობრივი კუთვნილება. ანუ ტარანსგენდერმა ჩვილზე სიცოცხლის პირველივე დღეებიდანვე იძალადა და თავს მოახვია თავისი თვალსაზრისი.**

**კერი დოტი წევრია ორგანიზაციისა Gender-Free ID Coalition, რომელიც კანადის სასამართლოებს მიმართავს და მოითხოვს, ბავშვებს დაბადებისთანავე ჩაუწერონ დოკუმენტებში „გაუნუსაზღვრელი სქესი“. და ახლა ბრიტანეთის კოლუმბიის ხელისუფლების მსგავსად, ანალოგიური გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ ონტარიოსა და ალბერტას პროვინციებშიც.**

**აშშ-ში კი, ტრანსგენდერთა ისტორიაში პირველად, ვირჯინიის შტატის საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატად აირჩიეს დემოკრატიული პარტიის კანდიდატი, 32 წლის დანიკა როიმი.**





პოპულარულმა მსახიობმა შარლიზ ტერონმა თავის ბიჭს კაბა ჩააცვა, გოგონას — ბიჭის ტანსაცმელი

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენმა ბიჭებმა, ქართველებმა, დაჭრილები სროლას მოგვაშორეს და ბატალიონის ბაზაზე გადაგვიყვანეს, გამოიძახეს მედევაკი — სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანა, მაგრამ ამერიკელებმა ჩვენს მეთაურს უთხრეს, რომ ასეთი მანქანა საკმარისი რაოდენობით არ ჰყავდათ, რადგან უპირველესად ამერიკელი ჯარისკაცები უნდა გადაეყვანათ სამედიცინო პუნქტში, შესაბამისად, პრიორიტეტი მათი გადარჩენა იყო“.**

## დავით მახარეიშვილი:

# ვნანობ, რომ ამათ გამო გავწირე თავი და დავკარგე ჯანმრთელობა

## «როგორც ვიცი, სულ 285-ია 2008 წლის ომსა და ავღანეთში დაჭრილი ჯარისკაცი და ჩვენ, ყველანი, ერთნაირ პირობებში უნდა ჩაგვაყენოს სახელმწიფომ»

**მედალი „აისაფის“ მისიაში მონაწილეობისთვის, მედალი საბრძოლო იარისთვის, ნატოს ძალების მედალი „აისაფის“ მისიაში მონაწილეობისთვის, ღირსების ორდენი, ძლიერთა თამაშების გამარჯვებულის ოქროსა და ვერცხლის მედლები — ამ ჯილდოების მფლობელი 2008 წლის ომის ვეტერანი, თადარიგის უმცროსი სერჟანტი დავით მახარეიშვილი დღეს საკუთარი უფლებების დასაცავად და სამხედრო სამსახურში აღდგენისთვის იბრძვის:**

— მე, **დავით მახარეიშვილი**, თადარიგის უმცროსი სერჟანტი, 2008 წლის ომის მონაწილე და ავღანეთში ნაომარი კაცი ვარ, სადაც მძიმედ დავიჭერი. სავალდებულო სამხედრო სამსახურში 2006 წელს გამიწვიეს, ვმსახურობდი კრწანისის ეროვნულ ბაზაზე, ბრიგადის დაზვერვის ქვედანაყოფში. შემდგომ 6 თვის განმავლობაში ვმონაწილეობდი სამშვიდობო მისიაში კოდორის ხეობაში. სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ საბუთები შევიტანე პროფესიულ, საკონტრაქტო სამსახურში, ჩავირიცხე ეროვნული გვარდიის დეპარტამენტში გორის მესამე ბაზაში (ასეთი ბაზა არსებობდა ომამდე). 30 ივლისს დავინიშნე, 7 აგვისტოს კი ომი დაიწყო. იმ მომენტში სენაკში გახლდით და დაგვმბომბეს, რამდენიმე რეზერვისტი დაიღუპა. მართალია, მაშინ ძალიან რთული იყო იმის გარკვევა, ვის რა ევალებოდა და ვინ რა დავალებას ასრულებდა, მაგრამ ჩვენი ფუნქცია ზურგში დგომა იყო, ამიტომ საბრძოლო მოქმედებებში ჩვენი ბატალიონი არ ჩართულა. ბოლო წუთამდე ვასრულებდი მეთაურის მითითებებს. როდესაც ომი დასრულდა, ჩვეულებრივად განვაგრძე მსახურება პროფესიულ სამხედრო ქვედანაყოფში, გავიარე სერჟანტთა სკოლა, მერე დავინიშნე ათმეთაურად, შემდგომ — ოცმეთაურად, ვიყავი ასეულის სერჟანტი. 2011 წელს მოვიდა თავდაცვის მინისტრ **ბაჩო ახალაიას** ბრძანება, რომლის თანახმად, ვისაც სურვილი ჰქონდა ან არ ჰქონდა, მაინც უნდა წასულიყო მისიაში მონაწილეობის მისაღებად.

**— თქვენ არ გქონდათ სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის სურვილი?**

— იმხანად გვარდია დახურული იყო, ბრიგადიდან ბრიგადაში გადასვლა კი — შეუძლებელი. მოკლედ, მისიაში აუცილებლად უნდა წავსულვიყავი. დამნიშნეს 23-ე ბატალიონის ათმეთაურად და სამშვიდობო მისიაში გამგზავნეს ავღანეთში. ჩავედით ჰელმანდის პოვინციაში. გვიწევდა, როგორც ბრძოლებში ჩართვა, ასევე პატრულირება. ქვეით ჯარში ვიყავით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო (მზის დაკვრა მივიღე), გარკვეული პერიოდი მკურნალობის კურსის გავლა დამჭირდა და, ასეულში დაბრუნების შემდეგ, მეთაურმა გადაწყვიტა, მოტორიზებულ პატრულირებაში გადავეყვანე. **ერთხელ პატრულირებისას ავღანელები ჩაგვისაფრდნენ და ჩვენი მანქანა აფეთქდა ე.წ. აიდზე, ხელნაკეთ, მართვად ბომბზე. შედეგად მივიღე კონტუზია და გონება დავკარგე. დაახლოებით 40 წუთს ვიყავით ტყვიების წვიმაში. მთავარი ბაზა ყველაფერს აკეთებდა, დროულად რომ გამოვეყვანეთ, მაგრამ ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით.** საბოლოოდ, ავიაცია დაგვეხმარა, თვითმფრინავებიდან, რომლებიც საკმაოდ ზუსტად ისვრიან დამიზნებით, რამდენიმე ჭურვი ისროლეს იმ სოფლის მიმართულებით, საიდანაც ჩვენზე თავდასხმა ხორციელდებოდა. ჩვენმა ბიჭებმა, ქართველებმა, დაჭრილები სროლას მოგვაშორეს და ბატალიონის ბაზაზე გადაგვიყვანეს, გამოიძახეს მედევაკი — სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანა, მაგრამ **ამერიკელებმა ჩვენს მეთაურს უთხრეს, რომ ასეთი მანქანა საკმარისი რაოდენობით არ ჰყავდათ, რადგან უპირველესად ამერიკელი ჯარისკაცები უნდა გადაეყვანათ სამედიცინო პუნქტში, შესაბამისად, პრიორიტეტი მათი გადარჩენა იყო.**

**— რას ნიშნავს ამერიკელი ჯარიკაცების პრიორიტეტულობა, ანუ თქვენი გადარჩენა მეორეხარისხოვანი იყო?**

— სპეცოპერაციას ამერიკელები ატარებდნენ, ჩვენ კი გზას ვაკონტროლებდით: ამერიკელებთან შეტაკებისას გაქცეული ტერორისტები გზაზე თუ გამოვიდოდნენ, უნდა დაგვეკავებინა. ჩვენმა მეთაურმა კონკრეტულად დასვა საკითხი, რომ მისთვის მთავარი ჩვენი გადაყვანა იყო და სხვა პრიორიტეტი არ აინტერესებდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა მედევაკი და ე.წ. ლეზერნიკის გამანაწილებელ ბაზაზე გადაგვიყვანეს. პირველადი დათვალიერების შემდგომ ამერიკელმა ექიმებმა თქვეს, რომ ვერაფერს გამიკეთებდნენ და, რადგან მდგომარეობა მძიმე იყო, ამიტომ სასწრაფოდ გამგზავნეს გერმანიაში, ლანდშტურმის კლინიკაში. წელს ქვემოთ კიდურებს ვერ ვგრძნობდი. გაირკვა, რომ ხერხემალი მქონდა დაზიანებული, დამიდგინეს ხერხემლის მალების მოტეხილობა. როგორც ექიმებმა მითხრეს, საჭირო იყო ხანგრძლივი მკურნალობა და რეაბილიტაცია. ტკივილების გასაყუჩებლად დღეში რამდენჯერმე მიკეთებდნენ მორფინს, მაგრამ ვერც ის მიყუჩებდა ტკივილს. 2012 წლის არჩევნები ახლოვდებოდა. მე და ჩემი ჯარისკაცები სპეცრეისით ვერტმფრენით გადმოგვიყვანეს საქართველოში. არც პასპორტები გვქონდა და არც პირადი ნივთები, ყველაფერი ბაზაზე დარჩა. იმხანად ტელევიზიები არ აშუქდებდნენ მსგავსი ამბებს და აეროპორტიც კი დახურეს რაღაც დონეზე, სანამ ვერტმფრენიდან გადმოგვიყვანდნენ. გადაგვიყვანეს ალექსეევკის სამხედრო ბაზაზე, იქიდან კი — სამხედრო ჰოსპიტალში.



**«მხოლოდ ჩემი თავისთვის არ ვიბრძვი, ვიბრძვი იმ დაჭრილი ბიჭებისთვისაც, რომლებსაც შეიძლება ხვალ და ზეგ ჩემსავით მოექცეს სახელმწიფო. შეიძლება ამ ყველაფერს შევეწირო, მაგრამ ვიბრძოლებ ბოლომდე. და მოვუწოდებ იმ ე.წ. გაპიარებულ დაჭრილებს: არ შეიძლება ასე!»**

**— აეროპორტში არავინ დაგხვდათ? არც მადლობა გითხრათ ვინმემ სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის?**

— **შაშკინი** იყო მაშინ თავდაცვის მინისტრი, არც დამხვედრია და არც მერე მოსულა. გადაგვიყვანეს სამხედრო ჰოსპიტალში...

**— დღევანდელი გადასახედიდან ხომ არ ნანობთ, რომ სამშვიდობო მისიაში მონაწილეობდით?**

— რა თქმა უნდა, ვნანობ. ვნანობ, რომ ამათ გამო გავწირე თავი და დავკარგე ჯანმრთელობა. ის წლები მენანება, სამხედრო სამსახურში რომ გავატარე. ორ წელიწად-ნახევარია ამ მდგომარეობაში ვარ და მიჭირს ამაზე საუბარი, როგორც სერჟანტს, როგორც სამხედრო პირს. არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი, სამხედრო პირს თავშეკავება მართებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მიწევს ამაზე საუბარი... **ჰოსპიტალში რამდენიმე დღეს გაგვაჩერეს. მერე გამწერეს სახლში 6-თვიანი სამედიცინო შვებულებით, ასე გრძელდებოდა 2015 წლამდე, სანამ სამხედრო სამსახურიდან გამაგდებდნენ.**

მკურნალობის დასრულების შემდეგ 60-დღიანი სამედიცინო შვებულებით გიშვებენ სახლში, შემდეგ ისევ მიდიხარ ჰოსპიტალში და ა. შ. ერთი სიტყვით, **არ არსებობს კანონი, რომელიც დაარეგულირებს სახელმწიფოს მიდგომას დაჭრილებისადმი.**

**— თუ იცით, როგორ გრძელდება სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ამერიკელი სამხედროების ცხოვრება?**

— მკურნალობის შემდეგ დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცი ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას რომელიმე ძვირად ღირებულ კურორტზე გადის, ცხადია, სახელმწიფოს დაფინანსებით. მოგეხსენებათ, **ამერიკაში ვეტერანთა კავშირს ყველაზე დიდი დაფინანსება აქვს, ხოლო დაჭრილ სამხედროს — ცხოვრების ბოლომდე გარანტირებული შემოსავალი სახელმწიფოსგან. ცხოვრობენ სამხედრო ქალაქებში, ვისაც ამის სურვილი აქვს, და არიან პრივილეგიურ მდგომარეობაში. ის ჯარისკაცები, რომლებიც ემსახურნენ თავიანთ ქვეყანას, სახელმწიფოს დაფასებული ჰყავს, სიკვდილამდე არიან უზრუნველყოფილი.**

**— დავუბრუნდეთ თქვენს ისტორიას.**

— როგორც გითხარით, 2015 წლამდე გრძელდებოდა ჩემთვის სამედიცინო შვებულებაში ყოფნის პერიოდი. **ირაკლი ალასანიას** თავდაცვის მინისტრობისას საქართველოში ამერიკელი ექიმების ჯგუფი ჩამოვიდა, სამშვიდობო მისიებსა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაჭრილი ჯარისკაცების ჯანმრთელობის მდგომარეობას ამოწმებდნენ. მეც მომიწია მათთან კონსულტაციის გავლა. ამერიკელი ექიმების დასკვნით, მჭირდებოდა ხელახალი გამოკვლევა, რისთვისაც გამამწესეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში. დაახლოებით, თვე-ნახევარი გავატარე იქ. თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები, სამედიცინო დეპარტამენტიდან, ირაკლი ალასანიმაც მომინახულა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩამომიყვანეს თბილისში და დავდიოდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში. რამდენიმეთვიანი პროცედურების შემდეგ ჩემი მდგომარეობა გაუმჯობესდა და ტკივილებიც მეტ-ნაკლებად მომეხსნა. დავიწყე ვარჯიში და ჩავერთე ძლიერთა თამაშებში, რომელიც აშშ-ში, სან-დიეგოში საზღვაო ქვეითთა ბაზაზე ჩატარდა. 2015 წელს გავემგზავრეთ ამერიკაში. მჯდომარე ფრენბურთში ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო პნევმატურ სროლაში სიცხიანი გამოვედი და მეორე ადგილზე გავედი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტმა ღირსების ორდენებით დაგვაჯილდოვა. **მინდია ჯანელიძე** ▶

**«რაკი შეხვედრა ვერ მოვახერხე, სოციალურ ქსელში მივწერე თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს, ვთხოვე, არ გავეთავისუფლებინე სამსახურიდან, მაგრამ მიპასუხა, პატივს ვცემ ქვეყნის წინაშე შენს დამსახურებებს, მაგრამ გენშტაბის გადაწყვეტილებას წინ ვერ აღვუდგებიო. ანა დოლიძემ კი მომწერა, რომ დაინტერესდებოდა ჩემი საქმით და დამიკავშირდებოდა, მაგრამ დღემდე არ დამიკავშირებია»**

**XXI საუკუნეში საუდის არაბეთშიც კი ჩვეულებრივ მოქალაქეს უჭირს შეგუება იმ აზრთან, რომ ვიღაცას უდიდესი სოციალური უპირატესობა მხოლოდ წარმომავლობის გამო აქვს. ამ პირობებში საშუალო ფენის განათლებულ წამომადგენლებს დასავლეთიდან იმპორტირებული ლიბერალური იდეები იზიდავს, სხვებს კი — „ისლამური სახელმწიფოს" იდეოლოგია, რომელიც მუსლიმთა თანასწორობაზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს. ეს, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვიდრე ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ნავთობის ფასის ვარდნით გამოწვეული საბიუჯეტო დეფიციტი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ იყო იმ დროს თავდაცვის მინისტრი, ყველამ მადლობა გადაგვიხადა სამშობლოსთვის გაწეული თავდადებისთვის. გარკვეული პერიოდის შემდეგ წეროვანში რეაბილიტაციის კურსის გავლა შემომთავაზეს. **სამწუხაროდ, იქ მოვწიე მარიხუანა.**

**— მომხმარებელი ხართ?**

— ნამდვილად არ ვარ მომხმარებელი, თუმცა მაშინ ყველაფერი რამდენიმე წუთში მოხდა: მოწევაც და დაკავებაც.

**— ფიქრობთ, რომ მოწყობილი შეიძლება ყოფილიყო?**

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, სამოქალაქო პოლიციამ დაგვაკავა, არადა, სამხედრო პოლიციას უნდა დავეკავებინეთ. გადაგვიყვანეს მცხეთაში, ხელწერილი დაგვაწერინეს, რომ ქვეყანას არ დავტოვებდით და დაგვაბრუნეს ისევ სარეაბილიტაციო ცენტრში. **მეორე დღეს დამითხოვეს რეაბილიტაციის ცენტრიდან, ნამდვილად არ ველოდი, რომ მარიხუანის მოწევის გამო შეიარაღებული ძალებიდან გამათავისუფლებდნენ. რაკი შეხვედრა ვერ მოვახერხე, სოციალურ ქსელში მივწერე თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს, ვთხოვე, არ გავეთავისუფლებინე სამსახურიდან, მაგრამ მიპასუხა, პატივს ვცემ ქვეყნის წინაშე შენს დამსახურებებს, მაგრამ გენშტაბის გადაწყვეტილებას წინ ვერ აღვუდგებიო. ანა დოლიძემ** კი მომწერა, რომ დაინტერესდებოდა ჩემი საქმით და დამიკავშირდებოდა, მაგრამ დღემდე არ დამკავშირებია. დამიბარეს სამანდატო კომისიაზე, მადლობა გადამიხადა მეთაურმა შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის და დავემშვიდობეთ ერთმანეთს. დაახლოებით, სამი თვის წინათ შევიტყვე არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალქო კონტროლის" შესახებ, მის ხელმძღვანელ **დავით ნემსაძეს** დავუკავშირდი და დავიწყეთ მოქმედება.

**— რას ითხოვთ?**

— 9 წლის განმავლობაში ვიმსახურე შეიარაღებულ ძალებში და ახლახან შევიტყვე, რომ ომბუდსმენი გვყოლია. ვერ დავიჯერებ, რომ ამის შესახებ სამხედრო ომბუდსმენმა თამარ გაბიანმა არაფერი იცოდა, მით უმეტეს, ჩემი პრობლემის შესახებ უკვე იყო გაავრცელეს ინფორმაცია მედიასაშუალებებმა. ჩემი ჯილდოებით რომ მივედი სახალხო დამცველის ოფისთან, მხოლოდ მას შემდეგ გამოიბერტყა ყური გაბიანმა — შემხვდა და მომისმინა.

**— რას ელოდებით?**

— მეეჭვება, რომ შეიარაღებულ ძალებში აღმადგინონ. სიმართლე გითხრათ, ახლა **მხოლოდ ჩემი თავისთვის არ ვიბრძვი, ვიბრძვი იმ დაჭრილი ბიჭებისთვისაც, რომლებსაც შეიძლება ხვალ და ზეგ ჩემსავით მოექცეს სახელმწიფო. შეიძლება ამ ყველაფერს შევეწირო, მაგრამ ვიბრძოლებ ბოლომდე.** და მოვუწოდებ იმ ე.წ. გაპიარებულ დაჭრილებს: არ შეიძლება ასე! როგორც ვიცი, სულ 285-ია 2008 წლის ომსა და ავღანეთში დაჭრილი ჯარისკაცი და ჩვენ, ყველანი, ერთნაირ პირობებში უნდა ჩაგვაყენოს სახელმწიფომ...

ესაუბრა **რატი ბერიძე**

# ერთი ტახტი და შვიდი ათასი პრინცი

**საუდის არაბეთში ათეულობით გავლენიანი სახელმწიფო მოხელე და ბიზნესმენი, მათ შორის 11 პრინცი, დააპატიმრეს. რა შეიძლება იდგეს ამ მოვლენების უკან?**



მუჰამად იბნ სალმანი

დაპატიმრებები მას შემდეგ დაიწყო, რაც მეფე სალმანმა გააკეთა განცხადება ანტიკორუფციული კომიტეტის შექმნის თაობაზე, რომლის ხელმძღვანელად ტახტის მემკვიდრე, **მუჰამად იბნ სალმანი**, დაინიშნა. ეს ორგანო არ არის ანგარიშვალდებული არავის წინაშე, მეფის გარდა. მას არ სჭირდება სხვა ინსტანციის სანქცია იმისთვის, რომ პიროვნება დააპატიმროს ან მისი ქონება დააყადაღოს. შესაბამისად, ის შეიძლება იქცეს იარაღად, რომელსაც მუჰამად იბნ სალმანი თავისი კონკურენტების წინააღმდეგ გამოიყენებს.

კრონპრინცი მუჰამადი ტახტის მემკვიდრედ ამა წლის 21 ივნისს დაინიშნა. მმართველ დინასტიაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა — ადრე ტახტი საუდის არაბეთის დამაარსებლის, აბდულ-აზიზის, ჯერ უფროს, შემდეგ შესაბამისად მომდევნო ვაჟებზე გადადიოდა, ახლა კი ასპარეზზე „შვილიშვილების თაობა" გამოვიდა, რომელსაც 32 წლის მუჰამადი განასახიერებს. **საუდიტების მრავალრიცხოვან დინასტიასა და მის განშტოებებში პრინცების რაოდენობა 7 ათასს აღწევს, რომელთა შორის განსაკუთრებული გავლენით დაახლოებით 2 ათასი სარგებლობს. ოჯახი 1,5 ტრილიონ დოლარს ფლობს.**

2015-ში, როდესაც სალმანი მეფე გახდა, შვილი თავდაცვის მინისტრად და ეკონომიკური საკითხების საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო (მეტწილად წარუმატებელი) ინტერვენცია იემენში და ყატარის ბლოკადა, შეიქმნა ეკონომიკური განვითარების ამბიციური გეგმა „ხედვა-2030". კრონპრინცი ბევრ ყურადღებას უთმობს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს, მან საუკეთესო უცხოელი მრჩევლები დაიქირავა. ერთ-ერთი ბოლო პროექტი, რომლის პრეზენტაცია მან მოახდინა, იყო „ქალაქი ნეომი". მის შექმნას 500 მილიარდი დოლარი დასჭირდება.

არასწორი იქნებოდა, გავლენიანი პირების დაპატიმრება მხოლოდ ძალაუფლებისთვის ბრძოლასთან ან პრინცის პიართან დაგვეკავშირებინა, სიტუაცია უფრო რთულია. მას შემდეგ, რაც საუდის არაბეთმა ნავთობიდან ზებუნებრივად მაღალი შემოსავლების მიღება დაიწყო, ბიუროკრატია ამ ფულის განაწილების სისტემად იქცა. მეფე აბდულ-აზიზის 37 შვილმა, მათმა ნათესავებმა და კლიენტებმა სხვადასხვა სახელისუფლო სტრუქტურებში ერთგვარი „სამფლობელოები" შექმნეს. ზოგიერთი სამინისტრო გარკვეულ კლანებსა და ტომებზე „მიამაგრეს". მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს ტრადიციულად ანაზას ტომი აკონტროლებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს — ალ-შეიხის კლანი, თუმცა მისი ძლიერება აგრარულ სექტორს როდი ეფუძნება.

ალ-შეიხის კლანი XVIII საუკუნის ცნობილი რელიგიური რეფორმატორის, მუჰამად იბნ აბდულ-ვაჰაბის, შთამომავლობას აერთიანებს. მან შექმნა ვაჰაბიზმი, რომელიც საუდის არაბეთის სახელმწიფო იდეოლოგიას წარმოადგენს. მისმა მოძღვრებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ აბდულ-აზიზმა განსხვავებული ტომების ერთ სახელმწიფოში გაერთიანება მოახერხა. სხვადასხვა უწყების გარდა, ალ-შეიხის წარმომადგენლები აკონტროლებენ საუდის არაბეთი უმაღლესი მუფტის პოსტს და რელიგიური ლიდერების დიდ ნაწილს, ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაში უშუალოდ არიან ჩართულნი – ამტკიცებენ ტახტის მემკვიდრის კანდიდატურას და მეფის განკარგულებებს, აკონტროლებენ განათლების სისტემას, სასამართლოს და ა.შ.

საუდის არაბეთის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ვაჰაბიტური რელიგიური ელიტა, რომელმაც თავის დროზე ქვეყნის გაერთიანება უზრუნველყო, ამ ეტაპზე მოდერნიზაციისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა. მსგავსი პროცესები საუდის არაბეთის მთავარ მოწინააღმდეგე სახელმწიფოში, ირანშიც, განვითარდა, მაგრამ იქ ისლამური რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, ნაწილობრივი ლიბერალიზაცია მოხდა. საუდის არაბეთი ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

ქალაქ ნეომის საპრეზენტაციო რგოლში ქალები გაცილებით თავისუფლად იყვნენ ჩაცმულნი, ვიდრე ამას საუდის არაბეთში დამკვიდრებული ნორმები ითვალისწინებს. კრონპრინცმა მუჰამადმა პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ სექტემბერში კომერციული საკითხების სასამართლოები შეიქმნა. ადრე უცხოელი ინვესტორები ხშირად ჩიოდნენ იმის გამო, რომ ისლამური სასამართლოები კანონმდებლობის ზედმეტად თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენდნენ. სექტემბერშივე ქალებს ავტომობილების ტარების უფლება მისცეს. „ჩვენ გვინდა, ნორმალური ცხოვრებით ვიცხოვროთ, რომელიც ჩვენს ტოლერანტობას, ჩვენს კეთილ წესჩვეულებებსა და ტრადიციებს ასახავს", — განაცხადა ტახტის მემკვიდრემ. ეს ნაბიჯები და განცხადებები ზოგს შეიძლება მეტისმეტად ზომიერად მოეჩვენოს, მაგრამ ალ-შეიხის რელიგიური კლანისთვის ეს ომის გამოცხადების ტოლფასია.

**საუდიტების მრავალრიცხოვან დინასტიასა და მის განშტოებებში პრინცების რაოდენობა 7 ათასს აღწევს, რომელთა შორის განსაკუთრებული გავლენით დაახლოებით 2 ათასი სარგებლობს. ოჯახი 1,5 ტრილიონ დოლარს ფლობს**

**გასული საუკუნის 60-იან წლებში საუდის არაბეთის მოსახლეობის უმრავლესობა მომთაბარე-მესაქონლე იყო. სანავთობო ბუმის პირობებში ქალაქების მოსახლეობა 23%-დან (1970 წ.) 80%-მდე (2003 წ.) გაიზარდა. ვაჰაბიზმი, რომელიც სავსებით მიესადაგებოდა ბედუინების ცხოვრებასა და მსოფლმხედველობას, ურბანიზებული საზოგადოებისთვის არასაკმარისად ლიბერალური გამოდგა.** სწრაფი ურბანიზაციის ფონზე ღირებულებათა ტრადიციული სისტემის რღვევის პრობლემას XX საუკუნეში თითქმის ყველა ისლამური სახელმწიფო შეეჯახა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მაღალი შემოსავლები საუდის არაბეთის ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევდა, პრობლემები „დაეკონსერვებინა". საინტერესოა, რომ მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში — ის სამუშაო ადგილების 30%-ს ქმნის და არსებითად სანავთობო რენტის განაწილების სისტემას წარმოადგენს. კერძო სექტორში დასაქმებულთა უმრავლესობა შრომითი მიგრანტია (9 მილიონი 31-მილიონიანი მოსახლეობიდან). ქალების შრომა ბევრი შემზღუდავი ნორმით რეგულირდება, უმუშევარობა ქალებში 32,8%-ს აღწევს, მაშინ, როდესაც საერთო მაჩვენებელი 11,6%-ია. ყველაზე მეტად ხელისუფლებას უმუშევარი ახალგაზრდა მამაკაცების ეშინია, რადგან „არაბული გაზაფხულის" „ძრავად" სწორედ ისინი იქცნენ. 2011-ში, მას შემდეგ, რაც მეზობელ ქვეყნებში არეულობა დაიწყო, ხელისუფლებამ დამატებით გამოყო 130 მილიარდი დოლარი მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ ფულის დიდი ნაწილი ახალგაზრდობის დასაქმებაზე დაიხარჯა, ამასთანავე, ახალდაქორწინებულთა სუბსიდირებაზე (ბინის გადაცემა და ა.შ.), რადგან საუდიტები მიიჩნევენ, რომ დაოჯახებული მამაკაცები უცოლოებზე ნაკლებად რადიკალურები არიან.

საუდის არაბეთში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის წარმომავლობას; სამეფო და ზოგიერთი სხვა პრივილეგირებული ოჯახისა და მათი საახლობლოს მრავალრიცხოვნების გამო, სოციალური ლიფტი პრაქტიკულად გაჩერებულია, უფრო სწორად, „მაღალ სართულებამდე" არ ადის. **XXI საუკუნეში საუდის არაბეთშიც კი ჩვეულებრივ მოქალაქეს უჭირს შეგუება იმ აზრთან, რომ ვიღაცას უდიდესი სოციალური უპირატესობა მხოლოდ წარმომავლობის გამო აქვს. ამ პირობებში საშუალო ფენის განათლებულ წამომადგენლებს დასავლეთიდან იმპორტირებული ლიბერალური იდეები იზიდავს, სხვებს კი — „ისლამური სახელმწიფოს" იდეოლოგია, რომელიც მუსლიმთა თანასწორობაზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს. ეს, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვიდრე ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ნავთობის ფასის ვარდნით გამოწვეული საბიუჯეტო დეფიციტი.**

კრონპრინცი მუჰამადი რეფორმატორის მანტიას ირგებს, მაგრამ თამამი რეფორმების გატარება შეუძლებელია, მაშინ, როდესაც ხელისუფლება თითქმის ოფიციალურად დაყოფილია სხვადასხვა კლანის თუ ტომის გავლენის სფეროებად და ამ სისტემის არსებობა სანქცირებულია რელიგიური ავტორიტეტების მიერ. მუჰამადს ძალაუფლების კონცენტრაცია სჭირდება და ბოლო დღეების დაპატიმრებები ამ კონტექსტშიც უნდა განვიხილოთ. ამავე დროს, ეს იყო ერთგვარი სიგნალიც — პრინცმა ელიტისგან მორჩილება მოითხოვა და აჩვენა, რომ შეუძლია მისი ნებისმიერი წევრი დააპატიმროს, მითუმეტეს, რომ **საუდის არაბეთი ტოტალურად კორუმპირებული ნეპოტისტური სახელმწიფოა, ხოლო ანტიკორუფციული კომიტეტის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია**.

დაპატიმრებულთა შორის არიან სუნაიანის კლანის პირველი პირები, რომელთა პოზიციები ტრადიციულად ძლიერია სპეცსამსახურებსა და საფინანსო სექტორში, აგრეთვე, პრინცი მიტაბი ბენ აბდალა. ის ხელმძღვანელობდა ეროვნულ გვარდიას, რომელიც ძალოვან უწყებებში ერთგვარ „ავტონომიურობას" ინარჩუნებდა და შამარის ტომის კონტროლს ექვემდებარებოდა. დაკავებულნი არიან უმსხვილესი მედიაჰოლდინგების ხელმძღვანელებიც, მათ შორის „არაბ უორენ ბაფეტად" წოდებული ალვალიდ იბნ ტალალი, რომელიც 18 მილიარდ დოლარს ფლობს. „უოლ სტრიტ ჯორნალის" წყაროების ინფორმაციით, მთავრობა დაწყებული კამპანიის ფარგლებში 800 მილიარდამდე დოლარის კონფისკაციას გეგმავს.

დაპატიმრებებიდან მომდევნო დღეს ვერტმფრენის კატასტროფაში დაიღუპა პრინცი მანსურ ბენ მუკრინი. მისი მამა 2015 წლის იანვარ-აპრილში ტახტის მემკვიდრე გახლდათ, შემდეგ ის მუჰამად ბინ ნაეფმა შეცვალა, შემდეგ კი მეფე სალმანმა არჩევანი დღევანდელი მემკვიდრის სასარგებლოდ გააკეთა. მოულოდნელად დაღუპული პრინცი მანსური მიეკუთვნებოდა ჯგუფს, რომელსაც შეეძლო მუჰამადის უფლებები ეჭვქვეშ დაეყენებინა. იმ შემთხვევაში, თუ მეფე სალმანი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, გადაწყვეტს, ტახტი შვილს დაუყონებლივ გადასცეს, მისი გადაწყვეტილება „გვირგვინის საბჭომ" უნდა დაამტკიცოს და ბოლოდროინდელი მოვლენები გამაფრთხილებელ სიგნალად შეიძლება მისმა წევრებმაც აღიქვან.

მუჰამადს ამერიკელების მხარდაჭერის იმედი აქვს — ტრამპის ადმინისტრაცია მის მიმართ ხაზგასმულ სიმპათიას გამოხატავს, ხოლო საუდის არაბეთში აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ დაიწყო საუბარი იმაზე, რომ **კრონპრინცი „არაბული ნატოს" პროექტის მთავარი კურატორი გახდება.** ვაშინგტონში, სავარაუდოდ, ესმით, რომ საუდის არაბეთი დამანგრეველი კრიზისის ზღურბლზეა და რეფორმების გატარება მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად კარგად გააზრებული აქვთ ამერიკელებს ამ რეფორმების არსი — ისლამურ სამყაროში მათი წინა ექსპერიმენტების უმრავლესობა კრახითა და არეულობით დასრულდა.

**ლუკა ნემსაძე**

## მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქალაქ საზერლენდ-სპრინგსის (აშშ-ის ტეხასის შტატი) ბაპტისტურ ეკლესიაში, სადაც დილის წირვა მიმდინარეობდა, შევიდა შეიარაღებული კაცი, რომელსაც სამხედრო ფორმა ეცვა, და დაცხრილა მლოცველები. ამ მომენტში იქ 50-მდე მორწმუნე იმყოფებოდა. მოკლული და დაჭრილია 26 ადამიანი, მათ შორის, რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვი. ეკლესიის პასტორის განცხადებით, რომელიც ტრაგედიის მომენტში ქალაქში არ იმყოფებოდა, მოკლულია მისი 14 წლის გოგონაც.**



# გერმანიაში მედძმამ 106 ადამიანი მოკლა

**„რია ნოვოსტი“ იუწყება, რომ ეს საშინელება მოხდა გერმანიაში, ქვემო საქსონიაში, და ამ „ექსპერიმენტს“ ატარებდა ვინმე ნილს ჰეგელი, ყოფილი მედძმა. ამასთანავე, აზუსტებენ: დაღუპულთა რაოდენობა ასზე მეტია.**

2015 წლის თებერვალში ჰეგელს ორი პაციენტის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მის აღიარებით ჩვენებაში წერია, რომ მან 90-მდე ადამიანი მოკლა წამლის სასიკვდილო დოზით „მკურნალობის“ მეშვეობით.

ჯერ კიდევ 2005 წელს ჰეგელის ქმედებაში პირველად დაეჭვდა ერთი მისი კოლეგა. მაშინ მოხერხდა პაციენტის გადარჩენა, ხოლო მედძმა მკვლელობის მცდელობის ბრალდებით შვიდ-ნახევარი წლით ციხეში ჩასვეს. სასამართლო პროცესის შემდეგ ხელისუფლებამ რამდენიმე გვამის ექსჰუმაცია მოახდინა და მათში წამლის კვალი აღმოაჩინა.

**ჰეგელმა აღიარა, რომ სასიკვდილო ინიექცია განზრახ შეჰყავდა პაციენტების ორგანიზმში, რათა შემდეგ მათი რეანიმაცია მოეხდინა და კოლეგების წინაშე ადამიანის გადამრჩენად წარმდგარიყო.**



# გასაჯაროვდა აშშ-ის მიერ მსოფლიოში წარმოებულ ომებზე დახარჯული ფულის ოდენობა

**ნიუ-იორკის ტყუპ კოშკებზე თავდასხმის შემდეგ აშშ-მა მსოფლიო ომების საწარმოებლად 4,3 ტრილიონი დოლარი დახარჯა. ამ დასკვნამდე მივიდნენ უნივერსიტეტ ბრაუნის უოთსონის სახელობის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის ავტორები.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამჟამად მიმდინარე კონფლიქტების გაგრძელების შემთხვევაში 2018 წლის ბოლოსთვის აშშ-ს 5,6 ტრილიონი დოლარის დახარჯვა მოუწევს. ამასთანავე, ტრილიონ დოლარამდე დაუჯდება ომების მონაწილეთა მკურნალობისთვის ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბოლო 16 წლის განმავლობაში თითოეულმა ამერიკელმა აშშ-ის საზღვრებს მიღმა წარმოებული ომებისთვის 23 368 დოლარი გაიღო.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ პენტაგონის მიერ ამავე მიზნებისთვის დახარჯული თანხის რაოდენობა გაცილებით მოკრძალებულია. თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-მა ომების საწარმოებლად დახარჯა მხოლოდ 1,52 ტრილიონი დოლარი, მაშასადამე, თითოეულ ამერიკელს ეს ომები საშუალოდ 7 340 დოლარი დაუჯდა.

8 ნოემბერს აშშ-ის კონგრესმა შეათანხმა 2018 წლის სამხედრო ხარჯები, 700 მილიარდი დოლარის ოდენობით, მათ შორის, 4,6 მილიარდი გათვალისწინებულია ევროპაში რუსეთის „შესაკავებლად“.

# ტეხასური ლოცვა: ეკლესიაში ღვთისმსახურების მიმდინარეობისას ამერიკელმა 26 ადამიანი მოკლა

**ამ ფრიად სამწუხარო ტრაგედიის შესახებ ახალი და ახალი დეტალები ვრცელდება, მათ შორის, ბოროტმოქმედისა და სისხლიანი სასაკლაოს მსხვერპლთა შესახებ.**



ქალაქ საზერლენდ-სპრინგსის (აშშ-ის ტეხასის შტატი) ბაპტისტურ ეკლესიაში, სადაც დილის წირვა მიმდინარეობდა, შევიდა შეიარაღებული კაცი, რომელსაც სამხედრო ფორმა ეცვა, და დაცხრილა მლოცველები. ამ მომენტში იქ 50-მდე მორწმუნე იმყოფებოდა. მოკლული და დაჭრილია 26 ადამიანი, მათ შორის, რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვი. ეკლესიის პასტორის განცხადებით, რომელიც ტრაგედიის მომენტში ქალაქში არ იმყოფებოდა, მოკლულია მისი 14 წლის გოგონაც. BBC News იუწყებოდა, რომ დაჭრილები უახლოეს საავადმყოფოებში ვერტმფრენებით გადაიყვანეს.

თავდამსხმელი **დევინ კელი**, ქალაქ ნიუ ბრაუნფელსის მკვიდრია. „გარდიანის“ ცნობით, არსებობს ინფორმაცია, რომ კელმა თავი მოიკლა, სხვა წყაროების მიხედვით — პოლიციელებმა მოკლეს. თვითმხილველები ყვებიან, რომ მკვლელი შეეცადა, მიმალულიყო, მაგრამ იგი მოკლა საგზაო პოლიციის თანამშრომელმა. ამ ვერსიას ირიბად იზიარებს ტეხასის გუბერნატორი **გრეგ ებოტი**, რომელმაც მადლობა გადაუხადა სამართალდამცველებს სიტუაციაში ოპერატიულად ჩარევისთვის.

იყო თუ არა ეს თავდასხმა ტერორისტული აქტი? ამაზე საბოლოო პასუხი ხელისუფლებას არ აქვს. BBC News-მა დააზუსტა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები სწავლობენ, იყო თუ არა დევინ კელი რომელიმე ტერორისტული ორგანიზაციის წევრი ან ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან.

ჯერჯერობით დადგენილია, რომ ბოროტმოქმედი მსახურობდა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში, საიდანაც დაითხოვეს შეურაცხადობისა და ოჯახის წევრებისადმი ძალმომრეობის გამო. წესით, იგი საგიჟეში უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, იქიდან გამოიპარა.

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საზერლენ-სპრინგსის მოქალაქეებს სამძიმარი გამოუცხადა. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ბაპტისტურ ეკლესიაში დატრიალებული ტრაგედია, ნიუ-იორკის ტყუპ კოშკზე ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, უდიდესი უბედურებაა.

# ესპანეთმა კატალონიის კრიზისის გადაწყვეტის საშუალება გამონახა



**BBC News-ის ცნობით, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალფონსო დასტისმა განაცხადა, რომ ესპანეთი განიხილავს დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმების ლეგალიზების შესაძლებლობას. ქვეყნის ხელისუფლება ამ გზით იმ პრობლემების მოგვარებას იმედოვნებს, რომელთა მსგავსიც კატალონიის მაგალითმა შეიძლება კვლავაც გამოიწვიოს.**

მან დააზუსტა, რომ ამ საკითხზე სამეფოში შეიძლება რეფერენდუმი ჩატარდეს. **„ჩვენ შევქმენით საპარლამენტო კომიტეტი, რათა განვიხილოთ კონსტიტუციაში ისეთი დებულების შეტანა, რომელიც გაითვალისწინებს ზოგიერთი კატალონიელის მოლოდინს, მაგრამ გადაწყვეტილება ყველა ესპანელმა უნდა მიიღოს“**, — განაცხადა მინისტრმა.

როგორც ცნობილია, ესპანეთის მთავრობამ დაითხოვა კატალონიის პარლამენტი და ამბოხებულ რეგიონში პირდაპირი მმართველობა შემოიღო. ვადამდელი არჩევნები 21 დეკემბერს გაიმართება.

# სირიის არმიამ გაათავისუფლა «ისლამური სახელმწიფოს» მიერ დაპყრობილი ბოლო ქალაქიც

**სააგენტო SANA იუწყება, რომ წარმატებით დამთავრდა ქალაქ აბუ-ქემალის გათავისუფლების ოპერაცია.**

განცხადებაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ „დეირ-ეზ-ზორის პროვინციის გათავისუფლება ნიშნავს „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული პროექტის კრახს რეგიონში და იმ ძალების ჩანაფიქრის ჩაფუშვას, რომლებიც მას მფარველობდნენ.

სააგენტო „ფრანს-პრესი“ აზუსტებს, რომ ქალაქს უტევდნენ როგორც სირიის რეგულარული არმია, ასევე ბაშარ ასადის მოკავშირეები — რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალები, ირანისა და ლიბიის გასამხედროებული რაზმები, მათ შორის ჰეზბოლას რაზმებიც.

ამჟამად ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ხელშია მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო დასახლებული პუნქტი დეირ-ეზ-ზორის პროვინციაში და ნავთობის ერთ საბადოს აკონტროლებს. ამას გარდა, ტერორისტები აკონტროლებენ დამასკოს ორ შემოგარენს ჰომსის პროვინციაში. ერაყის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ ხელში რჩება ქალაქი, რომელიც რავა სირიის საზღვართან ახლოს მდებარეობს.



**დღეს თითოეულ უკრაინელზე 48 ათასი გრივნის ოდენობის სახელმწიფო ვალი მოდის — თითქმის 2000 დოლარი. ეს თანხა ყოველდღიურად იზრდება. უკრაინის ეკონომიკის გადატვირთვა, ჩანს, დღეს არავის შეუძლია. ხვალ ამას არავინ გააკეთებს, ზეგ კი გვიან იქნება. კიევმა უნდა აღიაროს, რომ უკრაინა გაკოტრებულია, რომელსაც მრავალმილიარდიანი ვალები მძიმე ტვირთად აწევს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

Der Spiegel:

# ბუნდესვერის ანალიტიკოსები ევროკავშირის დაშლას ვარაუდობენ



**ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ დასავლეთის სამყარომ შეიძლება შეწყვიტოს არსებობა იმ სახით, როგორითაც ახლა არსებობს. „დელ შპიგელის“ ინფორმაციით, მოვლენების ასეთი განვითარების ვარიანტს წარმოგვიდგენს გერმანიის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი მოხსენება „მომავლის სტრატეგიული ხედვა 2040 “. ავტორები ირწმუნებიან, რომ დოკუმენტი ჯერ კიდევ თებერვალში ჩაბარდა სამინისტროს, მაგრამ გასაიდუმლოებული იყო.**

ბუნდესვერის ანალიტიკოსებმა პირველად განიხილეს საკითხი, როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს გერმანიის უშიშროებაზე საზოგადოებრივმა ტენდენციებმა და საერთაშორისო კონფლიქტებმა. ეს გამოკვლევა არ წარმოგვიდგენს კონკრეტულ დასკვნებს შეიარაღებისა და სამხედრო ძლიერების შესახებ, იფარგლება გარკვეული ვარაუდით, როგორ განვითარდება ბუნდესვერი უახლოეს ათწლეულში.

ექსპერტების ანალიზის შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდა ექვსი შესაძლო სცენარი, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ უშიშროებასთან არის დაკავშირებული. მათგან უარესი ითვალისწინებს „უამრავი კონფრონტაციის“ შესაძლებლობას. მომავლის ამ პროექციაში მსოფლიოს საერთაშორისო წესრიგი ირღვევა ხანგრძლივი არასტაბილურობის შედეგად, როცა მსოფლიოში ღირებულებათა სისტემები ერთმანეთს სცილდება და მთავრდება გლობალიზაცია. **„ევროკავშირის გაფართოება უმეტესწილად შეჩერებულია, ახალი სახელმწიფოები ტოვებენ გაერთიანებას. ევროპამ ბევრ დარგში დაკარგა თავისი გლობალური კონკურენტუნარიანობა,** — ასეა აღწერილი ევროპის მომავლის ერთ-ერთი ვერსია, — **არეულმა, ნაწილობრივ ქაოსურმა და კონფლიქტებისადმი მიდრეკილმა მსოფლიომ რადიკალურად შეცვალა გერმანიისა და ევროპის გარემოცვა პოლიტიკური უსაფრთხოების სფეროში“.**

ამ სცენარის მიხედვით, ევროკავშირი იშლება, ხოლო ოდესღაც წამყვანი სახელმწიფო აშშ ეკონომიკური დაკნინებისკენ მიექანება და ამაოდ ცდილობს, შეეწინააღმდეგოს არსებული მსოფლწესრიგის ნგრევას.

მეორე, ნაკლებად ხისტი სცენარის მიხედვით. ევროკავშირის აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნები განამტკიცებენ ევროპულ ინტეგრაციას, მაშინ, როცა სხვები **„უერთდებიან აღმოსავლეთ ბლოკს“**. მომავლის ამ ვერსიაში ორი ურთიერთდაპირისპირებული ბლოკი ერთმანეთში ვაჭრობს და სცილდება ერთმანეთს პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით. დასავლეთი აერთიანებს აშშ-სა და ევროპას, აღმოსავლეთი სამყარო კი წარმოგვიდგება, უწინარესად, ჩინეთისა და რუსეთის ერთობით. რესურსებისთვის ბრძოლა მწვავდება, მაგრამ ეკონომიკური კავშირები ჯერ კიდევ აბრკოლებს მსხვილი საომარი კონფლიქტების განვითარებას. ამასთანავე, ბუნებრივ მარაგებზე დამოკიდებული ზოგიერთი აღმოსავლეთევროპული ქვეყანა მოსკოვის გავლენის ქვეშ ექცევა.

შემდეგი სცენარით, მსოფლიოში სულ უფრო ვრცელდება ექსტრემიზმი, ევროკავშირის ზოგიერთი პარტნიორი **„ეძებს რუსეთის სახელმწიფო კაპიტალისტურ მოდელთან სპეციფიკური დაახლოების შესაძლებლობას“.** ასეთი მსოფლმოწყობის პირობებში საჭირო ხდება აშშ-ის, როგორც მასტაბილიზებელი ფაქტორის, გააქტიურება. გლობალიზაციის დამუხრუჭების გამო ჩინეთი წონასა და მნიშვნელობას კარგავს, სულ უფრო ნაკლებ მდგრადი ხდება, რის კომპენსაციასაც აგრესიული საგარეო კურსის განხორციელებით ცდილობს. რუსეთი პირიქით — სტაბილური ხდება ნედლეულის გაძვირების ხარჯზე და მზად არის საგარეო პოლიტიკაში ნებისმიერი დაპირისპირებისთვის.

ევროკავშირში შეიძლება **„დასრულდეს ევროპული ილუზია“,** თვალსაჩინო ხდება აშშ-ისგან გაუცხოების ნიშნები, გერმანიის გარემოცვის მოქმედების გათვლა ვერ ხერხდება და იზრდება სახელმწიფოს უშიშროების დაცვის რისკი.

„დერ შპიგელი“ წერს, რომ მთავრობის ოფიციალური დოკუმენტი ნათლად მიგვანიშნებს ევროკავშირის კრახის შესაძლებლობაზე. დოკუმენტის ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ისინი არაფერს პროგნოზირებენ, მათ მხოლოდ მოვლენათა განვითარების მოდელირება შემოგვთავაზეს.

ამასთანავე, მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ყველა სცენარი შეიძლება განხორციელდეს 2040 წლამდე, მაგრამ ყველაზე უარესი სცენარი ანალიტიკოსებს არ წარმოუდგენიათ. „დერ შპიგელის“ აზრით, ასეთი სცენარით საქმიანობას შეწყვეტს გაერო და ბუნდესვერი, მაგრამ თავიანთი უწყების კრახის წინასწარმეტყველება ექსპერტებმა ვერ გაბედეს.



# იუნესკომ პალმირის აღსადგენად დაპირებული თანხა არ გაიღო

**„სირიის უდაბნოს მარგალიტის“ — ძველი პალმირის აღდგენა შესაძლებელი იქნება 5 წლის განმავლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო თანამეგობრობა საჭირო თანხას გაიღებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება.**

პალმირის მუზეუმის დირექტორმა **მოჰამედ ალ-ასაადმა** განაცხადა, რომ იუნესკომ აღუთქვა დახმარება, მაგრამ დღემდე ცენტიც არ გაუღია. იმავეს ამტკიცებს ქალაქის სიძველეთა დაცვის მოკლული ხელმძღვანელის, **ჰალედა ალ-ასაადის,** ვაჟი. მან თქვა, რომ ტერორისტების მიერ მიყენებული ზარალის შეფასება დღემდე ვერ მოხერხდა, მოცულობის კოლოსალური ოდენობის გამო.



Wall Street Journal:

# საუდელები ბიუჯეტს დაპატიმრებული პრინცების ხარჯზე ავსებენ

**საუდის არაბეთში ხელისუფლებამ გასულ კვირაში 60-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრა, მათ შორის, პრინცები და სხვა გავლენიანი პირები. მათ ბრალად ედებათ ფულის გათეთრება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, სახელმწიფო სახსრების მითვისება და მოხელეთათვის ფულის გამოძალვა. საუდის არაბეთის ცენტრალურმა ბანკმა გაყინა კორუფციული სკანდალის ფიგურანტების საბანკო ანგარიშები.**

კორუფციონერებისთვის ჩამორთმეული აქტივები სახელმწიფოს საკუთრება ხდება. ხელისუფლებას განზრახული აქვს, ამ გზით მიიღოს 3 ტრილიონი რიალი (800 მილიარდ დოლარამდე). ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთის ბანკებშია, რაც ართულებს მათ დაბრუნებას, მაგრამ ამ თანხის ნაწილის დაბრუნებაც კი გამოასწორებს საუდის არაბეთის ფინანსურ მდგომარეობას. დიდი ხნის განმავლობაში ნავთობის დაბალმა ფასმა აიძულა მთავრობა, ვალად აეღო სესხი ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარზე, დაეხარჯა ოქროსა და ვალუტის რეზერვის სახსრები.

შეგახსენებთ, რომ კორუფციასთან ბრძოლის უმაღლესმა კომიტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობს მემკვიდრე პრინცი **მუჰამედ ბენ სალმან ბენ აბდელ აზიზ ალ საუდი,** მიიღო გადაწყვეტილება 11 პრინცის, 30-მდე ყოფილი და მოქმედი მინისტრისა და მეწარმეების დაპატიმრების შესახებ კორუფციაში მონაწილეობის ბრალდებით. ეს ახალი ორგანო ჩამოყალიბდა საუდის არაბეთის მონარქის **სალმან ბენ აბდელ აზიზ ალ საუდის** ბრძანებულების თანახმად, რომელმაც კორუფციის წინააღმდეგ მასშტაბური კამპანიის დაწყება გამოაცხადა.

Fondsk.ru:

# უკრაინის სახელმწიფო ვალი დღეში 40 მილიონი დოლარით იმატებს

**კიევი ვალების დაგროვების ახალ რეკორდებს ამყარებს. სექტემბერში ჯამურმა სახელმწიფო ვალმა 84,7 მილიარდი გრივნით (3 მილიარდზე მეტი დოლარით) მოიმატა და რეკორდულ 2 ტრილიონ გრივნას გადააჭარბა. ამ ინფორმაციას ავრცელებს უმაღლესი რადის „ოპოზიციური ბლოკის“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე სერგეი ლევოჩკინი.**



სახელმწიფო ვალმა მოიმატა ევროობლიგაციების შემოღების შედეგად, რომელთა ღირებულებამ 3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ ფულიდან 1,6 მილიარდი დოლარი დაიხარჯა რესტრუქტურიზებული ობლიგაციების დასაფარავად. სახალხო დეპუტატის მტკიცებით, სახელმწიფომ ვერ შეძლო სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მართვის სტრატეგიის შემუშავება.

შედეგად, სახელმწიფო ვალი კვლავ სწრაფად იმატებს — ყოველდღიურად 1 მილიარდ გრივნაზე მეტად, რაც დაახლოებით 40 მილიონ დოლარს უდრის. ამჟამინდელი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში (2014 წლის მარტი — 2017 წლის სექტემბერი) სახელმწიფო ვალმა სამჯერ მოიმატა.

დღეს თითოეულ უკრაინელზე 48 ათასი გრივნის ოდენობის სახელმწიფო ვალი მოდის — თითქმის 2000 დოლარი. ეს თანხა ყოველდღიურად იზრდება. უკრაინის ეკონომიკის გადატვირთვა, ჩანს, დღეს არავის შეუძლია. ხვალ ამას არავინ გააკეთებს, ზეგ კი გვიან იქნება. კიევმა უნდა აღიაროს, რომ უკრაინა გაკოტრებულია, რომელსაც მრავალმილიარდიანი ვალი მძიმე ტვირთად აწევს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ანტისტალინური კამპანიის მეორე ტალღა აგორდა 1985 წელს, როდესაც ხელისუფლების სათავეში მიხეილ გორბაჩოვი და მისი მხარდამჭერები აღმოჩნდნენ. გორბაჩოვმა პროვოკატორებისა და ცილისმწამებლების გაცილებით მობილური გუნდი შეკრა, ვიდრე ხრუშჩოვმა. გორბაჩოვი შეეცადა, გაენადგურებინა ან შეეცვალა ის ძვირფასი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ხრუშჩოვის ბოროტ ხელს გადაურჩა, მაგრამ სტალინის 30-წლიანი თავაუღებელი მუშაობის ამსახველი ყველა დოკუმენტის შეცვლა ან განადგურება ვერ მოახერხა, ამიტომ ზოგიერთ ფრიად საინტერესო მასალას დღესაც ეფინება მზის შუქი.**

# სტალინი — გზა 1937 წლამდე

**დასასრული. დასაწყისი იხ. №36-41 (412-417)**

## რამდენია «სტალინური რეპრესიების მსხვერპლი»?

სტალინმა 1918-დან 1953 წლამდე ოთხი დიდი ომი მოიგო: 1. სამოქალაქო ომი — 1918-1920 წლებში, 2. ომი შინაურ და გარეშე მტრებთან 1918-1938 წლებში; 3. დიდი სამამულო ომი 1941-1945 წლებში, 4. პოლიტიკური ომი 1943-1945 წლებში (თეირანი, იალტა, პოტსდამი).

წინა წერილებში განვიხილეთ 1918-1938 წლების ოცწლიანი ომი და მისი შედეგები. როგორც ყველა ომს, ამ ფარულ ომსაც სისხლი და ტრაგედიები სდევდა, მაგრამ ქვეყნის (საბჭოთა კავშირის) გადარჩენით დასრულდა. ოცწლიანი ომის დასკვნით ეტაპზე ხალხის სამსჯავროზე წარდგნენ ადამიანები, რომელთა ამბიციურმა სწრაფვამ ხელისუფლებისკენ ესოდენ დიდი მსხვერპლი გამოიწვია. ამ ომის გამჩაღებლებს მიეზღოთ ის, რაც დაიმსახურეს. სწორედ **ტროცკის, ბუხარინის, რიკოვისა** და მათი თანამზრახველების სახალხოდ გასამართლება დაედო საფუძვლად დიდი სამამულო ომის ბოლოს გამართულ ნიურნბერგის პროცესს, რომელზეც ნაცისტებს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისთვის მკაცრი სასჯელი დააკისრეს. ნიურნბერგის პროცესი, თავისი ფორმითა და შინაარსით, ანალოგი იყო მოსკოვის 1937 წლის სასამართლო პროცესებისა, რომელთა რეჟისორიც სტალინი იყო. 1937 წლის მოვლენებით ბოლომდე არ განადგურებულა კონტრრევოლუციური მოძრაობა, მაგრამ სტალინის უძლეველობით დამფრთხალი ყველა ჯურისა და რანგის სახელმწიფო მოხელე ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდა, სტალინის სიკვდილის შემდეგ კი თავი მალე წამოყვეს. 1937 წლის სასამართლო პროცესების შემდეგ უცხოელი თუ ადგილობრივი დამკვირვებლებისა და, საერთოდ, მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის ცნობილი შეიქნა იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც ქვეყანა გადაურჩა და რომელზეც წინა წერილებში ვწერდი.

**მაგრამ საკითხავია: თუ ადამიანებმა ნათლად დაინახეს სტალინის სიმართლე ოპოზიციის მიმართ, რომელზეც დიდი გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი ამბობდა: „თუ ეს სიცრუეა, სიმართლე რაღაა“, ამერიკის ელჩი ჯოზეფ დევისი კი უმოწმებდა: „სტალინმა მეხუთე კოლონა 1937 წელს გაანადგურა“, მაშინ რატომ დაადო სტალინმა ზოგიერთ დოკუმენტს გრიფი „სამუდამოდ საიდუმლო“, „განსაკუთრებით საიდუმლო“ და „საიდუმლო“?** — იმიტომ, რომ 1937 წლის საქმეებს ღრმად ვერასდროს ჩასწვდება ბევრი ადამიანი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ უცხო ქვეყნების დაზვერვებმა გათვალეს, რა ბრალდების წაყენება შეიძლებოდა სტალინს მიმართ და ყველაზე მომგებიან და შემტევ იარაღად 1937-იანი წლების გასაიდუმლოებული საქმიანობა შეარჩიეს. **რატომ ასაიდუმლოებდა სტალინი სიმართლეს ოპოზიციის შესახებ? — სტალინს არ სურდა, ყველას სცოდნოდა, რომ სოციალისტურ სისტემას ამდენი მოწინააღმდეგე ჰყავდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს მას სჭირდებოდა ფორმაციისა და თავისი პრესტიჟის დასაცავად და ამიტომ ეს ყოველივე საიდუმლოების საბურველში გაახვია.**

**ნიკიტა ხრუშჩოვმაც** კი XX ყრილობაზე ვერ დამალა სტალინის დამსახურება და ქებით მოიხსენია ოპოზიციის განადგურებისთვის, რომლის შემდეგ ქვეყანა სუპერსახელმწიფოდ იქცა. ეს ხრუშჩოვის კეთილსინდისიერებაზე კი არ მიუთითებს, არამედ დამსახურება იყო ყრილობის დარბაზში მსხდომი ადამიანებისა, რომლებიც თავის დროზე ესწრებოდნენ მოსკოვის სასამართლო პროცესებს და ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ. ამიტომ ხრუშჩოვის მხრიდან ტროცკისტების გამართლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა, როგორც ყრილობას, ასევე ხელისუფლებას. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ხრუშჩოვისთვის, მხარდაჭერა გამოეხატა მოღალატე სამხედროების მიმართ, რომელთა სასამართლო პროცესი, სამხედრო საიდუმლოებების დაცვის მიზნით, მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. სწორედ ამ საქმეში ხალხის გაუთვითცნობიერებლობა გამოიყენა ხრუშჩოვმა და განახორციელა სამხედროების რეაბილიტაცია და ბრალდებაც კი წაუყენა სტალინს.

ანტისტალინური კამპანიის მეორე ტალღა აგორდა 1985 წელს, როდესაც ხელისუფლების სათავეში **მიხეილ გორბაჩოვი** და მისი მხარდამჭერები აღმოჩნდნენ. გორბაჩოვმა პროვოკატორებისა და ცილისმწამებლების გაცილებით მობილური გუნდი შეკრა, ვიდრე ხრუშჩოვმა. გორბაჩოვი შეეცადა, გაენადგურებინა ან შეეცვალა ის ძვირფასი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ხრუშჩოვის ბოროტ ხელს გადაურჩა, მაგრამ სტალინის 30-წლიანი თავაუღებელი მუშაობის ამსახველი ყველა დოკუმენტის შეცვლა ან განადგურება ვერ მოახერხა, ამიტომ ზოგიერთ ფრიად საინტერესო მასალას დღესაც ეფინება მზის შუქი.

**პირველი, ვინც თავისი ღორული დინგით სტალინის პირად არქივში დაიწყო ქექვა, იყო გენერალი და ისტორიკოსი დიმიტრი ვოლკოგონოვი, რომელმაც ფალსიფიცირებული საარქივო მასალებისგან მოქსოვა ბადე სიცრუისა, რომლის ტირაჟირებასაც გორბაჩოვმა შეუწყო ხელი.**

**„პარკეტის გენერალმა“ ვოლკოგონოვმა განაცხადა, რომ „სტალინური რეპრესიების“ მსხვერპლთა რაოდენობა 40 მილიონია.** ამ რიცხვით გამოწვეული აღტაცება დასავლურ მედიაში ჩამცხრალი არ იყო, როცა მოღალატისა და გამყიდველის შვილმა **ანტონ ანტონოვ-ოვსეენკომ** ახალი რამ აღმოჩინა და განაცხადა: **„ეს გათვლები მიახლოებითია, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: სტალინურმა რეჟიმმა გაანადგურა ხალხი, მოსპო რა მისი 80 მილიონი საუკეთესო შვილი“.** პროფესიონალი პროვოკატორები „პერესტროიკის“ ერთ-ერთი არქიტექტორის, **ალექსანდრე იაკოვლევის,** მეთაურობით, ალაპარაკდნენ სტალინის მიერ განადგურებულ 100 მილიონ ადამიანზე: „ამ რიცხვში შედის არა მხოლოდ რეპრესირებულები, არამედ დასაღუპავად განწირული მათი ოჯახის წევრები და ბავშვები, რომლებიც შეიძლება დაბადებულიყვნენ, მაგრამ ველარ მოევლინენ ქვეყანას“. მწერალი **იგორ ბუნიჩი** კი თავხედურად ამბობს, ეს 100 მილიონი ადამიანი დაუნდობლად გაანადგურესო. საზღვარი ყველაფერს აქვს, მაგრამ რუსი პოლიტიკოსის, **ბორის ნემცოვის,** უსინდისობამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა, როდესაც განაცხადა: „რუსეთმა 1917 წლის შემდეგ დაკარგა 150 მილიონი ადამიანიო“.

ვისზეა გათვლილი ზემოთ მოყვანილი რიცხვები „სტალინური რეპრესიების“ მსხვერპლის რაოდენობის შესახებ? — ვინც დამოუკიდებლად ვერ აზროვნებს და ვისი უპირველესი უნივერსიტეტი სიცრუის მანქანის უმთავრესი ინსტრუმენტი — მასმედიაა. ამ საკითხზე, მინდა, გაგაცნოთ ამონარიდი **ადოლფ ჰიტლერის** წიგნიდან „მაინ კამპფ“ („ჩემი ბრძოლა“):

**„ამ ბატონებმა კარგად იცოდნენ, რომ, რაც უფრო დიდია ტყუილი, მით უფრო ადვილად დაგიჯერებენ. უბრალო ადამიანები დიდ ტყუილს უფრო ადვილად იჯერებენ, ვიდრე პატარას — ეს შეესაბამება მათ პრიმიტიულ სულს, პატარა ტყუილი მათაც შეუძლიათ თქვან, დიდი ტყუილისა თვითონვე შერცხვებათ და ვერც მოიფიქრებენ, ამიტომაც ადამიანთა მასას ვერც წარმოუდგენია, რომ სხვა იტყვის ასეთი მასშტაბის ტყუილს, უსინდისოდ დაამახინჯებს ფაქტებს, მაშინაც კი, როცა ადამიანებს უხსნიან, რომ საქმე გვაქვს წარმოუდგენელი მასშტაბის ტყუილებთან, ისინი მაინც დაეჭვდებიან და იფიქრებენ, რომ სიმართლის მარცვალი მაინც არის ამ ტყუილში. ამიტომაა, რომ სიცრუის ვირტუოზები და პარტიები, რომლებიც, ძირითადად, ტყუილებზე დგანან, ამ მეთოდს იყენებენ — მათ მშვენივრად იციან ადამიანთა მასის თვისება — რაც უფრო დიდ ტყუილს ეტყვი, მით უფრო ადვილად დაგიჯერებენ“.**

სტალინური რეპრესიების მრავალმილიონიანი მსხვერპლის აბსურდულობა ადვილი დასამტკიცებელია, თუ გადავშლით ნებისმიერ ნაშრომს საბჭოთა კავშირის დემოგრაფიულ მონაცემებზე და მარტივ არითმეტიკულ გამოთვლებს გავაკეთებთ, თუმცა სიმარტივისთვის აქვე მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც თვალნათლივ დაგანახვებთ ანტისტალინელების მიერ მოყვანილი მონაცემების პროვოკაციულობას.

**1959 წელს ჩატარდა სსრკ-ის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 208 827 000 კაცს. 1913 წლის ბოლოს იმავე საზღვრებში ცხოვრობდა 159 153 000 ადამიანი. ადვილად გამოსათვლელია, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საშუალო წლიური მატება 1914-1959 წლებში შეადგენდა 0,60 %-ს. ეს მაშინ, როდესაც ამ წლების განმავლობაში ინგლისის მოსახლეობამ მოიმატა 0,46 %-ით, საფრანგეთისამ — 0,41 %-ით, გერმანიისამ — 0,41 %-ით. მკითხველი, ალბათ, იმასაც მიხვდება, რომ ანტისტალინელთა გამოკვლევები თოვლზე დაწერილი ციფრებია, რადგან მსხვერპლის რაოდენობა 150 მილიონი ან თუნდაც 40 მილიონი რომ ყოფილიყო, ეს საბჭოთა კავშირში დემოგრაფიულ კატასტროფას გამოიწვევდა.**

### რამდენია „სტალინური რეპრესიების მსხვერპლი“?

ყველაზე სანდო და უტყუარ დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს მოხსენებითი ბარათი, რომელიც ხრუშჩო- ▶



**თუ ადამიანებმა ნათლად დაინახეს სტალინის სიმართლე ოპოზიციის მიმართ, რომელზეც დიდი გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი ამბობდა: «თუ ეს სიცრუეა, სიმართლე რაღაა», ამერიკის ელჩი ჯოზეფ დევისი კი უმოწმებდა: «სტალინმა მეხუთე კოლონა 1937 წელს გაანადგურა», მაშინ რატომ დაადო სტალინმა ზოგიერთ დოკუმენტს გრიფი «სამუდამოდ საიდუმლო», «განსაკუთრებით საიდუმლო» და «საიდუმლო»?**



მიხეილ გორბაჩოვი და ალექსანდრე იაკოვლევი

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორც დოკუმენტიდან ჩანს, 1921-დან 1954 წლის დასაწყისამდე პოლიტიკური ბრალდებით სიკვდილი მიესაჯა 642 980 ადამიანს, თავისუფლების აღკვეთა კი — 2 669 220-ს, გადაასახლეს — 765 180 ადამიანი.

ვის სახელზე დაიწერა 1954 წლის 1 თებერვალს.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს — ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს

იმის გამო, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოდის წერილები ადამიანებისაგან, რომლებსაც აინტერესებთ, რამდენი ადამიანი დაისაჯა წარსულში ოგპუ-ს (სსრკ-ს სახალხო კომისარიატების საბჭოსთან არსებული გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველო — გ.ო.) კოლეგიის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, სამეულის, სამხედრო კოლეგიის, სასამართლოების, სამხედრო ტრიბუნალების გადაწყვეტილებით, საჭიროა, გადაისინჯოს საქმეები იმ ადამიანებისა, რომლებიც დაისაჯნენ კონტრევოლუციური საქმიანობისათვის და დღესაც სასჯელს იხდიან ბანაკებსა და ციხეებში. მოგახსენებთ:

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, **1921 წლიდან დღემდე კონტრევოლუციური საქმიანობისთვის ოგპუ-ს კოლეგიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის, სამხედრო კოლეგიის, სასამართლოებისა და სამხედრო ტრიბუნალების მიერ სულ გასამართლდა 3 777 380 ადამიანი, მათ შორის: სასჯელის უმაღლესი ზომით — 642 980 ადამიანი, 25 წლითა და უფრო ნაკლებით ციხეებსა და ბანაკებში გამწესებით — 2 369 220 ადამიანი, გადასახლებით — 765 180 ადამიანი, დაპატიმრებულთა საერთო რაოდენობიდან, სავარაუდოდ, ოგპუ-ს კოლეგიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულისა და განსაკუთრებული კოლეგიის მიერ გასამართლებულია 2 900 000 ადამიანი, ხოლო 877 000 ადამიანი სასამართლოების, სამხედრო ტრიბუნალების, სპეცკოლეგიებისა და სამხედრო კოლეგიების მიერ.**

გენერალური პროკურორი **რ. რუდენკო**

შინაგან საქმეთა მინისტრი **ს. კრუგლოვი**

იუსტიციის მინისტრი **კ. გორშენინი**".

**როგორც დოკუმენტიდან ჩანს, 1921-დან 1954 წლის დასაწყისამდე პოლიტიკური ბრალდებით სიკვდილი მიესაჯა 642 980 ადამიანს, თავისუფლების აღკვეთა კი — 2 669 220-ს, გადაასახლეს — 765 180 ადამიანი.**

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სიკვდილმისჯილის მიმართ სასჯელი არ აღსრულებულა. მაგალითად: ტიუმენის სახალხო სასამართლოს მიერ 1930 წლის იანვარში გამოტანილი დახვრეტის 46 გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციების მიერ გაუქმდა და 46 სიკვდილმისჯილიდან მხოლოდ 9 ადამიანი დაიხვრიტა. 1939 წელს 15 ივლისიდან 1940 წლის 20 აპრილამდე ბანაკებში ცხოვრებისა და წარმოების დეზორგანიზირებისთვის 201 კაცს სიკვდილი მიესაჯა, მაგრამ ზემდგომის გადაწყვეტილებით ყველა მათგანს შეეცვალა სასჯელი 10-15 წლის პატიმრობით.

1934 წელს საპატიმრო ბანაკებში ირიცხებოდა 3 849 სიკვდილმისჯილი, რომლებსაც სასჯელის უმაღლესი ზომა პატიმრობით შეეცვალათ. 1935 წელს ასეთი იყო 5 671 ადამიანი, 1936 წელს — 7 303, 1937 წელს — 6 239, 1938 წელს — 5 926, 1939 წელს — 3 425, 1940 წელს — 4 037 ადამიანი. როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, სიკვდილით დასჯის ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც სტატისტიკით არის აღრიცხული, არ აღსრულებულა. და, აქედან გამომდინარე, დახვრეტილთა რაოდენობა უფრო დაწვრილებით არის შესასწავლი.

გორბაჩოვის მთავარ ფალსიფიკატორთა შორის, იაკოვლევთან ერთად, იყო 1937 წელს დახვრეტილი ხალხის მტრის შვილი **ანტონ ანტონოვ-ოვსეენკო**, რომელმაც გაუგონარი სისულელე თქვა:

**„გულაგის საერთო მომარაგების სამმართველოს ცნობით, ომის შემდგომ პირველ წლებში საპატიმრო ადგილებში გამოსაკვები იყო არანაკლებ 16 მილიონი ადამიანისა".**

როგორც ირკვევა, სიაში იმ ადამინებისა, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ აღნიშნულ დოკუმენტებზე (იაკოვლევი, ვოლკოგონოვი, ავტორხანოვი და სხვ.) ანტონოვ-ოვსეენკო არ არის. დოკუმენტი, რომელშიც აღრიცხულია ომის შემდგომ პერიოდში პატიმართა რაოდენობა, ანტონ-ოვსეენკოს არ უნახავს და სიცრუეს უკეთებს ტირაჟირებას. მას ეს დოკუმენტი რომ ენახა, შეუიარაღებელი თვალითაც დაინახავდა, **რომ ერთსა და ექვსს შორის დასმულია მძიმე და ნიშნავს მილიონ ექვსასს და არა 16 მილიონს, ამდენად, ომის შემდგომ წლებში საპატიმრო ადგილებში პატიმართა რაოდენობა 1 600 ათასზე მეტი არ ყოფილა.**

ტროცკისტულ-კონტრევოლუციური მოღვაწეობისთვის სტალინის მმართველობის პერიოდში გასამართლებული **ოლგა შატუნოვსკაია** 1955 წელს ხრუშჩოვის ინიციატივით შეიყვანეს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. მას პირადად ხრუშჩოვმა დაავალა „რეპრესირებულთა" საქმეების შესწავლა-გამომძიურება. შატუნოვსკაია ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო სტალინის პიროვნების კულტის წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფში. 1960 წელს ის **კიროვის** მკვლელობის შემსწავლელი კომისიის შემადგენლობაშიც შეიყვანეს.

**1959 წელს ჩატარდა სსრკ-ის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 208 827 000 კაცს. 1913 წლის ბოლოს იმავე საზღვრებში ცხოვრობდა 159 153 000 ადამიანი. ადვილად გამოსათვლელია, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საშუალო წლიური მატება 1914-1959 წლებში შეადგენდა 0,60 %-ს. ეს მაშინ, როდესაც ამ წლების განმავლობაში ინგლისის მოსახლეობამ მოიმატა 0,46 %-ით, საფრანგეთის — 0,41%-ით, გერმანიის — 0,41 %-ით. მკითხველი, ალბათ, იმასაც მიხვდება, რომ ანტისტალინელთა გამოკვლევები თოვლზე დაწერილი ციფრებია, რადგან მსხვერპლის რაოდენობა 150 მილიონი ან თუნდაც 40 მილიონი რომ ყოფილიყო, ეს საბჭოთა კავშირში დემოგრაფიულ კატასტროფას გამოიწვევდა**


ნიკიტა ხრუშჩოვი

პერესტროიკის გააქტიურების წლებში გორბაჩოვისგან ფრთაშესხმულმა შატუნოვსკაიამ თავისი მოგონებებით განამტკიცა ლეგენდები სტალინური გულაგების შესახებ. სწორედ ამ დროს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა კომისიისაგან მოითხოვა 1935-დან 1941 წლამდე რეპრესირებულთა რაოდენობა, ყოვლისმცოდნე შატუნოვსკაიამ კი, როგორც კომისიის ხელმძღვანელმა, შემდეგი ცნობა გაუგზავნა უშიშროების კომიტეტს:

„1935 წლის 1 იანვრიდან 1941 წლის 22 ივნისამდე დააპატიმრეს 19 840 000 „ხალხის მტერი", მათგან 7 მილიონი დახვრიტეს, დანარჩენის უმრავლესობა დაიღუპა ბანაკებში".

არქივების გახსნის შემდეგ კი გაირკვა, რომ 1935-1941 წლებში დაპატიმრებული იყო ადამიანების შემდეგი რაოდენობა:

**„1 იანვრისათვის ირიცხებოდა პატიმარი**

**1935 წ — 1 032 584 მათ შორის პოლიტპატიმარი 118 256 — 16,3 %**

**1936 წ — 1 304 703 „ „ 105 845 — 12,6 %**

**1937 წ — 1 196 257 „ „ 104 826 — 12,8 %**

**1938 წ — 1 884 002 „ „ 185 324 — 18,6 %**

**1939 წ — 2 014 569 „ „ 454 432 — 34,5 %**

**1940 წ — 1 846 270 „ „ 444 999 — 33,1 %**

**1941 წ — 2 400 422 „ „ 420 293 — 29,7 %**

**მოყვანილი ცხრილი საშუალებას გვაძლევს, ნათლად დავინახოთ, რომ შატუნოვსკაიას მიერ მიწოდებული პოლიტიკური ნიშნით მსჯავრდებულთა რაოდენობა 1935-1941 წლებში არათუ 19 მილიონია, არამედ ორ-ნახევარ მილიონსაც არ აღემატება, ხოლო აღნიშნულ წლებში სიკვდილმისჯილთა რაოდენობა იყო არა 7 მილიონი, არამედ 700 000-ზე ნაკლები.**

შატუნოვსკაიას, ანტონოვ-ოვსეენკოსა და სხვა ანტისტალინელებს არ სჭირდებათ საარქივო მასალები, მათთვის საკმარისია, დაასახელონ გვარი სრულიად უცხო ადამიანისა, რომლისგანაც თითქოს მიიღეს უტყუარი მასალა, რომელსაც ჯერ დღის სინათლე არ უნახავს. იმოწმებენ „თვითმხილველთა" ნაამბობს, უსირცხვილოდ უთითებენ, რომ:

„კუზნეცოვმა დოკუმენტის ასლი აჩვენა ხრუშჩოვის თანაშემწე ი. კ. ალექსახინს, რომელმაც კოლიმაზე 10 წელი გაატარა და მან კარგად იცოდა, რომ ზღვისპირეთსა და შორეულ აღმოსავლეთის მშენებლობებზე ერთდროულად მუშაობდა მშიერი და სასომიხდილი მილიონამდე სასჯელმისჯილი. ეს რიცხვი თურმე კუზნეცოვს მეოცე ყრილობის შემდეგ პირად საუბარში დაუსახელა მშენებლობის ყოფილმა უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ივანე ნიკიშოვმა".

...„ომამდე ცოტა ხნით ადრე **ბერიას** ერთ-ერთ თანაშემწე **ბოგდან ქობულოვს** ვიწრო წრეში ვახშმობისას წამოსცდენია, ახლა ბანაკებში 11 მილიონზე მეტი მსჯავრდებული გვყავს, რომლებსაც ვერ ვკვებავთო (ვ. ლორთქიფანიძის მოგონებიდან).

ანტისტალინელები მესამე პირისგან მიღებულ ამბავს უტყუარ ფაქტად იმიტომ ასაღებენ, რომ, ჭეშმარიტების დადგენის შემთხვევაში, მეორე პირზე გასვლა შესაძლებელია, მაგრამ მესამე პირამდე მისასვლელი გზა უკვე იკარგება.

ვამთავრებ რა ოცწლიანი ომის ისტორიის მოკლე მიმოხილვას, **უნდა გამოვუტყდე მკითხველს, რომ 1937 წლის ქართულ მოვლენებს შეგნებულად ავუარე გვერდი, რადგან, მეგობრების რჩევით, მიზანშეუწონლად მივიჩნიე გამომზეურება ზოგიერთი საარქივო მასალისა, რადგან ამას ძალიან დიდი უსიამოვნება მოჰყვებოდა ზოგიერთი რეპრესირებულის შთამომავლებსა და ჩემ შორის, მაგრამ გაივლის კიდევ ორი ათწლეული და ისტორია ყველას მიუზღავს საკადრისს. მაშინ უკვე ბრალდებულისა და ბრალმდებლის საფლავები დიდი ხნის გაცივებული იქნება.**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა" და „ლიბრას" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი" შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი", რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.


ოლგა შატუნოვსკაია


დიმიტრი ვოლკოგონოვი

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეგ არის სავალალო, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი-კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც ჰშოულობს და სახლობასაც გაუჭირებლივ ჰკვებავს. რათა? რათ უნდა იყოს ესე? ჯერ იმიტომ, რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად-კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულ-მკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა“.

# «რათ არის ესე?»

სად არის სათავე და მიზეზი ხალხის სიღარიბისა? — გაუნათლებლობაშიო, ამბობდა ერის მამა და გულისტკივილს გამოხატავდა იმის გამო, რომ იმ პერიოდში სწავლა-განათლების მიღებას ყურადღებას ნაკლებად აქცევდნენ ჩვენი თანამემამულენი. ილიას კი მხოლოდ მცოდნე და ნასწავლი კაცი მიაჩნდა ძლიერად, ხოლო უსწავლელი — მის ყურმოჭრილ ყმად, რომელიც „ძალაუნებურად იძულებულია, იმას დასჯერდეს, რაც მცოდნეს და ნასწავლს მორჩება, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის უღირსსა და გამოუსადეგს“; წუხდა, რომ „აწ არსებულს სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველები თითქმის ყველგან ნაკლებად არიან“.

გამოხდა ხანი და XX საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოში უმაღლესი განათლების დიპლომი მოდური გახდა, დიახ, მოდური, რადგან მშობლები იმით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, მათ შვილს დიპლომი ჰქონოდა, ვიდრე იმ დიპლომის შესაბამისი განათლება. ამაზე მეტყველებს ის, რომ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის 365 უმაღლეს სასწავლებელში 35 ათასი ქართველი სწავლობდა და ბევრმა მათგანმა რუსულიც კი არ იცოდა(?!). როდესაც საქართველომ „დამოუკიდებლობა“ მოიპოვა, 250 უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა (მანამდე 19 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა). მოკლედ, ქვეყანას 100 ათასი სტუდენტი მაინც ჰყავდა... მაგრამ საკითხავი იყო მათი ცოდნის დონე. მიუხედავად ეკონომიური სიდუხჭირისა, „უდიპლომო სასიძოს“ ერთი პერსონაჟივით — ვარდენივით მაშინაც და დღესაც ჩვენში ბევრი ფიქრობს: „დიპლომი მაინც საჭიროა, ბიჭო...“; ხოლო კესარიას ამ სიტყვებს: „შენ მოუკვდი დედაშენს, სანამ უმაღლესს არ დაამთავრებ, ჩვენი დედაშვილობა არ იქნება, არა, არა!“ უამრავი დედა უმეორებდა განათლების მიღებაზე გამწყრალ თავის შვილს.

ამ მხრივ დღესაც თითქმის არაფერი შეცვლილა.

მაგრამ ილიას საფიქრალი კესარიას გულისტკივილთან რა სახსენებელია, რადგან ერის მამა ვერც კი წარმოიდგენდა, ოდესმე დიპლომი მხოლოდ კარადაში შესანახად თუ ენდომებოდა მის თანამემამულეთ. სწორედ ესაა ჩვენი უბედურება. ვისაც „ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად-კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულ-მკერდისათვის, იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა“, — აი ასეთი ერის ხელში აქვს სწავლა-განათლებას ძალა და ფასი. სანამ არ შევიგნებთ, რომ „შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული“ და არა ნაყიდ დიპლომზე, მანამ გვეყოლება „დიპლომიანი“ მძღოლები, მიმტანები, კურიერები, დამლაგებლები, გამყიდველები... არც ჩვენ გვეშველება და არც ქვეყანას.



**სანამ არ შევიგნებთ, რომ «შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული» და არა ნაყიდ დიპლომზე, მანამ გვეყოლება «დიპლომიანი» მძღოლები, მიმტანები, კურიერები, დამლაგებლები, გამყიდველები... არც ჩვენ გვეშველება და არც ქვეყანას**

დასასრული. დასაწყისი იხ. №41 (417)

„ჩვენს წინა-წერილში ვსთქვით, რომ ქართველობა, რაც შესაძლოა, ძლიერ უნდა ეტანებოდეს სკოლებს და სასწავლებლებს ცოდნისა და სწავლა-განათლების კარის გასაღებად, ხოლო ამის სანაცვლოდ იმასა ვხედავთ, რომ **აწ არსებულს სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველები თითქმის ყველგან ნაკლებად არიან.** ეს ცხადად დაგვანახვა, სხვათა შორის, ტფილისის რეალურ სასწავლებლის წლიურმა ანგარიშმა.

კვირას, 22 ოქტომბერს, ხსენებულ სასწავლებელში იყო აქტი. ამ აქტზედ წაკითხულ ანგარიშიდამა სჩანს, რომ **გასულს წელს ამ სასწავლებელში ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორის ქართველი მხოლოდ 27, მაშინ როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი — 136, გერმანელი — 24, პოლშელი — 16, თათარი — 10, ბერძენი — 4 და ებრაელი — 3. მოდით და გული ნუ დაგეწვით მწუხარებით ამისთანა ამბის გაგონებისაგან! 358 შეგირდს შორის მარტო 27 ქართველია მაშინ, როდესაც სომეხი 136-ია, რუსი 138-ი და გერმანელი — 24! მერე სად? საქართველოს დედაქალაქის, საქართველოს შუაგულის სასწავლებელში!..**

ეს ამბავი გულში უფრო მწვავედ ჩააჩნდება ყოველს ჩვენს მოკეთეს, როცა გვეცოდინება, ქართველებთან შედარებით ვინ რამდენნი არიან, თუნდ, მაგალითად, მარტო ტფილისში. **ტფილისი აიწერა 1876 წ. ამ აღწერიდამ სჩანს, რომ რუსები არიან ტფილისში რიცხვით 20.000-მდე, ჯარებს გარდა. ამათში 9.000 წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა; იმერ-ამერ ქართველნი — 22.000, ამათში მარტო 7.000 წერა-კითხვის მცოდნეა; სომეხი — 37.000, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 11.000-ზე მეტია; თათარი — 2.000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე მარტო 381; ყიზილბაში — 1.700-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 240-ი; გერმანელნი — 2.000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნეა — 1.500-ი; პოლშელები — 1.500-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე — 1.000-ია; ერთს მესამედზედ მეტს ჩვენებურ მკვიდრთა სცოდნიათ რუსული წერა-კითხვაც. ყოველ აქედამ გამოდის, რომ რუსებს თითქმის ნახევარ წილს სცოდნია წერა-კითხვა, ქართველებს თითქმის მესამედ წილსა, სომხებს მესამედზე ცოტა ნაკლებს. ხოლო წერა-კითხვის ცოდნის კვალობაზედ ყველაზე წინ არიან გერმანელნი, რომელთა შორის მცოდინარი ოთხში სამია; ამათ მოსდევენ პოლშელნი, — რომელთა შორის მცოდინარი სამში ორია; შემდეგნი არიან რუსნი, რომელთ შორის ორში თითქმის ერთია. მეტ-ნაკლებობა ეგრეთ-წოდებულ კულტურისა და სხვათა შორის ამ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვითაც განიზომება.**

**თუ 20.000 რუსი სასწავლებელში ჰზრდის 138 ყმაწვილსა, თუ ორი ათასი გერმანელი ზრდის 24-ს, 1.500 პოლშელი — 16-სა, ჩვენ რა წყრომა ღვთისა გვეწია, რომ 22.000 ქართველი თითქმის მარტო იმოდენასა ჰზრდის, რაც ორი ათასი გერმანელი. ეს გულსაკლავი ამბავი რის მომასწავებელია?** ვამბობთ, ღარიბნი ვართო და ვერ ვუძლვებით შვილების გაზრდის ხარჯსაო. კიდეც ეგ არის სავალალო, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი-კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც ჰშოულობს და სახლობასაც გაუჭირებლივ ჰკვებავს. რათა? რათ უნდა იყოს ესე? ჯერ იმიტომ, რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად-კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულ-მკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა, და ამიტომაც, როცა სარჩო-საბადებელისათვის იღვწის, მაშინ წელებზედაც ფეხს იდგამს, რომ შვილის გასაზრდელი ხარჯიც მოიამაგოს. გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად-კი თავის მონაგარს გროშს გადასდებს, შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაჰზოგავს და ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული, იცის, **რომ ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი.** ამ სახით, რაკი გერმანელისათვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებელი საჭიროებაა, მის საეკონომიო ანგარიშში, მის საღვაწოსა და საამაგოში შვილის გასაზრდელად სახარჯოს მოპოვებას თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯაფას, გარჯას იორკეცებს და, თუ ამით ვერას გამხდარა, სხვაგან იკლებს და ამ სახარჯოს-კი ჰმატებს.

მეორე მიზეზი იმისი, რომ გერმანელს არ უჭირდება შვილის სკოლაში გამოსაზრდელი ხარჯი, ის არის, რომ გერმანელს ცოტად თუ ბევრად ცოდნა აქვს რისამე: ან სწავლულია და ამით ჰშოობს ცხოვრების საგზალსა, ან ხელოვანია რაშიმე, ან ხელოსანია. იგი საცა მიდის, ყველგან ჰშოულობს საქმეს, და რაკი ცოდნა აქვს, მრავალკეცად იადვილებს სარჩო-საბადებლის შოვნასა და ჩვენებურ უცოდინარს ხელიდამ აცლის საქმესაც და ლუკმასაც, ძალ-მომრეობით და უნამუსობით-კი არა პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით — იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული.

ჩვენ ყოველს ამაზედ ძალიან შორსა ვართ. ჩვენს საეკონომიო ანგარიშში, ჩვენის ცხოვრების „ჩოტკში“ შვილის გასაზრდელს სახარჯოს არავითარი ადგილი არ უჭირავს. განა მითამ სურვილი სკოლაში მიბარებისა არ იყოს ჩვენში გაძლიერებული!.. აბა ჰნახეთ, რამოდენა ქართველობა მიაწყდება ხოლმე სასწავლებლის კარს, როცა მიღების დრო მოდის. ხომ ესეა, და ბოლოს და ბოლოს მარტო იმასა ვხედავთ, რომ ამ მრავალთაგან თითოოროლა-ღაა შესული სასწავლებელში და ამ გზით ქართველები ყველგან ცოტანი არიან.

**რათ არის ესე?** თუ სურვილი ძლიერია, საქმეც უნდა გამოდიოდეს რამე და რატომ არ გამოდის? იმიტომ, რომ ჩვენ შვილი მიგვყავს სკოლაში მარტო იმისათვის, რომ თავიდამ მოვიშოროთ, ან სახელმწიფოს მოვახვიოთ კისერზედ, ან სხვას ვისმე კეთილმყოფელს, და რადგანაც სხვისი ჯიბე იმოდენად უხვი არ არის, რამოდენადაც დიდია სურვილი მუქთად შვილის გამოზრდისა და გამოკვებისა, ამიტომაც ბევრი დედ-მამა იძულებულია შვილი უკან წაიყვანოს. ეს სწორედ იმასა ჰგავს, — ყვავს ბახალა მოუკვდაო და ბუს მიუგდო, დიდი თავი შენა გაქვს და შენ იტირეო.

**ერთხელ და ერთხელ საჭიროა, ყურებიდამ ბამბა გამოვიღოთ. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა.** რასაკვირველია, ამას ხარჯი უნდა, და აი სწორედ ამის სახარჯოსათვის ჩვენ არ ვირჯებით, არა ვმოქმედობთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთს ოფლსაც არ ვიმეტებთ. პური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოობთ, ღვინო როცა გვაკლია — ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, იქით ვეცემით, აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ, — და როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გავძრავთ, თუნდა მთელი დღე იმოდენად მოცლილი ვიყვნეთ, რომ გულდაღმა ვიწვნეთ და ჭერში ბუზებსა ვსთვლიდეთ. გაზრდა შვილისა-კი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროს-ერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ.

აკი ვსთქვით, სურვილი სკოლაში შვილის მიბარებისა ბევრია, მაგრამ გვინდა-კი, რომ ყოველივე ეს ან მუქთად მოგვეცეს, ან მოწყალებასავით სხვისაგან გვეძლიოს. ჩვენ თითონ-კი ამისათვის ხელის განძრევაც გვეზარება: თუ მოვა თავის-თავად, ხომ რა კარგი, თუ არა, უმაგისოდაც გავძლებთო, ვიტყვით ხოლმე. უმაგისოდ ვერ გასძლებთ, ვერა. ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია. მაშ თან ხომ არ გადავყვებითო მაგ ხარჯსა და მოვალეობას, როცა ჩვენ თითონაც არა გვაბადიარაო. სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან.

**ტფილისი, 27 ოქტომბერი, 1889 წ.“**

**«ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი»**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

ანა დრანსე ფრანგი ქალბატონი იყო. იგი ჭავჭავაძეთა სახლში ბავშვების აღმზრდელად ყოფილა მიწვეული. დავით ჭავჭავაძის ოჯახის წევრებმა და ფრანგმა ქალბატონმა დაღესტანში ტყვეობის უმძიმესი თვეები გამოიარეს. ხშირად ისინი უკიდურეს სასოწარკვეთილებაში იმყოფებოდნენ. ტყვეობაში ყოფნისას დაიღუპა ოჯახის რამდენიმე წევრი, მათ შორის — თავადის მცირეწლოვანი ქალიშვილი.

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის...»

ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო აღმოსავლეთის ომებში ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ძალებით მიღწეულ წარმატებებს, თუ როგორ გადაურჩა საქართველო მუსლიმანური სამყაროს ხახაში ჩავარდნას, მაგრამ სურათი სრულყოფილი ვერ იქნება, თუ იმ პერიოდის კიდევ ერთ სერიოზულ საფრთხეს გვერდს ავუვლით. ამ საფრთხის სახელწოდებაა ლეკიანობა,

რომელიც XVIII საუკუნეში აშკარა განადგურებით დაემუქრა კახეთის მოსახლეობას და რომლისგან თავის დაღწევაში უდიდესია რუსეთის წვლილი.

ლეკები უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ გარეშე მტრების მიერ ისედაც აწიოკებულ ქვეყანას. მკითხველს ვთავაზობთ ანა დრანსეს მიერ მოთხრობილ ამბავს თავად დავით ჭავჭავაძის ოჯახის დატყვევებაზე. საქმე ეხება პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის ოჯახის ბედს, რომელიც შამილის მარბიელი რაზმის მსხვერპლი აღმოჩნდა.

ანა დრანსე ფრანგი ქალბატონი იყო. იგი ჭავჭავაძეთა სახლში ბავშვების აღმზრდელად ყოფილა მიწვეული. დავით ჭავჭავაძის ოჯახის წევრებმა და ფრანგმა ქალბატონმა დაღესტანში ტყვეობის უმძიმესი თვეები გამოიარეს. ხშირად ისინი უკიდურეს სასოწარკვეთილებაში იმყოფებოდნენ. ტყვეობაში ყოფნისას დაიღუპა ოჯახის რამდენიმე წევრი, მათ შორის — თავადის მცირეწლოვანი ქალიშვილი.

ჭავჭავაძეთა გათავისუფლება ხანგრძლივ და მტანჯველ პროცესს წარმოადგენდა, სანამ საქმეში თვით რუსეთის იმპერატორი არ ჩაერია და სწორედ მისი ძალისხმევით ჭავჭავაძეები შამილის ტყვეობიდან გამოსყიდული იქნენ. მათი ტყვეობა დაიწყო 1854 წლის ივლისში და თითქმის ერთი წლის განმავლობაში, 1855 წლის ბოლომდე, გაგრძელდა.

გთავაზობთ ნაწყვეტს ანა დრანსეს წიგნიდან „შამილის ტყვე ქალები“.


გენერალი დავით ჭავჭავაძე

### მედუქნე

1 ივლისს გლეხებმა გვაცნობეს, თელავის მიმართულებით მინდვრები ცეცხლის ალშია გახვეულიო. დაეჭვება აღარ შეიძლებოდა — მტერი ვაკეზე იყო ჩამოსული და წინ გამალებით მოიწევდა, გვამცნობდა რა თავის გზასა და მიმართულებას მის მიერ გაჩაღებული ხანძრების მიხედვით. ყველამ გაამახვილა ყურადღება იარაღის გამართულობაზე. წინანდლელი გლეხები მოდიოდნენ კნეინასთან და ურჩევდნენ, აუცილებლად გახიზნულიყო ტყეში, მაგრამ იგი არ დასთანხმდა. მაშინ მათ დააწყვეს მთელი თავიანთი ავლა-დიდება ურემზე და ქალებიცა და ბავშვებიც ზედ შესხეს. ხანძარი პარასკევსაც ბობოქრობდა. დღისით მოვიდა თელავის მედიკოსი გორლიჩენკო.

— ლეკები, — თქვა მან, — დაბანაკებული არიან ალაზნის იქითა მხარეს. ამჟამად ვერ შეძლებენ მდინარის გადმოლახვას. თელავშიც მშვიდობიანობაა — თბილისიდან ჯარს ელოდებიან.

...ამასობაში ყველა გლეხი გაიხიზნა. მეზობელი მემამულეებიც მოდიოდნენ და გვარწმუნებდნენ, მათთან ერთად გავსულიყავით ტყეში. იმათ უპატრონოდ დაეგდოთ თავიანთი ავლა-დიდება და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზეღა ზრუნავდნენ, მაგრამ ქალბატონი ამჯერადაც ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე.

...ხანძარი შაბათსაც ძველებურად ბობოქრობდა. ცხადი გახდა, საშიშროება კარს იყო მომდგარი, რამაც, ალბათ, კნეინა შეაფიქრიანა. დაიწყეს ვერცხლის, ძვირფასი ქვებისა და სხვა ნივთების ჩალაგება. თავადის გულადი გლეხი ზურია კნეინასთან გამოიძახეს, რათა საქმის ნამდვილი ვითარების შესატყობად წასულიყო, ადგილები დაეზვერა. კნეინა დასთანხმდა და იგი გაემართა იმ ადგილების დასათვალიერებლად და შესამოწმებლად, საიდანაც ხანძრების შუქი მოდიოდა. გამოხდა ცოტა ხანი. ზურია უკან დაბრუნდა. ტანსაცმელი ტყვიებისაგან დაცხრილული ჰქონდა, თვითონ კი ცოცხალი იმის გამო გადარჩენილიყო, რომ შორიდან ნასროლ ტყვიებს იმდენი ძალა აღარ შერჩენოდათ. ოღონდ ზურია, ასე რომ გადადო თავი ბატონებისათვის, ჩვეულებრივ ლოთობდა ხოლმე და ამიტომაც მის ნაამბობს სერიოზული ყურადღება არავინ მიაქცია.

ის-ის იყო, ეს გლეხი დასაზვერავად წავიდა, რომ გამოგვეცხადა ვიღაც სომეხი, რომელიც თავს მედუქნედ ასაღებდა. მან ღამის გათევინება გვთხოვა და გვითხრა, სადღაც, თურმე, ფული უნდა მიეტანა, მაგრამ, ამ ადგილებში რომ გამოიარა, ლეკებს შეეფეთა და იძულებული გახდა, იმავე გზით უკან წამოსულიყო. მისი სიტყვები სარწმუნოდ ჟღერდნენ, მაგრამ ამ კაცის სახე კნეინას არასაიმედოდ ეჩვენა, რის გამოც მაშინვე უბრძანა მსახურს:

— ეგ კაცი არსად გაუშვათ, იარაღი აჰყარეთ და, თუ გაქცევა დააპიროს, ესროლეთ!

ეს სიმკაცრე სხვადასხვა გარემოებით იყო გამოწვეული; თუმცა ქალბატონმა მისთვის დამახასიათებელი გულკეთილობით მაშინვე დაუმატა:

— მიხედეთ და აჭამეთ!

მოგეხსენებათ ქართველის ბუნება: მსახურმა შეასრულა მხოლოდ ბოლო მოთხოვნა, ხოლო პირველი სავსებით გადაავიწყდა, რამაც ავი კვანძის გახსნა დააჩქარა.

ამ კაცის მოსვლა, ზურიას მიერ მოტანილი ცნობები, ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ხიფათი გარდაუვალი იყო, თუმცა ხსნის იმედი ჯერ კიდევ არ გადაგვწურვოდა. გვქონდა მსუბუქი საზიდრები, რომლებიც სწრაფი მგზავრობისათვის სწორედ რომ მისწრება იყო. კნეინამ თელავში ერთიმეორის მიყოლებით დაუხანებლად გაგზავნა ორი შიკრიკი, რათა ცხენები იმავე საღამოს მოეყვანათ. სადგურზე კი მათ აუხსნეს, რომ ცხენები მხოლოდ მომდევნო დილის, ე.ი. კვირისათვის, ეყოლებოდათ. ამასობაში მოახლეები განაგრძობდნენ სკივრებში ყველაფრის ჩალაგებას, რისი თან წაღებაც კი შეიძლებოდა. გლეხები კვლავ მოვიდნენ და გვთხოვეს, ტყეში გავხიზნულიყავით. კეთილი ზურია განსაკუთრებით მე გადამეკიდა — მაგრამ განა შემეძლო საზიზღარი სიმხდალე გამომეჩინა და ჩემი აღსაზრდელები, სალომე და მარია, ამ ყოფაში მიმეტოვებინა?

როგორც იქნა, ყოველგვარი მზადება დასრულდა. საღამოს კნეინა ორბელიანის საწოლ ოთახში მოვიყარეთ თავი... კნეინა თინია კი ისევ თავისას გაიძახოდა:

— ლეკები წინანდალში მოსვლას ვერ გაბედავენ!

ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, რომელსაც ვერ უწოდებ ვერც სიფხიზლეს, ვერც ძილს. ღამის 4 საათზე გავარდა თოფი, რამაც ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. ხიფათისა და შიშის გრძნობა ძვალსა და რბილში გაგვიჯდა. თავს ძალას ვატანდით — კიდევ რაიმე რომ გაგვეგონა... მაგრამ ამაოდ. და, რადგან კვლავ სიჩუმემ დაისადგურა, ვიფიქრეთ: ალბათ, ეს გასროლა შემთხვევითი იყოო. ბაღში ჩავედი და ვაზის ფოთლებში ჩიტის ბუდესავით ჩაკარგული ეკლესიისაკენ გავეშურე. აქ დიდხანს ვლოცულობდი და ვგრძნობდი, რა თანდათანობით მიბრუნდებოდა ძალა. ამ ვრცელ ბაღში ყველაფერი გარინდებულიყო. ანგარიშმიუცემლად სიარული დავიწყე. მაღალი ხრამის კიდეზე მდებარე კორომს რომ მივატანე, შევნიშნე კაცი, რომლის აქ ყოფნამაც დამაფრთხო: მართალია, თავადის ყველა გლეხს არ ვიცნობდი, მაგრამ ქართველთა სახის ნაკვთები გონებაში ცხადად მქონდა ჩარჩენილი — ისინი სიკეთეს გამოხატავენ, ხოლო ამ ადამიანის სახეს ზედ ეწერა რაღაც უკეთურება. თუმცა მას ჩემთვის არაფერი უთქვამს, ისე გაემართა სახლის ეზოსაკენ. შევნიშნე, რომ იარაღი ესხა. რაც შემეძლო, სწრაფად გავეშურე სახლისაკენ. ხრამს რომ გავხედე, დავინახე: ხევის ძირას მიმდინარე ღელეში წყალი თითქმის მთლიანად დახაპულიყო და ორი კაცი ლაგამწაყრილი ცხენებით ფრთხილად გადადიოდა მეორე ნაპირზე.

### ლეკები. ტყვეობა

...კნეინა ანამ თავისთან მიხმო. საბოლოოდ გავემზადეთ გასამგზავრებლად. კორსეტში შევიჩურთე რამდენიმე წერილი და თმის ღერები — ნივთები, რომლებიც ყველა სხვა ნივთზე უძვირფასესი იყო ჩემთვის. სახელდახელოდ ამოკერილ ჩანთაში ჩავაწყვე ფრანგული ენის გრამატიკა და მეორე პატარა წიგნი სათაურით: „ღმერთი არს სიყვარული“. ეს წიგნი ერთ-ერთმა თბილისელმა ნაცნობმა მისახსოვრა. მოამზადეს ჩაი — ვითარებაც რომ მეტად შესაფერისი გამონახეს კნეინას მომსახურებისათვის — ყველაფერი ისე კეთდებოდა, თითქოს დრო თავზე საყრელი გვქონოდა. თელავიდან კვლავ ამოვიდა ექიმი და საათზე მეტი ხნის განმავლობაში არწმუნებდა კნეინას, დაუყოვნებლივ გავდგომოდით გზას... მოხუცი ძიძების ჯიუტობამ და უდარდელობამ, რომლებიც მიჩვეულნი არიან, არავის შეეპუონ, ყველაფერი სხვაგვარად დაასრულა. ის ის იყო, საზიდარზე კნეინას ალმასები უნდა დაეწყოთ, რომ გაისმა ძახილი: ლეკები!

დილის რვა საათი იყო. კეთილი ექიმი **გორლიჩენკო** (ერთადერთი კაცი, რომლის წინაშეც თავს სამუდამოდ ვალდებულად ვრაცხთ მისი მართლაც რომ გმირული თავდადებისათვის), რომელსაც ხელში სასროლად გამზადებული იარაღი ეჭირა, გვთხოვდა, სადმე დავმალულიყავით. კნეინამ თქვა, რომ ამისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი ბელვედერი იქნებოდა. მან ლეკთა განზრახვა არ იცოდა და ფიქრობდა, ისინი აქეთ არ წამოვიდოდნენ. ბავშვები, ძიძები, გადიები, მსახურები, ფარეშები და ყველა ქალი, ვინც კი სახლში იმყოფებოდა, უკან გამოგვიდგნენ. არასოდეს დამავიწყდება ის საბედისწერო წუთები, როდესაც კნეინა ჭავჭავაძე, ყოველთვის გულთბილად რომ იყო ჩემდამი განწყობილი, მომეხვია და სინანულის გრძნობით აღვსილმა მითხრა:

— ეჰ, ეს რა მომივიდა, მადამ? ძალიან გთხოვთ, მომიტევოთ იმ უბედურებისათვის, რაც ჩემი მიზეზით შეგემთხვათ. ღმერთო ჩემო! რატომ არ დაგატანეთ ძალა, გაქცეულიყავით?

— ქალბატონო, — ვუპასუხე მე, — არ ვიცი, რა ხვედრი მელის, მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, მზადა ვარ, სიცოცხლე განაცვალოთ.

— ვილოცოთ, — განაგრძო მან, — სიკვდილი კარს მოგვდგომია.

მალე, მართლაც, ნათლად გავარჩიეთ მოახლოებულ მთიელთა ნაბიჯების ხმა. მათ ჩვენი სამალავისკენ მოუძღვებოდა ბავშვების ყვირილი და ქალების წივილ-კივილი. ყველა ჩვენგანის სულში რაღაც ენით აუწერელმა სევდამ დაისადგურა. ას წელიწადს მიტანებულ დედაბერს, რომელსაც ოდესღაც თავად ჭავჭავაძის მამაც გაეზარდა, სავსებით დავიწყებოდა საკუთარი თავი და გულმხურვალედ ლოცულობდა თავისი კეთილი ბატონის შვილების გადარჩენისათვის. გიორგი ორბელიანის გამდელს, რომელსაც ქმარ-შვილი თბილისში ჰყავდა დატოვებული, გულამოსკვნილი ქვითინისაგან თავი ვერ შეეკავებინა. კატერინა, კნეინა ორბელიანის მოახლეც, ასევე გულამომჯდარი ზლუქუნებდა, გამოხატავდა რა წუხილს არა საკუთარი თავის, არამედ თავისი ქალბატონის შვილების გამო, რომლებიც უსაზღვროდ უყვარდა. გადამღრძვალმა კნეინა თინიამ, რომელიც აქამდე ასე უშიშრად გრძნობდა თავს, ახლა გონება სავსებით დაკარგა: იმ წუთებში, როცა ყოველგვარი მატერიალური საკუთრება უსარგებლო გახდა, გამუდმებით ითხოვდა, მიეტანათ მისთვის საჩაიე ფინჯნები: შიშობდა, მძარცველებს არ ჩავარდნოდა ხელში. თავად ჭავჭავაძის ძიძა მხურვალედ ლოცულობდა იმ არაჩვეულებრივი მიმიკისა და ჟესტიკულაციის გამოყენებით, რაც ლოცვისას ასე დამახასიათებელია უბრალო ქართველებისათვის.

საშინელი არევ-დარევით შეშინებული სალომე და მარია ვერხვის ფოთლებივით თრთოდნენ და მეკვროდნენ. მე მათ ვსთხოვდი, არ ეტირათ. გაისმა ლეკთა გააფთრებული შეძახილები. მათი დარტყმებისაგან მინები აზრიალდა და ჩაიმსხვრა, აჭრიალდა ავეჯი, სკივრებში აწკრიალდა ვერცხლი. ბოლოს ჩვენამდე მოაღწია ორი ფორტეპიანოს ერთმანეთში არეულმა ხმებმა. ველურები კლავიშებზე ხელებს ბოროტად უტყაპუნებდნენ. ბელვედრიდან ხელისგულზე გადაშლილივით ჩანდა მთელი ბაღი. ვხედავდით, თუ როგორ გაივსო იგი ჩალმიანი მხედრებით. თავდაპირველად ორმოცდაათამდე კაცი თუ იქნებოდა, მაგრამ შემდეგ უსაზღვროდ ბევრნი მოზღვავდნენ. ღელე, რაც ერთადერთი გზა გახლდათ სახლში შემოსასვლელად, მთლიანად დაფარეს. საწყალ წინანდლელებს სრული გაღატაკება და გაჩანაგება ელოდათ.

ღრმად დაფიქრებული კნეინა ჭავჭავაძე დიდხანს ხმას ვერ იღებდა. შემდეგ ლიდია აიყვანა და მკლავზე გადაიწვინა. მხოლოდ ზოგიერთს გარდა, რომლებიც დაკეტილ კარს მთელი ძალით აწვებოდნენ და ამაგრებდნენ, ყველანი მუხლებზე ვიყავით დაჩოქილი. ლეკებს გაუკვირდათ, წინააღმდეგობას რომ ვერსად წააწყდნენ. ეს იოლი გამარჯვება მათ კიდევ უფროააფთრებდათ. დარბოდნენ ოთახებში, აკაკუნებდნენ კედლებზე და ფიქრობდნენ, რომ რაიმე საგანძურს იპოვიდნენ... და ასე მოგვიახლოვდნენ... მხოლოდ კნეინა ორბელიანი იყო მშვიდად. ჯერ თავისი საყვარელი გიორგი დალოცა, მერე ძიძას გადასცა, მივიდა კართან, რომელსაც მთიელები ძლიერ აწვებოდნენ და ასე ურყევად მდგარი დაელოდა თავის ხვედრს. შესაძლოა, სურდა პირველი დაცემულიყო, რათა შემდეგ აღარ ეხილა შვილის, დის, მულიშვილისა და დისშვილების წვალება... მაგრამ შეიძლება თავისი პირადი მაგალითით სურდა საბედისწერო დარტყმის წინ ჩვენთვის მხნეობა ჩაენერგა.

კარმა რამდენიმე წუთს გაუძლო... მთიელები გაცოფდნენ... ბოლოს და ბოლოს შემოანგრიეს... შეიქმნა საშინელი ორომტრიალი: შემოგვაწყდა ადამიანთა ბრბო... ერთმანეთში აირია გამხეცებულთა შეძახილები და უმწეოთა კივილი... თითოეული ჩვენგანი უცებ აღმოჩნდა რომელიმე მტაცებლის ხელში, წინააღმდეგობის გაწევა კი სრულიად უნაყოფოა... მთიელი (მისი სახის გახსენება დღესაც ტანში მზარავს) მბოჭავს და მივყავარ, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობ მისგან გათავისუფლებას. ბელვედერიდან რომ გადიოდი, კარებში უნდა დახრილიყავი, მაგრამ ჩემს მომტაცებელს ამისთვის არა სცხელოდა და მაგრად ვარტყამ თავს კარის ამყოლზე...

კაცი, რომელსაც მე ვხვდი წილად, ფეხს ადგამს კიბეზე. გაისმის ავისმომასწავებელი ჭახანი, რასაც თან ახლავს შეშინებული შეძახილები... კიბე მტაცებელთა და მათ მსხვერპლთა სიმძიმეს ვეღარ უძლებს და ტყდება... ამ საშინელ წუთს კნეინას რომელიღაც მოახლე ჩემი პალტოს კალთას ჩააფრინდა... მთიელი სწრაფად უბიძგებს მას და ისიც ქვევით მიფრინავს თავპირისმტვრევით. საფეხური, რომელზეც ვდგავართ, შეირყა; სწორედ იმ წამს მთიელი ძალუმად მიჭერს ხელებს და აკეთებს განწირულ ნახტომს მესამე სართულიდან. ჩვენ ვეცემით ეზოში მიმობნეულ ნამსხვრევებს შორის.

მიწაზე დავეცით თუ არა, ერთი ჩალმიანი მძარცველი მოვარდა და ბლარძუნითა და ერთი ვაი-უშველებელით ცდილობდა, ჩემი თავი გამოეგლიჯა ხელიდან იმისათვის, ვისაც თავდაპირველად ვერგე. ეს კი არ ანებებს... იელვეს ხანჯლებმა... ვიფიქრე, ჩემი მოსპობა განუზრახავთ-მეთქი და დავიყვირე: — მე ფრანგი ვარ! მაგრამ ეგ ძახილი ამაო გამოდგა. ჩემს გამტაცებელს ცალი ხელით ვეჭირე და ამგვარად, ნებაუნებლიეთ მონაწილეობა უნდა მიმელო ორი ბოროტმოქმედის ქიშპობაში, ჩემს დანარჩუნებას რომ ცდილობდნენ. დაიღვარა სისხლი და მე გადავედი ჩალმიანის ხელში. ჩემმა ახალმა მეპატრონემ, რომელიც ჩაცმულობისა და განსაკუთრებით კი მისი მხეცური შესახედაობის გამო ჩეჩნად ჩავთვალე, წინა ეზოთი გამიყვანა და ორ ნუკერს ჩამაბარა. მისი ლაპარაკი ისე არ მესმოდა, როგორც მას — ჩემი. მან გადმომცა ორი ცხენი აღვირით დასაჭერად, ხოლო, როცა მოძრაობაზე შემატყო, დავალების შესრულებას თავს ვარიდებდი, მათრახი დასარტყმელად მომიღერა. სირცხვილით გავწითლდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ აუცილებელი იყო, ბედს დავმორჩილებოდი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# წეროვანში ილია ჭავჭავაძის 180 წლისთავი აღნიშნეს

**2017 წლის 8 ნოემბერს დიდ ქართველ მწერალს, პოეტს, პუბლიცისტს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს — ილია ჭავჭავაძეს დაბადებიდან 180 წელი შეუსრულდა.**





წეროვანში, საკუთარი სახლის ეზოში, **ჯუმბერ პატიაშვილმა** ილიას სახელობის დარბაზი გააკეთა და მისი 180 წლისთავიც სწორედ ამ დარბაზში აღნიშნა წეროვანის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად. ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ პოეტები: **თემურ ჩალაბაშვილი** და **ედუარდ უგულავა.** საღამოს დაწყებამდე ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზი სვეტიცხოვლის ეკლესიის წინამძღვარმა აკურთხა.

წეროვანის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიხსენეს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი წლები, წაიკითხეს მისი ლექსები, პოემები, ნაწყვეტები პროზიდან, წარმოადგინეს სცენები ილიას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლებიდან.

კმაყოფილი და ბედნიერი იყო ყველა — სტუმარიც და მასპინძელიც, განსაკუთრებით — ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი, რადგან მისმა ჩანაფიქრმა, რომ ილიას სახელობის დარბაზი მომავალი თაობისთვის კულტურის ცენტრად ქცეულიყო, გაამართლა. ის დაჰპირდა ახალგაზრდებს, რომ დარბაზში მალე ფილმების ჩვენებაც იქნებოდა შესაძლებელი. პირველი, რასაც ახალგაზრდები იხილავენ, დოკუმენტურ ფილმად გადაღებული ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1987 წელს, სწორედ ჯუმბერ პატიაშვილის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობისას, უდიდესი ღონისძიებები ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაბადების დღის აღსანიშნავად, რომელსაც სტუმრები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ესწრებოდნენ.

წეროვანის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს პოეტი თემურ ჩალაბაშვილიც მიესალმა და მადლობა გადაუხადა: „ქართველს ხალხს ეროვნული ბიბლიოთეკა წაგვართვეს და ლიბერალური შეხედულებების ადამიანები მიიყვანეს, ილიასა და აკაკის ფოტოები ჩამოხსნეს, — მათი დრო აღარ არისო... ამ ცუდი საქმის გამკეთებლებს მინდა ვუთხრა: ვერასდროს, ვერავინ ამ ქვეყანაში ვერ ჩამოხსნის ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის სურათებს. ეროვნულობა ჩაგვრას განიცდის დღეს, მაგრამ ეს დროებითია. ილიას დაბადების დღეა, მის ლექსებს ვკითხულობთ და თითქოს ახლა დაიწერაო, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება. საქართველოში ყოველი დღე ილიასია და ამას ვერაფერი წაშლის... დიდი მადლობა ბავშვებსა და პედაგოგებს ამ მონდომებისთვის. გიყურებთ ახლა და ვფიქრობ, ეს ქვეყანა არ გადაშენდება. თქვენსავით ეროვნულ მოტივებზე გაზრდილი ბავშვები სანამ იარსებებენ, საქართველოს დაღუპვა არ უწერია. საოცარ გარემოში ვართ ყველანი და აქედან დანახული ჩვენი ქვეყანა საამურია.



მადლობის მეტი რა გვეთქმის ბატონი ჯუმბერისთვის ამ ლამაზი საღამოსთვის, მადლობა ახალგაზრდებსაც, რომლებმაც ასე შეისწავლეს ილიას შემოქმედება.

პოეტმა ახალგაზრდებს საკუთარი ლექსები წაუკითხა. ასევე, რამდენიმე ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა ედუარდ უგულავამ.

**ეკა ნასყიდაშვილი**



# აშშ-ში ლგბტ პირების მიმართ კრიტიკული პოზიციის მქონე ეკლესიას ცეცხლი წაუკიდეს

**აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინის შტატში, ლგბტ პირების მიმართ კრიტიკული პოზიციის მქონე ბაპტისტურ ეკლესიას ცეცხლი წაუკიდეს.**

მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეკლესიას ცეცხლი გამიზნულად წაუკიდეს, ჰომოსექსუალების მიმართ უარყოფითი პოზიციის გამო.

ადგილზე იპოვეს წარწერა: **„ანტი-გეი სიძულვილის ჯგუფი“**, რომელიც, სავარაუდოდ, თავდამსხმელებმა დატოვეს.



# აშშ-ის სენატორობის კანდიდატი: ტრანსგენდერებს უფლებები არ აქვთ!

**„ტრანსგენდერებს უფლებები არ აქვთ. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ ისინი არასოდეს ყოფილან დასახელებულნი, როგორც უფლებების მქონენი“, — განაცხადა ალაბამას შტატის სენატორობის კანდიდატმა როი მურმა, რომელიც ადრე შტატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ მუშაობდა და ლგბტ-თა მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიციით გამოირჩეოდა.**

მური ცნობილია იმით, რომ 2016 წელს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჰომოსექსუალთა ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ არ აღიარა და შტატის მოხელეებს ერთი და იმავე სქესის წყვილებისთვის ქორწინების მოწმობის გაცემა აუკრძალა. ამ ნაბიჯის გამო მურს თანამდებობა დაატოვებინეს.

მური ალაბამის შტატში დეკემბერში დაგეგმილ სენატის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს და ფავორიტად ითვლება.

# ტექნიკური შემოწმების გავლა ორი წლის განმავლობაში ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებას მოუწევს



**ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილის განცხადებით, კეთდება გრაფიკი, რომლის მიხედვით, ორი წლის განმავლობაში ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებას ტექნიკური ინსპექტირების გავლა მოუწევს.**

„2018 წლის 1 იანვრიდან რეფორმა იწყება და მომდევნო 2 წლის განმავლობაში ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარება“, — განაცხადა გიორგი ჩერქეზიშვილმა.

# ევროკავშირის ელჩი უკრაინაში: ევროკავშირს ამჟამად არ აქვს შესაძლებლობა, რომელიმე პარტნიორ ქვეყანას წევრობის პერსპექტივა შესთავაზოს



**ევროკავშირის ელჩი უკრაინაში ჰიუგ მინგარელი მიიჩნევს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ რეალობა, რომელიც უახლოეს პერსპექტივაში ევროკავშირის წევრობის იმედს არ იძლევა.**

„ამჟამად ევროკავშირს არ აქვს შესაძლებლობა, ერთ პარტნიორ ქვეყანას პერსპექტივა შესთავაზოს. შესაძლოა, შესთავაზოს რამდენიმე წლის შემდეგ, მაგრამ ახლა — არა. ჩვენ, ყველამ, ვიცით ეს. ასეთია რეალობა. ახლა ჩვენ, ევროკავშირმა, უნდა დავარწმუნოთ პარტნიორები, განაგრძონ ასოცირების შეთანხმების შესრულება“, — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა კიევში გამართულ ფორუმზე

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894